

REGION

ფანი 2 ტკარი
№22 2017 მარტი

ვეჯიამ

გელა მუნაშაშვილი
ვეიქისთვის სოცნებო
სიმაღლეები დანიჟრო





მეფე თამარი

სახით ნათელთ, ქართ ქართველთ,
დედოფალთ და დიდო მმართველთ,
ჩვენი რწმენა და ჩვენი დედა ხარ,
გიშრის ნაწნავით ფეხშიშველა ხარ!

გლოცავს მამული, ანჩი, ხახული,
გელათის ფრესკა, მრევლი მარხული,
ვაზის მირონი, ვარძიის კლდე-ქვა,
მზრუნველი ხელით შენ მეფე გერქვა.

მადლის მდინარევ, ფრესკის სურნელო,
სხივების ჟონავ, სულთამყურნალო,
ირმისთვალეზავ, ულადმდგომო,
დილისნათეზავ, ხიხამთისბროლო.

ხელითნაკვეთი ჩუქურთმის ბმა ხარ,
ივერიულთა მომქვევის თმა ხარ,


ტაო-კლარჯეთო, თაბორის მთა ხარ,
ბოდბის სიმინდის ნაწნავის წვნა ხარ.

შენ დაგვიტოვე გზები ნათელი,
კავკასიონის მთა და კალთები,
ვაზის ცრემლი ხარ, ქართლის მთა-ბარი,
ფეხშიშველი ხარ, მეფევ, თამარო!

ვიცი, ხიბლია ამაოება
და ეს სიგოცხლე მადლის დირსია,
ვფიქრობ, სიკვდილით დაბოლოება,
ცაში საუფლო სამზადისია.

ჩვენ მოვდიოდით ტოცვით, ხატებით,
მერმისსაც ფრთებით დავეხატებით,
თუ სასოებით მადლი გივრძენია,
შენ სიყვარულით ხსნა შევიძლია.

გოგა ბოჭორიშვილი



ქართული სახელმწიფო
ტერიტორიის ჩამოყალიბდა2

ბაღოზამი პრომედინი4-5

ბახმარო ახალ სიცოცხლეს
იძენს...6

ბახმაროს უძველესი ენდემური და
რელიქტური სახეობები10

„შურსა და ცილოზე
ამაღლებული...12

გურიის ვახის ჭიშები15

ზამთრის ურორტები სათხილამურო
ჩემპიონატებს უმასპინძლებს17

ბახმარო ზამთრის ცხოვრებით
ცხოვრობს...17

ფრანგი მენარმე ქართული ხორბლით
დაინტერესდა18

ქართული ფუტყარი მსოფლიომ
აღიარა19

ფერმერ დავით თენიეშვილის
ბიო-ჩაი21

საქართველოს ნერგები - 2016 წლის
დარგის ლიდერი23

ტინიტუსის, ანუ ყურის წუილის
გამომწვევები, მახასიათებლები,
მეურნალობა25

გელა მუხაშაძია - უნიღბო
ცხოვრებისკენ გვიწვევს...27

სწორუპოვარი შემოქმედის
სასწაულებრივი ძალა30

დაღის ხეობაში მზაჯრობაა
მოსალოდნელი...31

გურული ცხენოსნების
თავგადასავალი33

სასარგებლო რჩევები36

მთავარი რედაქტორი და გამომცემელი –
ლელა სურმავა

ტელ: 558 25 65 50

ელფოსტა: Guriaregion14@mail.ru;
elasurmava@mail.ru

კვირფასო აკითხველო!

მოგვანოდეთ პუბლიკაციები, მოთხრობები,
ჩანახატები, ლექსები, ისტორიები, იდეები, გაგვიზიარეთ
თქვენი პრობლემები და მოგვიყვით საინტერესო ამბები.
გაითვალისწინეთ, ყურნალში განთავსება ფასიანია.

ჟურნალი თავისუფალი ჰრასის პრინციპით ხელმძღვანელოვს.

რედაქციაში შემოსული მასალების სიზუსტეა პასუხს აგებს ავტორი,
ხოლო სარედაქციო ბაჟსა პასუხისმგებლობა რედაქციის შიშვეთს ეკისრება.

ქართული სახელმწიფო ტერიტორიის ჩამოყალიბება

ქართული სახელმწიფო ტერიტორიის წარმოქმნა ერთ მშვენიერ დღეს არ მომხდარა... ის შედეგია რთული და მრავალსაუკუნოვანი ისტორიული განვითარებისა, რომელშიც ექვემდებარებულა უნდა ითქვას, გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა იმ ტერიტორიის ფიზიკურ-გეოგრაფიულსა და ამით განპირობებულ შესაბამის ეკონომიკურ მახასიათებლებს, სადაც ეს პროცესი მიმდინარეობდა.



მტკვარ-არაქსის კულტურა

ზემოთ ითქვა, რომ ისტორიული საქართველო მთაგორიანი ქვეყანაა, სადაც მთა და ბარი ჰარმონიულად ერწყმის ერთმანეთს. დიდსა და მცირე კავკასიონის მთებს შუა მოქცეული მიწები ერთმანეთთან ორგანულად იყო დაკავშირებული. ამ ქედებიდან გამოსული დიდი მდინარეები თავიანთი შენაკადებითურთ და მათი კალაპოტების გასწვრივ გამავალი უძველესი გზები დღესაც მთასა და ბარს სასიცოცხლოდ აუცილებელ ცხოველ ურთიერთობას განაპირობებს.

ტერიტორიის ფიზიკურ-გეოგრაფიული თავისებურება, თავის მხრივ, მოსახლეობის განსახლებისა და სამეურნეო საქმიანობის ნაირსახეობას განსაზღვრავდა. მოსახლეობა ძირითადად მთიელებად და ბარელებად იყოფოდა, რაც მათი მეურნეობის სახეობებს შორის განსხვავების საფუძველი იყო. სასოფლო-სამეურნეო არეების ამგვარი დაყოფის გამო ისტორიული საქართველოს სხვადასხვა კუთხის მოსახლეობა ერთმანეთზე მჭიდროდ იყო დამოკიდებული: ბარელს მთის სახნავ-სათესები და საზაფხულო იალაღები, ხოლო მთიელს ბარის ზამთრის საძოვრები, მევენახეობა-მეხილეობის პროდუქტები, მრავალფეროვანი მარცვლეული და ბოსტნეული კულტურები ესაჭიროებოდა.

სპეციალისტები ერთხმად აღნიშნავენ, რომ ისტორიული საქართველოს ტერიტორიაზე არსებული ცალკეული გეომორფოლოგიური ერთეულები ეკონომიკურ და ეთნოკულტურულ ერთობებად ყალიბდებოდა. მათ ძველ ქართულში „ხევები“, „ქვეყნები“ ეწოდებოდა. მაგალითად, ასეთ ერთეულებს უძველეს დროსვე წარმოადგენდა ლორე-ტაშირისა და ჯავახეთ-ერუშეთის პლატოები, თრიალეთ-ზურტაკერტის ქვაბური, კოლა-არტანისა და სპერის ტაფობები, თრუსო-ხევის, დვალეთის, თუშ-ფშავ-ხევსურეთის ქვაბურები და სხვა.

მთისა და ბარის ისტორიულ ურთიერთობაში მნიშვნელოვან როლს თამაშობდა ზეგანი. ის იყო მეურნეობის ორი ტიპისა და, რაც მთავარია, მოსახლეობის ეთნოკულტურული დაახლოების სარბიელი, რადგან მთიდან მიგრირებული მოსახლეობა თავდაპირველად სწორედ აქ იყრიდა თავს.

მთიდან ბარში ჩამოსახლებას ძირითადად ეკონომიკური მიზეზები განაპირობებდა. მთის შეზღუდული ბუნებრივი რესურსები და არაინტენსიური მეურნეობა მხოლოდ მოსახლეობის გარკვეული რაოდენობისათვის იყო საკმარისი, რაც ნამატ მოსახლეობას ბარში ჩასვლისაკენ უბიძგებდა. ეს ხანგრძლივი პროცესი იყო, რომლის დროსაც მთის ნამატი მოსახლეობა მთისწინეთში, ანუ ზეგანზე, სახლდებოდა. სწორედ ამიტომაც მთისა და ბარის ორგანულად შერწყმის პროცესში მთისწინა ზოლს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა.

ისტორიული საქართველოს ტერიტორიაზე განსახლებულ ქართველური მოდგმის ტომთა შორის კულტურულ-ეკონომიკური და მიგრაციული ურთიერთობები უძველესი დროიდანვე, ჯერ კიდევ ქვის ხანასა და ენეოლითში, დასტურდება. მოგვიანებით, ადრებრინჯაოს ხანაში, მტკვარ-არაქსის კულტურისათვის დამახასიათებელი კერამიკა გავრცელებულია დასავლეთ საქართველოში, განსაკუთრებით მის აღმოსავლეთ ნაწილში, გვიანდელი არგვეთის ტერიტორიაზე; ამავე პერიოდის არტეფაქტები მთისა და ბარის ინტენსიურ ურთიერთობაზეც მიუთითებს. შუაბრინჯაოს ხანაში თრიალეთური კულტურის არეალში მოქცეული იყო აღმოსავლეთ საქართველოს სამხრეთ მთიანეთი სომხეთისა და ანატოლიის მიმდებარე მთიანეთითურთ, ისტორიული ქართლი და იორ-ალაზნის ველები. გვიანბრინჯაოს კოლხური კულტურა, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, აღმოსავლეთ საქართველოს დასავლეთ და სამხრეთ-დასავლეთ ნაწილს მოიცავდა. გვიანბრინჯაო - ადრეული რკინის ხანაში იწყება ქართლის კულტურული ექსპანსია, რისი დასტურიცაა გარკვეული ტიპის ბრინჯაოს ცულისა და კერამიკის გავრცელება დასავლეთით, აღმოსავლეთითა და სამხრეთ - დასავლეთით. ამის ნათელი მტკიცებულებაა ყარსის რეგიონში მოპოვებული ე.წ. სამთავროული კერამიკა.

ბუნებრივია, ისტორიული საქართველოს ტერიტორიაზე მიმდინარე ცხოველი ეკონომიკური, კულტურული და ეთნოგენეტიკური პროცესები შესაბამის სოციალურ-პოლიტიკურ ცვლილებებს იწვევდა. ძვ.წ. II ათასწლეულიდან ყალიბდება ე.წ. „ხევების“ სისტემა. „ხევი“ არის უძველესი ქართული ისტორიულ-გეოგრაფიული ერთეული, რომელიც „სოფელთა“ ერთობლიობას წარმოადგენდა. ეს იყო სოციალური ერთობა, რომელიც ქმნიდა ერთიან ეკონომიკურ კომპლექსს. „ხევების“ შემდგომი სოციალურ-ეკონომიკური



თრიალეთის კულტურა

ევოლუცია, მათ შორის პირველობისათვის ბრძოლა და ერთის მიერ მეორის დაპყრობა „ხევთა“ შერწყმა-გაერთიანებასა და მსხვილი პოლიტიკური ერთეულების წარმოშობას უწყობდა ხელს. ქართველური მოდგმის ტომებმა არაერთი ასეთი დიდი წინასახელმწიფოებრივი გაერთიანება შექმნეს.

ხეთების ძლევამოსილი იმპერიის გაქრობამ მთელი წინა აზიის ეთნოპოლიტიკური რუკა შეცვალა. ისტორიის არენაზე გამოჩნდა მუშქების (მესხების) ტომი, რომელიც ძველალმოსავლურ, კერძოდ, ასურულ, წყაროებში იხსენიება. ასურეთის მეფის ტიგლათფილესერ I (ძვ.წ. 1115-1076წ.) ლურსმული წარწერა გვაუწყებს, რომ ძვ.წ. XII ს. შუა ხანებში მათ ჩრდილოეთიდან შეუტიეს ასურეთს და მდინარე ტიგროსის სათავეებში ვრცელი ტერიტორიები დაიკავეს. მოგვიანებით, ძვ.წ. IX საუკუნეებში, როგორც ცნობილია, მუშქებმა ინდოევროპულ ფრიგიელებთან ერთად ცენტრალურ მცირე აზიაში ძლიერი სახელმწიფო დააარსეს.

ასურეთის ზემოხსენებული მეფის სხვა წარწერები დანვრილებით აღწერს იმ ომებს, რომელთაც ეს იმდროისათვის ყძლიერესი სახელმწიფო აწარმოებდა „ნაირის ქვეყნების“ კოალიციასთან. ამ გაერთიანებას სათავეში ედგა „დაიაენის“ (ურარტული „დიაოხი“, ბერძნული წყაროების „ტაოხი“, ანუ ძველქართული „ტაო“) მეფე სიენი. დაიანი დიდი წინასახელმწიფოებრივი წარმონაქმნი იყო, რომელიც მოიცავდა ისტორიული საქართველოს სამხრეთ-დასავლეთის რეგიონს - ჭოროხის ხეობას, შავშეთს და მდ. ევფრატის სათავეების ზეგანს (დღევანდელი თურქეთის ქ. არზრუმის პლატო), მას აღმოსავლეთიდან ესაზღვრება „ზაბასას“ (ჯავახეთი) ქვეყანა, ხოლო ჩრდილოეთიდან და ჩრდილო-დასავლეთიდან - „კოლხას ქვეყანა“ (კოლხიდა). ასურული, მოგვიანებით კი ურარტული, წყაროები მოწმობს, რომ „დაიაენი - დიაოხი“ „ძლევამოსილი ქვეყანა“ იყო თავისი მაღალგანვითარებული მეტალურგიითა და სოფლის მეურნეობით.

დაიაენ - დიაოხის მოსახლეობა, ძირითადად, აღმოსავლურქართული იყო, თუმცა აქვე სავარაუდებელია დასავლურქართულ და ხურიტულ ტომთა არსებობასაც. ამის ერთ-ერთ საბუთად ეთნონიმი „სომეხი“ გამოდგება. ის, როგორც ვარაუდობენ, ქართულ ენაში მხოლოდ ძვ.წ. XIII-X სს. უნდა გაჩენილიყო, როდესაც პროტოსომხური ტომებით დასახლებული „სომეხი“ - „სომხის“ ქვეყანა (დასავლეთ და აღმოსავლეთ ევფრატში მინები) უშუალოდ ემეზობლებოდა დაიაენ - დიაოხს. ტერმინი „სომეხი“ სწორედ „სომეხადან“ („სომეხი“ - „სომეხ“) მომდინარეობს. გარდა ქართველებისა, ყველა სხვა ხალხი მას „არმინას“ უწოდებს.

დაიაენ-დიაოხის სიძლიერეზე ისიც მეტყველებს, რომ იგი მთელი ოთხი საუკუნის მანძილზე მეტ-ნაკლები წარმატებით უმკლავდებოდა ჯერ ასურეთის იმპერიას, შემდეგ კი ძლიერი ურარტუს სამეფოს შემოტევებს. ძვ.წ. VIII ს. პირველ ნახევარში დაიაენი - დიაოხის გაერთიანება განადგურდა. მისი სამხრეთი ნაწილი ურარტუმ დაიკავა, ხოლო ჩრდილო მხარეები, კერძოდ კი ჭოროხის ხეობა, კოლხებმა იგდეს ხელთ.

კოლხთა დიდი წინასახელმწიფოებრივი გაერთიანება ძვ.წ. XIII ს. დასაწყისში უნდა წარმოქმნილიყო. ამაზე მიგვანიშნებს არგონავტების მითი, რომლის თანახმადაც, შორეულ კოლხიდაზე ძველმა ბერძნებმა მათ მიერ ილიონის, იგივე ტროას წინააღმდეგ ომის დაწყებამდე გაილაშქრეს. ამავე მითმა შემოგვინახა კოლხთა იმდროინდელი მეფის სახელი აიეტი, რომლის შთამომავლებადაც მიიჩნევა ძველი ბერძენი ავტორი ქსენოფონტე (ძვ.წ. 444-354 წწ.) გვიანი დროის კოლხიდის მეფეებს.



ძვ.წ. VIII ს. შუა ხანებისათვის, როცა კოლხიდამ ჭოროხის ხეობაც დაიკავა, ეჭვგარეშეა, რომ მისი ტერიტორია მთელ ისტორიულ დასავლეთ საქართველოს მოიცავდა. რაც შეეხება კოლხური ტომების განფენას, ძველბერძენ ავტორთა ცნობებით, ისინი მდ. ყუბანის შესართავიდან მდ. ჰალისამდე (დღევანდელი ყიზირ-ირმაკი თურქეთში) სახლობდნენ. ამ გაერთიანების პოლიტიკური ცენტრი მდ. ფაზისზე (რიონი) მდებარეობდა. კოლხიდაში, ისე როგორც დაიაენ-დიაოხში განვითარებული იყო მინათომქმედება, მესაქონლეობა; მაღალ დონეზე იდგა მეტალურგია.

ძვ.წ. VII ს. ბოლო ათწლეულებში წინა აზიის მაღალგანვითარებულ ქვეყნებს შავი ზღვისა და აზოვისპირეთის სტეპებიდან და ჩრდილო კავკასიის ტრამალებიდან ირანული მოდგმის მეჯოგე-მომთაბარე კიმერიული ტომები შემოესივნენ, რომლებსაც ასევე ირანული წარმომავლობის სკვითები მოჰყვნენ, ეს ლაშქრობები რამდენიმე ნაკადად განხორციელდა, რომლის დროსაც მომთაბარენი კავკასიონის გადმოსასვლელით სარგებლობდნენ. კიმერიელთა და სკვითთა გამანადგურებელ შემოსევებს წინა აზიაში ხალხთა დიდი აყრა-გადასახლება მოჰყვა, რამაც ამ რეგიონში სერიოზული ეთნო-პოლიტიკური ცვლილებები გამოიწვია. ბუნებრივია, ეს ქართველური მოდგმის ხალხებსაც შეეხო.

კიმერიელებმა და სკვითებმა ძალზე დააზარალეს კოლხიდა. მან დაკარგა გავლენა ჭოროხის აუზზე, ხოლო სამხრეთი პერიფერიები დაირბა და გაიძარცვა.

მომთაბარეთა ნაკვალევი კარგად აისახა მცირე აზიისა და სამხრეთ კავკასიის ტოპონიმიკაში. მაგალითად, კაპადოკიის სომხური სახელწოდება „გამირქ“ კიმერიელებისაგან წარმოდგება; ასევე, ერთ-ერთი კიმერიული ტომის - „თრელების“ - სახელს უკავშირდება ტოპონიმები „თრიალეთი“ და თბილისთან ახლოს მდებარე „თრელი გორები“; ანტიკური წყაროების „საკაშენე“, რომელიც მტკვრის მარჯვენა ნაპირზე მდებარეობს, „საკების“ (ანუ სკვითების) სახელიდან მომდინარეობს და სხვა.

ძვ.წ. VIII ს. ბოლოსა და VII ს. დასაწყისში ოდესლაც ძლევამოსილი ასურეთის დამოკიდებულებებისაგან გათავისუფლებული მიდიისა და ბაბილონის სამეფოები გაძლიერდა. ძვ.წ. 590 წელს ურარტუს სახელმწიფოც განადგურდა. სხენებულ მოვლენებს ხალხთა ახალი ამოძრავებაც მოჰყვა. ამ პერიოდს უკავშირდება მცირეაზიის ცენტრალური მხარეებიდან მუშქების (მესხების) გადმონაცვლება და თავის პირვანდელ სამშობლოში - სამხრეთ კავკასიაში - დაბრუნება, სადაც ისინი ძველთაგან აქ მოსახლე თავის მონათესავე ტომებთან გაერთიანდნენ. ძველი ბერძნები ამ ტერიტორიას „მოსხრიკეს“ (მესხეთი) უწოდებდნენ.

ძვ.წ. VII ს. დასაწყისიდან ძველი დაიაენი-დიაოხის ყოფილ ტერიტორიაზე ხალდების ანუ ხალიბების თაოსნობით ახალი, დიდი პოლიტიკური გაერთიანება ყალიბდება. მათი განვითარების საფუძველი რკინის მეტალურგიის განვითარება იყო.

ზაზა აბაშიძე

(გვარძლება მომდევნო ნომერში)

გაღზაზაი

100% გუნაზარივი პროდუქტი

პრომედინი

ინსულბის ალარ ზეგუზინდუბაი!



ბალზამ „პრომედინი“ ამლიდრებს ორგანიზმს სასარგებლო ნივთიერებებით, კვებავს ტვინის უჯრედებს.

თითოეული კომპონენტი მარტივი ერთი შეხედვით რეცეპტის გაიარა ურთულესი დამუშავება უნიკალური ტექნოლოგიით, რაც მნიშვნელოვნად ზრდის მის მოქმედებას. გაცილებით კარგი შედეგი მიიღწევა კომპლექსური მკურნალობისას, როდესაც აისახება კუმულაციური (ანუ დაგროვებითი) ეფექტი ორგანიზმში: სასარგებლო ნივთიერებები თანდათანობით გროვდება ორგანიზმში, რითაც მიიღწევა მაქსიმალური სამკურნალო ეფექტი. მაგრამ მისი ხანმოკლე გამოყენებასაც აქვს საგრძობი შედეგი, აღინიშნება ჯანმრთელობის შესამჩნევ გაუმჯობესება, მათ შორის დაავადების მწვავე სტადიაში.

ბალზამ „პრომედინი“ წარმოადგენს ფლავონოიდებს, ფენოლმჟავების (გალის მჟავა), უჯერი ცხიმოვანი მჟავების (ომეგა-3), ვიტამინების და მინერალების ბუნებრივ წყაროს, ორგანიზმში ქმნის ოპტიმალურ პირობებს ლეიქოსის და კუჭ-ნაწლავის ტრაქტის სწორი ფუნქციონირებისათვის, ამლიერებს ორგანიზმის დამცავ ფუნქციას სეზონური დაავადებისას, ამლიერებს შრომის უზარაობას, გააჩნია ნაღვლმდენი და ანტიოქსიდანტური თვისებები. ბალზამის მაღალ ეფექტურობას განაპირობებს ბუნებრივი კომპონენტები, ეკოლოგიურად სუფთა ზეთებისა და 100%-იანი ნატურალური „ცოცხალი“ ექსტრაქტების გამოყენება. ბალზამ „პრომედინი“ დამზადებულია პერმის ნატურალური თაფლზე.

ასევე მის შემადგენლობაში შედის: ნარშავის

ზეთი, კედრის ზეთი, ქაჯვის ზეთი, კაკლის ზეთი, ვაშლის პექტინი, პროპოლისი, ყვავილის მტვერი.

როგორ გავაძლიეროთ შანბანდანი უჯრედები, გავაძლიეროთ და გავაჯანსაღოთ? პასუხი ნაპოვია ბალზამი „პრომედინი“!!!

ბალზამი „პრომედინი“ შექმნილია სამკურნალო და პროფილაქტიკისათვის: გულ-სისხლძარღვთა სისტემის, სასუნთქი გზების, მხედველობის ორგანოების, საყრდენ-მამოძრავებელი აპარატის, საჭმლის მომხელბელი სისტემის და ენდოკრინული სისტემის დაავადებების დროს, ასევე ინსულტის შემდგომი პერიოდში, ძილის და მენსტრუაციის დარღვევა, სმენის დაქვეითება. ქალისა და მამაკაცის სასუნთქი ორგანოების ანთება.

ბალზამ „პრომედინი“ - გააძლიეროთ გული

ხუთი წელია მაწუხებს გულის იშემიური დაავადება, სისხლის ცული მიმოქცევის გამო მუდმივად მიცივდება ხელ-ფეხი და მიჯრულებდა კანი, ზავებულშიც კი თბილი წინდებით ვარ. წავიკითხე თქვენს შესახებ და დიდი იმედი მომეცა, რომ ჩემს დაავადებასაც ეშველიდა რამე. კონსულტანტის რჩევით ბალზამ „პრომედინის“ მოხმარება დავიწყე და ძალიან მომინდა. ერთი კურსი უკვე გავრთილი მაქვს. გულიც უკეთ მუშაობს და კიდურებშიც სისხლი უკეთ მოძრაობს, ისე აღარ მიცივდება. განვაგრძობ მიღებას და დიდ მადლობას გიხდით. ფილაური ნატო, 55 წლის, ქ. თბილისი

როსა კარნახს თვით გუნაზა!

ვარ აფხაზეთიდან დევნილი, პენსიონერი, ყოფილი მშენებელი კაცი. 3 წლის წინ დამეღუპა მეუღლე, მყავს ორი შვილი, დემეტრის წყალობით ისინი მენმარებიან, მარტო ჩემი პენსიით ვერ ვიარსებები. სტრესებმა და ნერვიულობამ ჩაითრია გული, 17 წლის წინ გადავიტანე ინსულტი, 30 წელია რაც ვატარებ მაღალ წნევას, მიშუბდებოდა ფეხები, ალერგია და შინაგანი ქავილი მოსვენებას არ მაძლევდა. კუჭ-ნაწლავის მოქმედება იყო ცუდი, კვირამი ერთხელ მქონდა კუჭის მოქმედება და ისიც წამლების დახმარებით. ნერვიული სისტემა და ძილი მოშლილი. ვიყავი სულ ქიმიური პრეპარატებზე. ნერვიულობა დღეებს აღამიანს, მაგრამ ასეთია ცხოვრება. ორი წლის წინ წავიკითხე გაზეთში თქვენი წამლების შესახებ და დღემდე თქვენი მოხმარებელი ვარ და არ ვაპირებ შეწყვეტას. ორი წლის მკურნალობამ შედეგი გამოიღო. განახევრე ქიმიური წამლების მიღება, წნევა დარეგულირდა, მომიწესრიგდა ძილი და კუჭ-ნაწლავის მოქმედება, ფეხები არ მიშუბდება და მინდა გითხრათ რომ მხედველობაც გამიუმჯობესდა. მოვიხმარე „პრომედინი“, „ჟივიცა“ ახლა კი მოვიხმარე „პრომედინს“ და თვალის წვეთებს „ფაურინს“. მე ძალიან კმაყოფილი ვარ და თუ მექნება საშუალება სულ მივიღებ. დიდი მადლობა!

ნოდარ ფიფია, 77 წლის, ქ. თბილისი.

ჯანმრთელობის აღდგენა ნატურალური პრეპარატებით

მოგესალმებით ყველას. მე გახლავართ თქვენი პროდუქტის ერთ-ერთი მადლიერი მოხმარებელი. მთელი ცხოვრება გავატარე შრომაში, ვმუშაობდი ბათუმის ერთერთ მურწუნოზაში სატვირთო მანქანების მძღოლად, ამყამდ პენსიონერი ვარ. მაქვს გადატანილი ინფარქტი, გაკეთებული გულზე შუნტირება, ჯანმრთელი ცხოვრების წესით ვახერხებდი ამ ყოველივესთან გამკლავებას, მაგრამ რასაც ვერ ვშველოდი ეს იყო მწვავე სახსრების ტკივილი, დაგვარე თავისუფალი მოძრაობის უნარი, დილით ვაშეძებელი ვიღვიძებდი და საწოლიდან ძლივს ვდგებოდი. მკურნალობა დავიწყე ქიმიური წამლებით, მიწვედა 8-9 სახეობის წამლის მიღება და ყველაზე ცული იყო ის რომ შედეგს ვერ ვაღწევდი, ტკივილი არ ქრებოდა. მე ძვერა ბუნებრივი პრეპარატების სამკურნალო ძალის. ამიტომაც, რომ გავიგე თქვენი არსებობის შესახებ ყოველგვარი ყოყმანის გერეშე გეწვიოთ. მიღებული მაქვს კურსებით ბალზამი ზეთი „ჟივიცა“, ბალზამი „პრომედინი“, „ალტაის ათმაგი ძალა“. ყველამ ერთად ძალიან კარგი შედეგები გამოიღო. მომეხმა ტკივილი სახსრებში, მთელ სხეულში გრძობ ძალის მამატებას. უღრმესი მადლობა.

დემურ დუმბაძე, 72 წლის, ქ. ბათუმი

„პრომედინი“ - დამაყენა ფეხზე!

შემიძლია, მტკიცედ ვთქვა, რომ ბალზამმა „პრომედინმა“ დამაყენა ფეხზე. პირველად შვილმა მომიყენა თქვენი კომპანიაში. ფეხების ტკივილისა და სიმძიმის გამო ვერ ვახერხებდი დამოუკიდებლად გადაადგილებას. დღეს კი მოვედი მარტო, შვილის გარეშე. მქონდა ქრონიკული დაავადება, თრომბოფილიტი და ქვედა კიდურების ათეროსკლეროზი. რასაკვირველია, კამბლარების შევიწროვება და სისხლის მიმოქცევის შეზღუდვა. ამან გამოიწვია გულ-სისხლძარღვთა სისტემის პრობლემებიც და მაღალი წნეგები. ახლა ბევრად უკეთესად ვარ, მომხსნა ფეხებში სიმძიმე და ტკივილი, სისხლის მიმოქცევა და წნევა დარეგულირდა. სულ მივიღე 8 კოლოფი და არ ვაპირებ შეწყვეტას. ძალიან ვნანობ, რომ არ მოვედი თქვენთან, როცა პირველად გავიგე თქვენი კომპანიის შესახებ. სიმართლე გითხრათ, არ მჯეროდა, რომ ერთი პრეპარატი ქრონიკულ დაავადებებს დამირეგულირებდა. დიდი მადლობა!

მზია ცომაია, 66 წლის, ქ. თბილისი

სახსრების გქივილს ავარსხებს - ბალზამი „პრომედინი“

ვარ პენსიონერი, დიასახლისი, მყავს ოჯახი, მეუღლე და შვილიშვილები. თქვენს კომპანიაში მოვედი ჩემი მეზობლის რჩევით, თვითონ ჰქონდა კარგი შედეგი. თქვენმა პრეპარატებმა მოუხსნა ტკივილი სახსრებში. მეც გადავწყვიტე, ვამეუმჯობესებინა ჩემი ჯანმრთელობის მდგომარეობა. მოვედი თქვენთან და შევიძინე ბალზამი „პრომედინი“, დაუჯერებელია, მაგრამ მოვიხმარე სულ 4 კოლოფი და მომხსნა ყველა პრობლემა. მაწუხებდა სახსრები, მტკიოდა და შეშუბებული მქონდა მუხლის მიდამოში, ვერ ვადგილი, არ მასვენებდა მაღალი წნევა და უძილობა. დიდი მადლობა, რომ დამიბრუნეთ ჯანმრთელობა, სიმხნევე და ხალისი. დემეტრე დავლიძე

ესმა აბეწავაშვილი, 79 წლის, ქ. წნორი

„პრომედინი“ კანის ლაპარაკის ნინაღვლა!

მოგესალმებით. მე გახლავართ ეკონომისტი, ჩემი პროფესიით საპენსიო ასაკამდე ვმუშაობდი. ახლავარდობიდანვე მქონდა უმნიშვნელო ზომის ხალები სხეულის სხვადასხვა ნაწილზე, რამაც წლების განმავლობაში მიიღო ცვლილება და იქცა საწინააღმდეგარდ მზარდ ლაქად. შეძლებისდაგვარად ვარიდებდი მზეს, თუმცაღა გაჩნდა საფრთხე კანის კიბოს აგრესიული ფორმისა. მივიღე ბალზამ „პრომედინის“, ერთი კურსი გარეგანი მოხმარებისთვის. სხეულის ერთ ნაწილზე ლაქა საერთოდ გაიძქრა. შედარებით ყველაზე დიდი ზომის წარმონაქმნი კი გაქრობის პირასაა სხვა დამატებითი შემოსავალი ვარდა პენსიისა არ მაქვს და ვერც კი წარმოადგენს თუ სიმსივნის მკურნალობას ჩემი სახსრებით ვაუმჯობესებდი...



ნუნუ პატარაშვილი, 70 წლის, ქ. თბილისი



სასწაულმოქმედი რეცეპტი უძველესი დროიდან

უახლოეს წარსულში ჩვენმა მეცნიერებმა შეძლეს, აღედგინათ ხალხური მედიცინის უძველესი და უნიკალური რეცეპტი, რომელსაც ალტაის, ციმბირის მოსახლეობა იყენებდა სხვადასხვა დაავადების სამკურნალოდ და გადასცემდა მას თაობიდან თაობას. ის არა ერთხელ იყო მოხსენიებული მკვლევარების ჩანაწერებში, რომლებიც მოგზაურობდნენ რუსეთის ამ იდუმალი რეგიონებში. ტიბეტის მკურნალების ათასწლოვანი გამოცდილება ჩვენი მონაპოვარი გახდა მათი მოსახლეობის მიგრაციის შედეგად ციმბირის ტერიტორიაზე. პროდუქტების უნიკალური შემადგენლობის სამკურნალო თვისებები, თვით ბუნების ყოვლისშემძლე ძალა — ეს არის ბალზამი „ალტაის ათმაგი ძალა“.

ბალზამი შესულია მრავალი სასარგებლო თვისებების მქონე 10 ნივთიერებაში:

მანვის ქონი — უძველესი დროიდან ფასობდა თავისი სამკურნალო თვისებების გამო. მას ხალხურ მედიცინაში აქტიურად იყენებენ ზედა სასუნთქი გზების დაავადებების დროს.

ნატურალური თაფლი — მრავალი ვიტამინების და ფერმენტების შემცველი ნვთიერებაა, ახდენს ორგანიზმზე ზოგად გამაჯანსაღებელ და ანთების საწინააღმდეგო მოქმედებას.

კაკლის ზეთი — ერთ-ერთი გამოჩენილი თვისებების მქონე მცენარეული ზეთი, დიდი რაოდენობით შეიცავს ვიტამინებს (A, C, E)

ნარშავის ზეთი — აღადგენს და იცავს ღვიძლს დაზიანებებისგან.

ყვავილის მტვერი — ამავრებს კაპილარების კედლებს და ამადლებს ორგანიზმის დამცავ ფუნქციას.

ღინღელი — მას გააჩნია მიკრობოსაწინააღმდეგო მოქმედება 100-ზე მეტ სახეობის ბაქტერიაზე, სოკოებზე და ვირუსებზე.

ჩაგის ექსტრაქტი (არვის სოკო) — წარმოადგენს ლიერ ანტიოქსიდანტს, იცავს ორგანიზმს მავნე გარე ფაქტორებისგან.

ჩრთილოთი ირმის ნორჩი რქების კონცენტრატი — ფართოდ გამოიყენება ჩინურ მედიცინაში, ნერვული სისტემის მკურნალობისას.


მუშია — რთულად მოსაპოვებელი ნვთიერება, ის ეფექტიანად მოქმედებს კანის და საჭმლის მომხელეველ სისტემის დავადების დროს.

ქარვის მუჯავა — აჩქარებს აღდგენით პროცესებს, ამცირებს სახსრების ტკივილს.

სასიამოლო მომავლს შევადგინე დაავადებების დროს: ცენტრალური ნერვული სისტემის, გულ-სისხლძარღვთა სისტემის, საჭმლის მომხელეველი სისტემის, სასუნთქი სისტემის, ენდოკრინული სისტემის, მარლ-სასქესო სისტემის, საყრდენ-მამოძრავებელი აპარატის, კანის საფარველის, ანთებითი პროცესების დროს.

შეგიჟენაური სიბერე - შესაძლებელია!

ვიდრე ჯანმრთელად ვიყავი, 45 წელი ვატრობაში ვიყავი ჩართული. ასაკში შესულს იმდენმა დაავადებამ ჩემში იჩინა თავი, რომ ლოგინად ჩავარდი. სახსრებში ჩალაგებულ მარილებისგან დადავდილება საერთოდ აღარ შემეძლო, გამუდმებული თავის ტკივილისგან, ძილი და მოსვენებაც კი მქონდა დაკარგული, ამ ყველაფერთან ერთად მაწუხებდა ვენების გააჩნეობა. გაჭირვებული ხავს ეჭიდებოდა, ამ განწყობით მოვმართეთ. დიდი იმედი არ მქონდა ვერც კი წარმოვიდგენდი ჩემს ვეზე წამოვადამას თუ შეძლებდით. მე მიღებული მაქვს ბალზამი „ალტაის ათმაგი ძალა“, რაოდენ ვასაკვირიც არ უნდა იყოს, ყველა ზემოაზროვლილ დაავადებას ვაგუქმავდი ამ თქვენი პრეპარატით. მომიწია რამდენიმე კურსის მიღება, მაგრამ შედეგი ამათ ღირდა. პროფილაქტიკისათვის დღემდე ვღებულობ. დღეს მე გეწვეთ იმისათვის, რომ ყველას ვაუზუნარი ჩემი შედეგები დაგლოცოთ და მადლობა გადაგიხადოთ სიკეთისთვის.



იზოლდა იმნაძე, 72 წლის, ქ.ლანჩხუთი

„ალტაის ათმაგი ძალა“ ასთმის შეკავებას ნინაძე

სადაც მე ვცხოვრობ ვაზოთი არ რიგდება, თქვენი პროდუქტის შესახებ ქალიშვილისგან ვაგივებ. 20 წელია ბრონქიალური ასთმა მოსვენების და სრულყოფილი ცხოვრების საშუალებას არ მაძლევდა. ჩემმა ავადმყოფობამ და ასაკმა ერთ დროს აქტიურ ცხოვრებას მიჩვეული კაცი ლოგინს მიმაჯაჭვა. წლებს მამოლზე ვმკურნალობ, მაგრამ გარდა იმისა, რომ უშედეგო აღმოჩნდა, კუჭსაწლავიც გამოიზიანა, თავს სუსტად ვგრძობდი, ღამის განმავლობაში 3-4 ჯერ მაინც მქონდა ხუთვითი შეტევები. ვსაჭიროებდი მუდმივ მეთვალყურეობის ქვეშ ყოფნას. „ალტაის ათმაგი ძალის“ მიღება დამაწყებინა შეიშა. ერთი კურსის მიღების შემდეგ მდგომარეობა საპარისპიროდ შეიცვალა. როგორც იქნა ღამის შეტევები მომეხსნა, სრულიად მომიწყვრივდა საჭმლის მომხელეველი სისტემა. მთელი ოჯახით გადავვდიეთ თქვენს პრეპარატებზე. ჩემს მეუღლეს აწუხებდა მადლი წნევა. მისთვის საპარისპირო აღმოჩნდა ერთი კოლოფი ზეთი „ჟივიცის“ მიღება, რომ დარეგულირებინა წნევა. პირდაპირი ამ სიტყვის მნიშვნელობით ორივე ვებრუნებოდა ცხოვრებას. უზომო მადლიერების ნიშნად წერილს გავზავნი ქალიშვილის საშუალებით.

ომაზი ოდიშარია, 75 წლის, ქ.სენაკი

სრულყოფილი სხოვრება

გაქვილი გარეშე - გუნჯარივი პრეპარატების დახმარებით

22 წელი რუსეთში ვავატარე. საქმაოდ დატვირთულ რეჟიმში მიწვედა ცხოვრება, დაკავებული ვიყავი სხვადასხვა სფეროში. ბოლოს დღისა და ჩემი კუთხის მონატრებამ ჩემს მიწა-წყალზე დამაბრუნა. დატვირთვამ და სტრესმა გულზე იმდენად იმოქმედა, რომ ორჯერ ზედიზედ ინფარქტი გადავიტანე. გამიკეთდა სტენტირება, მაგრამ მას შემდეგ ლოგინად ვიყავი ჩავარდნილი. თქვენს გაზეთს რომ ვაგვეცანი, გამახსენდა, რუსეთში ცხოვრების პერიოდში ადგილობრივებისგან არაერთხელ მსმენია ამ პროდუქტის შესახებ. შედეგანობაზე და დიდი იმედი მომეცა. „ალტაის ათმაგი ძალის“ და „ჟივის ზეთის“ თითო კურსის ჩატარებით ფეხზე წამოვდექი. ჯიხის დახმარებით თქვენადვე მოვუვალს ვახერხებ. გმადლობთ, ძველბურად მინჯანის მართვის ამბიციაც კი გამიჩნდა.



თემურ ნოდია, 61 წლის, აბაშა

გამოფანა-გაყიდვის განრიგი

Table with columns for location (თბილისი, ბათუმი, ფოთი, ქუთაისი), address details, and dates/times for product distribution.

ბალზამი „არომალინი“ ერთი შეფუთვის ფასი 35,20. კურსი (4 შეფუთვა) 140,80 10% - 126,70ლ
შუშბ და პენსიონერებისთვის 32,20. კურსი (4 შეფუთვა) 128,80 10% - 115,90 ლ
ბალზამი „ალტაის ათმაგი ძალა“ ერთი შეფუთვის ფასი 39,40. კურსი (4 შეფუთვა) 157,60 10% - 141,80ლ
შუშბ და პენსიონერებისთვის 36,40. კურსი (4 შეფუთვა) 145,60 10% - 131,00 ლ
სამკურნალო კურსი მიმდინარეობს -10% ფასდაკლება ყველა ქვემოთ ჩამოთვლილ პროდუქტთან - ბალზამი: „პრომოილინი“ და „ციმბირული ბალზამი“; მალბაზი: „ეფექტუმი“, „ვენომაზი“; თბალისი წმინტები: „ფაურინი“ და „ოკოვირინი“; შურის მოვლის საშუალებები: „უნიონორმი“, ზეთი „ჟივიცა“, „ლიტოზეთი ჟივიცასთან“ „ქვის ზეთი“; მლმმსირი: „ოსტეოლიაფი“, „ლიბეტინორმი“



„არომალინი“ ჯილა (60 კაფსულა) 350 ლ - 218 ლ; 20 კაფსულა - 85 ლ
(+995) 571 22 98 98 WWW.APIFITO.GE

განხილეთ ახალ სისტემასთან იქნება...

...ლამაზი კუთხეა გურია საქართველოსი. მისი ლანდშაფტი სამმუხრავანი სივრცე – გაშლილი სინთეზია. მოქნილი მთები ბახმაროსკენ თანდათან ზვიადობით ამართული. თვალუნვდენელი ჭლანი, სამეგრელოსაკენ ძლევამოსილებით გაფენილი. მოშორებით შავი ზღვა, ეს უხვად გამდინარი მუქი ზურმუხტი. გურიაში მოიძებნება ისეთი პუნქტი, საიდანაც ადამიანის მჭვრეტი თვალი ამ სამმუხრავან ლანდშაფტს ერთ ესთეტიკურ სარკმელში გაატარებს... გურულს სხვაზე მეტად ესაჭიროება მდიდარი მატერიალური ყოფა – წერს გრიგოლ რობაქიძე, როგორ ზრუნავს სახელმწიფო რეგიონის განვითარებაზე და რა გეგმები აქვს გურიის სამხარეო ადმინისტრაციას, გურიის გუბერნატორი გია სალუქვაძე მოგვითხრობს.

– ბატონო გია, როგორ გესახებათ გურიის რეგიონის განვითარება, რა ცვლილებები შევიდა 2015-2017 წლების სამოქმედო გეგმაში?

– ჩვენს რეგიონში მნიშვნელოვანი ძვრებია ტურიზმის მიმართულებით. მოგეხსენებათ, ბახმაროს დიდი პოტენციალი აქვს, გამოირჩევა როგორც სამკურნალო-გამაჯანსაღებელი, ასევე სამთო-სათხილამურო ტურიზმის კუთხით. საქართველოს მთავრობა კურორტის განვითარებას დიდ ყურადღებას უთმობს. მიმდინარეობს მუშაობა „ბახმაროს საკურორტო ზონის განვითარებისთვის ზოგიერთ ღონისძიების განხორციელების თაობაზე“ განკარგულების შესაბამისად, მომზადდა წყალმომარაგებისა და გაზიფიცირების სამუშაოების საპროექტო დოკუმენტაცია. სულ მალე, ბახმარო უნდა იქცეს ერთ-ერთ მაღალგანვითარებულ კურორტად – მოწესრიგებული ინფრასტრუქტურით, საუკეთესო გზებით, განაშენიანებისა და გარემოსდაცვითი უზრუნველყოფით, განვითარდება სხვადასხვა ტურისტული მიმართულება. ოზურგეთში მიმდინარეობს დაბა ურეკისა და შეკვეთილის წყალმომარაგებისა და საკანალიზაციო ქსელის მშენებლობა, რაც გაზრდის ტურისტების ნაკადს და გააუმჯობესებს მომსახურების პირობებს. გომისთაზე დაიწყო წყალმომარაგების სისტემის მშენებლობა, მაღალმთიანი კურორტის განვითარებისა და პოპულარიზაციისთვის ოზურგეთის მუნიციპალიტეტი ენერჯიას და მონდომებას არ იშურებს. რაც შეეხება 2015-2017 წლების სამოქმედო გეგმას, 2017 წელს მოწესრიგდება გზები და საბავშვო ბაღები, მუნიციპალიტეტებში იგეგმება წყალმომარაგების სამუშაოები, კულტურის სახლებისა და სახლ-მუზეუმების მშენებლობა-რეაბილიტაცია. რეგიონის განვითარებაში ჩართული ვართ მე და ჩემი მოადგილეები, მუნიციპალიტეტების მერი/გამგებლები, საკრებულოს თავმჯდომარეები და მათი მოადგილეები.

– სახელმწიფო რწმუნებულები, გუბერნატორები შეხვედრით საქართველოს პრემიერ-მინისტრს გიორგი კვიციანიძეს, რეგიონული პროექტების განხორციელების დროს მეტი აქტიურობისკენ მოგიწოდათ.

– 2016 წელს ინფრასტრუქტურულ პროექტებზე 28 415 836 ლარი გამოიყო. სამუშაოები განხორციელდა როგორც ცენტრალური, ასევე ადგილობრივი ბიუჯეტიდან. სახელმწიფოს მიერ დაფინანსებული პროექტების ფარგლებში მიმდინარე წელს შესრულდა 42 პროექტი, აშენდა და რეაბილიტაცია ჩაუტარდა სკოლამდელ, კულტურულ, ადმინისტრაციულ შენობებს, აშენდა 4 საბავშვო ბაღი, უკვე დაწყებულია და წელს დასრულდება



გია სალუქვაძე

3 ბალის მშენებლობა-რეაბილიტაცია. სტიქიის სალიკვიდაციო ღონისძიებების ფარგლებში მოეწყო ხიდები, სანიღვრე არხები და გაბიონები. მიმდინარეობს გაზიფიცირების, წყალმომარაგების სისტემის მოწყობისა და რეაბილიტაციის სამუშაოები. გზები, ხიდები, კურორტების ხელშეწყობა, გამართული ინფრასტრუქტურა, ბიზნესის განვითარება და დამატებითი სამუშაო ადგილების შექმნა. ასე რომ, გურიაში დაგეგმილი პროექტები სწრაფი ტემპით უნდა განხორციელდეს.

– გურიის რეგიონი ეკონომიკურად არ არის წელში გამართული. რა დარგები უნდა განვითარდეს, რომ გახდეს წარმატებული?

– გურიის განვითარების მთავარი მიმართულებებია ტურიზმი და სოფლის მეურნეობა. 2016 წელს შეკვეთილში გაიხსნა 10 000 კაცზე გათვლილი ულტრათანამედროვე საკონცერტო დარბაზი, მსოფლიოში ცნობილ მომღერლებსა და მუსიკოსებს უმასპინძლა. 20 მაისს აეროსმიტის კონცერტი გაიმართება.

– ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს დაკვეთით საპროექტო კონსორციუმმა „არტსტუდიო“ მოამზადა ბახმაროსა და ურეკის განვითარების



კომპანია ENATEXILE წარმომადგენლები



შეხვედრა ინგო მლუტიუხთან

გეგმა, როდის დაიწყება მასშტაბური პროექტის განხორციელება?

– ურეკი-შეკვეთილის სარეკრეაციო ზონის მინათ-სარგებლობის გენერალურ გეგმაზე მუშაობა დასრულებულია, 2016 წელს შეთანხმდა ოზურგეთის საკრებულოსთან. რაც შეეხება ბახმაროს, საქართველოს მთავრობის 2016 წლის 25 თებერვლის №317 განკარგულების – „ბახმაროს საკურორტო ზონის განვითარებისათვის ზოგიერთ ღონისძიებათა განხორციელების თაობაზე“ – მიმდინარეობს პროექტზე მუშაობა, 2017 წლის აპრილის ბოლოს დასრულდება.

– ბატონო გია, კურორტ ბახმაროს ქომაგი ბრძანდებით, წელს პირველად, ზამთარში უცხოელ ტურისტებს უმასპინძლეთ, მნიშვნელოვანია სამთო-სათხილამურო, ექსტრემალური და სათავგადასავლო ტურების მოწყობა. რა საიხლებია სამედიცინო ტურიზმის მიმართულებით?

– მართლაც, ისტორიაში პირველად, ბახმარომ, როგორც ზამთრის კურორტმა დაიწყო არსებობა. წელს ჩამოვიდა 70-მდე ევროპელი ტურისტი, უცხოელმა რეპორტიორებმა მოამზადეს დოკუმენტური ფილმი, ბახმაროს შესაძლებლობებს მთელი მსოფლიო გაიცნობს. დიდი მონონება დაიმსახურა კურორტის კლიმატმა და თოვლის ხარისხმა. მომავალ წელს ტურისტების რაოდენობა გაიზრდება. ბახმაროს ახალ სიცოცხლეს კარგი გამოხმაურება მოჰყვა, მართლაც, გაჩნდა მოკლევადიანი, სათავგადასავლო ტურების მოთხოვნა. გურიის ტურიზმის განვითარების ერთ-ერთ მიმართულებად ბალნეოლოგიური ტურიზმი უნდა განვიხილოთ, მოგესვენებათ, ურეკში, მაგნეტიტის ტერიტორიაზე გვაქვს უნიკალური სამკურნალო ქვიშის სანაპირო, ათწლეულების მანძილზე იზიდავს ტურისტებს და მისი პოპულარობა სულ უფრო მზარდია. ბახმაროს სამკურნალო და გამაჯანსაღებელ თვისებებს განაპირობებს მთისა და ზღვის ჰაერის შერწყმა, ასევე კურორტის უნიკალური მდებარეობა. სამედიცინო ტურიზმის ერთიან ჯაჭვში განვიხილავთ ოზურგეთის მუნიციპალიტეტში სოფელ ძიმითში მდებარე „ნასაკირალის სამკურნალო წყლებს“. საქართველოს პრემიერ-მინისტრის დავალებით, ეროვნული საინვესტიციო სააგენტო და ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია, ახორციელებენ ერთობლივ პროექტს, დაიწყება ქვეყანაში არსებული სპა და ბალნეოლოგიური კურორტების შესწავლა. სწორედ, ამ პროექტის ფარგლებში შეისწავლიან „ნასაკირალის სამკურნალო წყლებს“.


– ისევ ბახმაროს თემას მივუბრუნდეთ, ჩოხატაურის საკრებულომ განიხილა მინათსარგებლობის გენერალური გეგმის გეგმარებითი დავალების დოკუმენტი, მთავარი საკითხი კურორტისთვის სტატუსის მინიჭებაა. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტს არ აქვს სათანადო ბიუჯეტი,

ბახმაროს განვითარებისთვის თანხა ცენტრალური ბიუჯეტიდან უნდა გამოიყოს. როდის დაიწყება ინფრასტრუქტურის მონერსიგება და სხვა სამუშაოები?

– საქართველოს მთავრობის განკარგულებით შეიქმნა კურორტის განვითარების სპეციალური სამთავრობო კომისია, მთავარია, არსებობს მინათსარგებლობის დოკუმენტი, განაშენიანების გენერალური გეგმა, ჩოხატაურის საკრებულოში შეთანხმდა პირველი და მეორე ეტაპის სამუშაოები, ამჟამად მიმდინარეობს მუშაობა მესამე ეტაპზე. დამტკიცების შემდეგ ინვესტორებისთვის გვექნება კონკრეტული შეთავაზებები, დაზუსტდება დეტალები, საცხოვრებელი კოტეჯების მაკეტები, სამშენებლო ზონები და განისაზღვრება საექსპლუატაციო პირობები. მიმდინარეობს გაზიფიცირების სამუშაოების დაპროექტება, აღნიშნული გეგმის გათვალისწინებით დაიწყება კურორტის დაქსელვა.

– რა გეგმები აქვთ უცხოელ ინვესტორებს?

– გერმანელი ინვესტორი ინგო მლუტიუხი საქართველოში ორი წლის წინ ჩამოვიდა. დაიწყო სამთო-სათხილამურო კურორტების პოტენციალის შესწავლა. 2016 წლის დეკემბერში შეეხვდით და ბახმაროში ტურისტულ ჯგუფს ვუმასპინძლეთ. პირველი სეზონი წარმატებული იყო, მნიშვნელოვანი სამუშაოები განია გურიის სამხარეო ადმინისტრაციამ, ადგილობრივმა ხელისუფლებამ და კურორტის ადმინისტრაციამ. მომავალ სეზონზე ინვესტორს სურს სასტუმროს აშენება, დამატებითი სპეცტექნიკის შექმნა და ტურისტების რაოდენობის გაო-



კურორტ ნასაკირალის სამკურნალო წყლები

თხმაგება. მუნიციპალიტეტში შეიქმნება დამატებითი სამუშაო ადგილები, ტურისტების მომსახურებისთვის პროდუქტებს მომიჯნავე სოფლებში ყიდულობენ. მზარდი ტურისტული ნაკადი მათ შემოსავლებზე აისახება. ცენტრალური ხელისუფლების ყველა შტო გამოხატავს მზაობას, ინვესტორს მზარში დაუდგეს, რომ დასახულ მიზანს მიაღწიოს. ჩოხატაური ბახმაროს გზა უთუოდ გამოცოცხლდება.

– თქვენ შეხვდით და ესაუბრეთ გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრს გიგლა აგულაშვილს. ბახმაროს ულელტეხილზე, პონტოს მუხის გავრცელების არეალში შეიქმნება დაცული ტერიტორია, შემდეგ კურორტზე უნდა დაარსდეს ეროვნული პარკი, რომელიც უფრო მძლავრი ინსტრუმენტია. რას დაგპირდით მინისტრი?

– ეს საკითხი უკვე შეისწავლეს, სულ მალე დაიწყება მისი განხილვა. შევთანხმდით, გურიაში რაც შეიძლება

მეტი დაცული ტერიტორია შეიქმნას. ტურისტების რაოდენობის გაზრდა, ინვესტიციების მოზიდვა, ბიომრავალფეროვნების დაცვა და შენარჩუნება, – ჩვენი სამოქმედო გეგმის მთავარი მიმართულებებია.

– **სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებას მხოლოდ სახელმწიფო ვერ გაუმკლავდება, აუცილებელია კერძო ბიზნესის განვითარება და დამატებითი სამუშაო ადგილების შექმნა. რამდენი ახალი საწარმო გაიხსნა გურიამში?**

– იგეგმება რამდენიმე ახალი საწარმოს გახსნა. თურქული კომპანია ENA TEXTILE სურს ოზურგეთში 1000 სამუშაო ადგილზე გათვლილი სამკერვალო ფაბრიკის მშენებლობა, მსოფლიოში ცნობილი ბრენდების ZARA და MANGO პროდუქციას დაამზადებენ. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ დვაბზუში სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ ინიცირებული „გადამამუშავებელი და შემნახველი საწარმოს თანადაფინანსების“ პროექტის ფარგლებში მიმდინარეობს ჩაის გადამამუშავებელი საწარმოს მშენებლობა, იაფი სესხის და გრანტის საშუალებით კომპანია „საქართველოს თაიგულმა“ შეიძინა მანქანა-დანადგარები, საწარმო მაისის თვეში გაიხსნება. საინვესტიციო ღირებულება შეადგენს 427 000 აშშ დოლარს. ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრომ კომპანიას 6912 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო მიწის ფართობი სიმბოლურ ფასად გადასცა. ბენეფიციარმა თავის მხრივ საწარმოს შექმნისთვის გაიღო პროექტის მთლიანი ღირებულების 10%-ი, ანუ 42 700 აშშ დოლარი. სახელმწიფო პროგრამის „წარმოე საქართველოში“ ფარგლებში ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ დვაბზუში გაიხსნა შპს „ასკანგელ ალიანსის“ ბენტონიტური თიხის გადამამუშავებელი საწარმო. აღჭურვილია გერმანული წარმოების თანამედროვე დანადგარებით. კომპანიამ 30 მილიონი ლარის ინვესტიცია განახორციელა, საწარმო კიდევ ფართოვდება. 2015 წელს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში დაიწყო ხელოვნების სასახლის მშენებლობა, ძირითადად, რეგიონებში განსახორციელებული პროექტების ფონდიდან დაფინანსდა. მშენებლობის მიმდინარეობის დროს 100-მდე ადგილობრივი იყო დასაქმებული. სასახლე აღჭურვილია განათებისა და ხმის თანამედროვე, საერთაშორისო სტანდარტების აპარატურით. ხელოვნების სასახლეში განთავსდება სახალხო თეატრი და „კულტურის ცენტრი“. 350 მაყურებელზე გათვლილი შენობა ადაპტირებულია შშმ პირებისთვის. ქალაქ ოზურგეთში გაიხსნა ხილის გადამამუშავებელი საწარმო, მიმდინარეობს არასტანდარტული ხილის გადამამუშავება, ადგილობრივები პროდუქციას რეალიზაციას ვერ უწევდნენ. ანასეულის საწარმო მასშტაბურობით და მაღალი ტექნოლოგიით საქართველოში ერთ-ერთი პირველია. ხილის გადამამუშავებით მიიღება ნატურალური და ბიოლოგიურად სუფთა პროდუქტი არყის სახელწოდებით „ოტკა“. საწარმო დაფინანსდა შეღავათიანი აგროკრედიტის ფარგლებში,





ოზურგეთში
**ჩაის გადამამუშავებელი
საწარმოს მშენებლობა მიმდინარეობს**



ინვესტორმა 2 მილიონამდე დოლარის ინვესტიცია განახორციელა.

– **რა სიახლეებია სოფლის მეურნეობის სფეროში, იგეგმება თუ არა ჩაის ალორძინება?**

– ჩაი ერთ-ერთი მოთხოვნადი და ძვირადღირებული კულტურაა. გურიის რეგიონის ნიადაგურ-კლიმატური პირობები საუკეთესოა ჩაის კულტურის განვითარებისთვის. შესაძლოა ერთ-ერთ სტრატეგიულ კულტურად განვიხილოთ, როგორც საექსპორტო პროდუქტის მომცემი. სამეცნიერო მიმართულებით გურიას დიდი პოტენციალი აქვს. მაღალი ხარისხის პროდუქტზე ადგილობრივ ბაზარზე და უცხოეთში დიდი მოთხოვნაა. სოფლის მეურნეობის განვითარების მიმართულებით გურიამი ბევრი სიახლეა. მოქმედებს შეღავათიანი აგროკრედიტის პროექტი და მოიცავს შემდეგ ფინანსურ პროდუქტებს 1. შეღავათიანი აგროკრედიტის პროექტის) საბრუნავი საშუალებებისათვის; ბ) ძირითადი საშუალებებისათვის, 2. შეღავათიანი აგროლიზინგი, 3. სახელმწიფო პროგრამა „წარმოე საქართველოში“. ჩაის პლანტაციების რეაბილიტაციის პროგრამის მიზანია: საქართველოში არსებული ჩაის პლანტაციების პოტენციალის ეფექტურად გამოყენება, ადგილობრივი ჩაის (მათ შორის ბიო ჩაის) წარმოების ზრდის ხელშეწყობა, რის შედეგად ამალდება თვითუზრუნველყოფა და გაიზრდება საექსპორტო პოტენციალი; როგორც კერძო, ასევე სახელმწიფო საკუთრებაში არსებული გავრელებული ჩაის პლანტაციების რეაბილიტაცია; მოსახლეობის დასაქმება და მათი სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება; ჩაის პირველადი გადამამუშავებელი თანამედროვე საწარმოების შექმნის ხელშეწყობა.

– **ჩაის მწარმოებლები პრეტენზიას გამოთქვამენ, ისინი მეტ ყურადღებას ითხოვენ. როგორ პარტნიორობას გაუნევენ?**

– ჩაის მწარმოებლების მიმართ ხელშეწყობა „ჩაის პლანტაციების რეაბილიტაციის პროგრამაში“ აისახება. ხორციელდება როგორც კერძო, ასევე სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ჩაის პლანტაციების სარეაბილიტაციო სამუშაოების თანადაფინანსება. დაფინანსდება პროგრამის ბენეფიციარის (გარდა სასოფლო სამეურნეო კოოპერატივებისა) საკუთრებაში არსებული ჩაის პლანტაციების სარეაბილიტაციო სამუშაოების ღირებულების 60%-ის ოდენობით, ხოლო ჩაის პლანტაციებ) ის იჯარის უფლებით მიღებული სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ჩაის პლანტაციის სარეაბილიტაციო სამუშაოების ღირებულების 70%-ის ოდენობით. დაფი-



ნანსდება სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის საკუთრებაში არსებული ჩაის პლანტაცი(ებ)ის სარეაბილიტაციო სამუშაოების ღირებულების 80%-ის ოდენობით, ხოლო ჩაის პლანტაცი(ებ)ის იჯარის უფლებით მიღებული სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ჩაის პლანტაციის სარეაბილიტაციო სამუშაოების ღირებულების 90%-ის ოდენობით. სააგენტო პროგრამაში ჩართულ სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებს საკუთრებაში უსასყიდლოდ გადასცემს ჩაის პირველადი გამამუშავების მანქანა-დანადგარებს, მოწყობილობებსა და ინვენტარს. სარეაბილიტაციო სამუშაოების ღირებულება ერთ ჰა-ზე გადაანგარიშებით არ უნდა აღემატებოდეს 2 500 ლარს (დღგ-ს ჩათვლით). იმ შემთხვევაში, თუ სარეაბილიტაციო სამუშაოების ღირებულება 1 ჰა-ზე აღემატება 2 500 ლარს, თანადაფინანსების მოცულობის დადგენა 1 ჰა-ზე განხორციელდება 2 500 ლარიდან გამომდინარე. სარეაბილიტაციო სამუშაოების თანადაფინანსება განხორციელდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სამუშაოებს შეასრულებს სააგენტოს მიერ წინასწარ შერჩეული რეაბილიტაციის განმახორციელებელი კომპანიებიდან ერთ-ერთი. პროგრამის ბენეფიციარის საკუთრებაში არსებული ჩაის პლანტაცი(ებ)ი ან პროგრამის ბენეფიციარის მიერ შერჩეული და სახელმწიფოსგან იჯარის უფლებით მისაღები სარეაბილიტაციო ჩაის პლანტაცი(ებ)ის ფართობი არ უნდა აღემატებოდეს 300 ჰა-ს; პროგრამის ბენეფიციარმა (გარდა სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებისა) უნდა უზრუნველყოს ჩაის ფოთლის გადამამუშავებელი საწარმოს შექმნა/გაფართოება, ხოლო სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივმა უნდა უზრუნველყოს ჩაის ფოთლის გადამამუშავებელი შენობა-ნაგებობის შექმნა/გაფართოება. სააგენტო განახორციელებს პროგრამის ბენეფიციარებისათვის ტექნიკურ დახმარებას ჩაის სწორად დამამუშავების ტექნოლოგიებში, სერტიფიცირებაში, მარკეტინგში, რეალიზაციის არხების შექმნაში და სხვა. პროგრამის ფარგლებში ჩაის პლანტაციების რეაბილიტაციის მიზნით განსახორციელებელი სამუშაოებია – ჩაის პლანტაციის განმენდა (ხეებისაგან, მეტალის და ბეტონის ნარჩენებისგან, უცხო საგნებისგან); პლანტა-



ასკანის ციხე

ციის მძიმე ან ნახევრადმძიმე გასხვლა; სადრენაჟე არხის მოწყობა (სადრენაჟე არხის მოწყობა შესაძლებელია პლანტაციის მძიმე ან ნახევრადმძიმე გასხვლამდეც); რიგთაშორის ნიადაგის დამუშავება/გაფხვიერება (ზედაპირული გაფხვიერება 15-20 სმ. სიღრმეზე); პირველ წელს სასუქების და სასოფლო-სამეურნეო პრეპარატების (მათ შორის ბიო) შესყიდვა.

– რა გეგმა გაქვთ გურიაში კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებთან მიმართებაში, ეტაპობრივად დაიწყება თუ არა აღდგენა?

– 2016 წელს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს მხარდაჭერით, ვაშნარის (გურიანთა) ნაქალაქარზე ჩატარდა მცირე მასშტაბის არქეოლოგიური კვლევა-ძიება. ექსპედიციაში მონაწილეობდნენ ადგილობრივი ხელისუფლების, მუზეუმის და ეპარქიის წარმომადგენლები. გაიწინადა 1949 წელს გ.გობჯიშვილის მიერ გათხრილი ბაზილიკისა და მავზოლეუმის, ასევე გალავნის ნაწილის ნაშთები. ამერიკის ელჩის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ფონდში წარდგენილი პროექტი „კულტურული მემკვიდრეობა-ქალაქის უკეთესი მომავლისთვის“ ითვალისწინებს ქ.ოზურგეთში აღმოჩენილი ისტორიული აბანოს ნაშთების კონსერვაცია/რესტავრაციას. აქტიურად ვთანამშრომლობთ ოზურგეთის მუნიციპალიტეტსა და საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის ეროვნულ სააგენტოსთან. მომზადდება პროექტი და დაიწყება მნიშვნელოვანი ძეგლების ასკანისა და ლიხაურის ციხეების რესტავრაცია/აღდგენა.

– რას უსურვებთ გურულებს, სამხარეო ადმინისტრაცია და გუბერნატორი იქნებით მათი ინტერესების დამცველი?

– ყოველთვის ვიცავთ ადგილობრივების ინტერესებს, ჩემი მიზანია, ხალხის პრობლემები სწრაფად და ეფექტურად გადაიჭრას. სამხარეო ადმინისტრაცია ბევრ ადამიანს ეხმარება, მომავალიც ასე გაგრძელდება. ჩემს გურულებს ვუსურვებ კეთილდღეობას, განვითარებას, დოვლათს, რაც მთავარია, არ დაკარგონ მომავლის რწმენა და იმედი.



ლიხაურის ციხე

ბახმაროს უძველესი ენდემური და რელიქტური სახეობები

გურიის სამხარეო ადმინისტრაციაში ბახმაროს ულელტეხილზე არსებული პონტოს მუხის (*Quercus pontica*) დაცული ტერიტორიის შექმნაზე იმსჯელებს. პროგრამას ახორციელებს მსოფლიო ბანკი, ბუნების დაცვის მსოფლიო ფონდი (WWF) და ბუნების დაცვის მსოფლიო კავშირი (IUCN). პონტოს მუხა, როგორც მესამეული რელიქტური სახეობა, წითელ ნიგნშია შესული. საქართველოში ერთადერთი ადგილია, სადაც დიდ ფართობზე 650 ჰა პონტოს მუხის კორომები კონცენტრირებული. შეხვედრის ორგანიზატორები იყვნენ გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს სსიპ დაცული ტერიტორიების სააგენტოს თავმჯდომარე ლაშა მოისწრაფიშვილი და კონსერვაციის დირექტორი, ბუნების დაცვის მსოფლიო ფონდის (WWF) კავკასიის ოფისის დირექტორის მოადგილე ნუგზარ ზაზანაშვილი.



ნუგზარ ზაზანაშვილი

– ბატონო ნუგზარ, რატომ არის კოლხეთი უნიკალური ტერიტორია?

– კოლხეთის ისტორიულ ნაწილში, ბიო-გეოგრაფიული მდებარეობიდან გამომდინარე, შეიქმნა ჩაკეტილი სამკუთხედი – ჩრდილოეთიდან ესაზღვრება დასავლეთ კავკასიონი, სამხრეთიდან, კი, დასავლეთ მცირე კავკასიონი. მესამეული პერიოდიდან, დაახლოებით 2 მილიონ წელზე მეტი ხნის წინ, წარმოიშვა საინტერესო კლიმატური პირობები – ჩრდილოეთიდან ვერ აღწევს ცივი ჰაერის მასები, სამხრეთიდან მშრალი და ცხელი ჰავა, სამკუთხედი იჭერს ტენს, რომელიც ზღვიდან მოდის და აქ კონდენსირებს. ეს „კუნძული“ გახდა თბილი და ტენის მოყვარულების თავშესაფარი. ევროპასა და რუსეთში გამყინვარების დროს, სითბოს მოყვარულმა სახეობებმა მიგრაცია განიცადეს და კოლხეთს შეაფარეს თავი. 2 მილიონი წლის მანძილ-

ზე დაიწყო სახეობების წარმოქმნის პროცესი. მართლაც, უნიკალური ტერიტორიაა, საზოგადოების დიდმა ნაწილმა არ იცის, ქართველები რა სიმდიდრეს ვფლობთ. მიმდინარეობს მუშაობა, იუნესკოს მსოფლიო ბუნებრივი მემკვიდრეობის სიაში კოლხური ტყეები, მათ შორის პონტოს მუხის გავრცელების არეალი შევიდეს.

– რა გამოარჩევს პონტოს მუხის კორომებს?

– პონტოს მუხა 2 მილიონი წლის მანძილზე იქ იყო და გადარჩა. უძველესი რელიქტური სახეობა ასევე კოლხური ენდემია. მსოფლიოში სხვაგან არსად გვხვდება, მხოლოდ აფხაზეთში, აჭარა-გურიაში და მიმდებარე თურქეთშია, თუმცა რთულად მისასვლელია. XX საუკუნის 50-იან წლებში ბახმაროს ულელტეხილზე პონტოს მუხის ნაკრძალი იყო. საბჭოთა კავშირის დროს ყველა დაცული ტერიტორია გაუქმდა, მხოლოდ ლაგოდეხის ნაკრძალი დატოვეს, შემდეგ ვაშლოვანის, ბორჯომის თუ სხვა ალადგინეს, პონტოს მუხის, კი, არა. კარგად იცოდნენ მისი მნიშვნელობა...

– დაცული ტერიტორიების სააგენტო შეისწავლის ბახმაროს უნიკალურ ლანდშაფტს.

– პონტოს მუხის გარდა, იქ ბევრი უძველესი სახეობაა, რომლებიც ენდემიც არის და რელიქტიც. მაგალითად, ასეთია ფართოდ გავრცელებული თეთრად მოყვავილე როდოდენდრონი უნგერნის შქერი. ამ ადგილებში ხუთი სახეობის როდოდენდრონი ხარობს, მათ შორის მარადმწვანე რელიქტური უნგერნის შქერი, რომელიც მარტო სამხრეთ კოლხეთშია. ასევე გავრცელებულია მედვედევის არყი, აღმოსავლური ნაძვი და კავკასიური სოჭი. გურიის ტყეებში ყოველი მესამე ხე-მცენარე იშვიათობაა. სამწუხაროდ, რეგიონის ეკოკორიდორი ნაწილობრივ არის შესწავლილი, ამიტომ კვლევები უნდა გაგრძელდეს.

– თქვენ ყურადღებას ამახვილებთ სამეცნიერო ტურებზე.

– რა თქმა უნდა, სამეცნიერო ტურიზმს დიდი მომავალი აქვს. იქ მოეწეობა სამეცნიერო ვიზიტორთა ცენტრი, ქართველი და უცხოელი ბოტანიკოსები, მოსწავლეები და სტუდენტები იმ ადგილს მოინახულებენ. დაცული ტერიტორიის შექმნას მოჰყვება სათანადო ინფრასტრუქტურა, ტურისტული ბილიკები და საპიკნიკე ადგილები. მთავარია, ადგილობრივი ხელისუფლებისა და ხალხის მხარდაჭერა. საქართველოს მთავრობა მდგრად განვითარებაზე ამახვილებს ყურადღებას. სწორედ ეს არის მდგრადი განვითარების ინსტრუმენტი, ერთის მხრივ ბუნების შენარჩუნება, ბუნების დაცვას, კი, მოჰყვება სერვისები, იკლავს მენეჯერებისა და ზვავების ალბათობა. მეორეს მხრივ ტურისტული თუ სხვა აქტიურობით, ადგილობრი-



ვებმა მიიღონ სარგებელი.

**- დაცული ტერიტორია კანონის აღმასრულებელი უწყებ-
ბაა, რა დადებითი ფაქტორია კურორტ ბახმაროსთვის?**

- ეს არის მწყობრი სისტემა თავისი საკანონმდებლო ბაზით. კანონი დაცული ტერიტორიების სისტემის შესახებ შეიქმნა საერთაშორისო კრიტერიუმების გათვალისწინებით. ფონური კვლევები მომავალშიც გაგრძელდება და მნიშვნელოვან ჰაბიტატებს სათანადო ყურადღება დაეთ-
მოება.

**- გურიაში არ არის ეროვნული პარკი, რომელიც უფრო
მძლავრი და მრავალფეროვანია.**

- ალკვეთილის დეფინიციაა, - ჰაბიტატის (ადგილ-
სამყოფელი) და/ან სახეობის მწყობრი მენეჯმენტის შე-
ქმნა. რა თქმა უნდა, ეროვნული პარკი უფრო მსხვილი
ერთეულია, ექვემდებარება ზონირებას. საერთაშორისო
განსაზღვრებაში მითითებულია, - ბიომრავალფეროვნე-
ბის დაცვა და ტურიზმის განვითარება. ეროვნულ პარკში
მოეწეობა ტურისტული ინფრასტრუქტურა, განვითარ-
დება საცხენოსნო, სათავგადასავლო და ექსტრემალური
ტურიზმი. ვიზიტორების მოზიდვა უშუალოდ მისი ფუნქ-
ციაა. ეროვნული პარკის შესაქმნელად ბახმარო საუკეთე-
სო ადგილია, ჩაერთვება მთელი ხეობა და შევა სამხრეთ-
საქართველოს ტურისტულ მარშრუტში. გული მწყდება,
როდესაც ბახმაროს გაჩეხილ ბუნებას ვუყურებ, თუმცა
ზონირების შედეგად, თბილი და ტენიანი კლიმატი მცე-
ნარეების ბუნებრივი რეგენერაციის დიდ პოტენციალს
შექმნის. გურიის ტყეებში რელიქტური და ენდემური სა-
ხეობების სიუხვეა, ტრადიციულად
ალიარებული კურორტი, რომელსაც
რეკრეაციული დანიშნულება აქვს.
აქვეა ნაბელავის მინერალური წყა-
ლი. ნისლი ეს არის მაღალი ტენია-
ნობისა და ტემპერატურის ცვლილე-
ბის შედეგად წარმოქმნილი ნალექი,
კოლხეთის ერთ-ერთი დამახასიათე-
ბელი თვისებაა. სათავგადასავლო
ტურიზმის მოყვარულთათვის, ვისაც
ნისლში გაგნება უყვარს, საუკეთე-
სო კლიმატური პირობებია. ასე რომ,
ალკვეთილის შემდეგ ნაბიჯ-ნაბიჯ
უნდა ვიფიქროთ ეროვნული პარკის შექმნაზე.

გაფორმდება კონსერვაციული ხელ-
შეკრულება, თანხა მათ შემნახველ
ანგარიშზე ჩაირიცხება, რა მცირე
ბიზნესიც სურთ, წამოიწყონ. თანხის
განკარგვას პროექტი არ ამოწმებს.
კორიდორის პროექტს გერმანიის
მთავრობა აფინანსებს. ამ ეტაპზე
საწყის სტადიაშია, ვინცებთ ადიგენი-
სა და ხულოს მუნიციპალიტეტებში,
რამდენიმე წელიწადში გურიაში შე-
მოვა. დაცულ ტერიტორიებთან ერ-
თად დამატებით ხელშესახები სიკეთე
ჩნდება. მთავარია, ადგილობრივები,
განსაკუთრებით ახალგაზრდები დაინტერესდნენ, გამოი-
ჩინონ ინიციატივა. მოგესხნებათ, ბუნება ბიზნესის ნაწი-
ლია და მხოლოდ დაცვას არ გულისხმობს. ხალხს უნდა
მოსწონდეს და მეტი სარგებელი მიიღოს. ჩოხატაური
ბახმაროს გზა, ბუნებრივი რესურსები, საუკეთესო კლი-
მატური პირობები და მსოფლიო მნიშვნელობის კურორტი
- ეს სიმდიდრეები რაციონალურად გამოიყენონ. ეკო-
ლოგიურ-საგანმანათლებლო მიმართულებას სათანადო
ყურადღება უნდა დაეთმოს, მედია საზოგადოებასთან
კომუნიკაციის საუკეთესო საშუალებაა. რაც შეეხება ხე-
ლისუფლებას, დაცული ტერიტორიის შექმნას ამტკიცებს
საქართველოს პარლამენტი. არჩევნებში გამარჯვებულმა
მაჟორიტარმა დეპუტატმა იზრუნოს, ეროვნული პარკი
რაც შეიძლება სწრაფად შეიქმნას. საჭიროა ფინანსური
მობილიზება, რადგან დაცული ტერიტორიის მოწყობას
სულ მცირე 2 მილიონი ლარი ესაჭიროება. უცხოელი დო-
ნორები გარემოსდაცვით საკითხებს დიდ მნიშვნელობას
ანიჭებენ, ეროვნული პარკის დაარსებაში ისინი აქტიურად
მონაწილეობენ. ეს პოტენციური შესაძლებლობები დროუ-
ლად უნდა იყოს რეალიზებული.

**- ბუნების დაცვის მსოფლიო ფონდი (WWF) მუშაობს
ახალ პროექტზე. რას ითვალისწინებს კორიდორის პროექ-
ტი?**

- ბორჯომიდან კინტრიშის გავლით თურქეთის საზღ-
ვრამდე მოეწეობა ეკოლოგიური დერეფანი. დიდი „თეთრი
ლაქა“ გამოიკვეთა გურიის რეგიონში და ადიგენის მუნი-
ციპალიტეტში, სადაც არცერთი დაცული ტერიტორია არ
გვაქვს. პროექტმა აღნიშნული ადგილები თანდათან უნდა



მოიცვას. ეს არის დასავლეთ მცირე კავკასიონის დერე-
ფანი, რომელიც ბორჯომიდან იწყება და აღმოსავლეთ შა-
ვისზღვისპირეთის მთებით ტრაპზონის ეროვნულ პარკში
მიდის, გურიის რეგიონი, კი, საკვანძო როლს ასრულებს.


- რა ფუნქცია აქვს ეკოლოგიურ დერეფანს?

- პირველ რიგში უზრუნველყოს ცხოველების მიგრა-
ცია. კავკასიური ირემი და არჩვი ბორჯომ-ხარაგაულშია
ჩაკეტილი, ტერიტორიის გარეთ დაუცველია. გვსურს,
თავისუფლად გადაადგილდნენ. ეს პროექტი ადგილო-
ბრივებზეა მორგებული, ვინც მაღალმთიანი საძოვრე-
ბით ან ტყეებით სარგებლობს, ხოლო მათი მიწები კო-
რიდორში მოექცევა, ჩნდება თვითდასაქმების პირობები.



გაფორმდება კონსერვაციული ხელ-
შეკრულება, თანხა მათ შემნახველ
ანგარიშზე ჩაირიცხება, რა მცირე
ბიზნესიც სურთ, წამოიწყონ. თანხის
განკარგვას პროექტი არ ამოწმებს.
კორიდორის პროექტს გერმანიის
მთავრობა აფინანსებს. ამ ეტაპზე
საწყის სტადიაშია, ვინცებთ ადიგენი-
სა და ხულოს მუნიციპალიტეტებში,
რამდენიმე წელიწადში გურიაში შე-
მოვა. დაცულ ტერიტორიებთან ერ-
თად დამატებით ხელშესახები სიკეთე
ჩნდება. მთავარია, ადგილობრივები,
განსაკუთრებით ახალგაზრდები დაინტერესდნენ, გამოი-
ჩინონ ინიციატივა. მოგესხნებათ, ბუნება ბიზნესის ნაწი-
ლია და მხოლოდ დაცვას არ გულისხმობს. ხალხს უნდა
მოსწონდეს და მეტი სარგებელი მიიღოს. ჩოხატაური
ბახმაროს გზა, ბუნებრივი რესურსები, საუკეთესო კლი-
მატური პირობები და მსოფლიო მნიშვნელობის კურორტი
- ეს სიმდიდრეები რაციონალურად გამოიყენონ. ეკო-
ლოგიურ-საგანმანათლებლო მიმართულებას სათანადო
ყურადღება უნდა დაეთმოს, მედია საზოგადოებასთან
კომუნიკაციის საუკეთესო საშუალებაა. რაც შეეხება ხე-
ლისუფლებას, დაცული ტერიტორიის შექმნას ამტკიცებს
საქართველოს პარლამენტი. არჩევნებში გამარჯვებულმა
მაჟორიტარმა დეპუტატმა იზრუნოს, ეროვნული პარკი
რაც შეიძლება სწრაფად შეიქმნას. საჭიროა ფინანსური
მობილიზება, რადგან დაცული ტერიტორიის მოწყობას
სულ მცირე 2 მილიონი ლარი ესაჭიროება. უცხოელი დო-
ნორები გარემოსდაცვით საკითხებს დიდ მნიშვნელობას
ანიჭებენ, ეროვნული პარკის დაარსებაში ისინი აქტიურად
მონაწილეობენ. ეს პოტენციური შესაძლებლობები დროუ-
ლად უნდა იყოს რეალიზებული.





...შურსა და ცილზე ამაღლებული...

ჯუმბერ ჯიშკარიანი გეოგრაფი, სპელეოლოგი, პრომეთეს მღვიმის ერთ-ერთი აღმომჩენი, საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტი, სერგეი მესხის პრემიის ლაურეატი, ფაზისის აკადემიის წევრი, ქაქუცა ჩოლოყაშვილის ეროვნული საზოგადოების საპატიო წევრი, საქართველოს გეოგრაფიული საზოგადოების საპატიო წევრი, წყალტუბოს საპატიო მოქალაქე.

ბატონ ჯუმბერ ჯიშკარიანს ბოლო დროს მხედველობის პრობლემა შეექმნა, მიუხედავად ამისა ენერჯია არ დაიშურა და წიგნი ...შურსა და ცილზე ამაღლებული... გამოსცა. ლევან გოთუას შესახებ დაგროვილ პუბლიკაციებს ჟურნალ გურიაREGION მკითხველი გაეცნობა.

...ხელთ მაქვს ლევან გოთუას წიგნი „ხდედალეულნი“, რომელიც დიდი ხნის წინ მაჩუქა გეოგრაფიის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილემ პროფესორმა დავით წერეთელმა. ბატონი დავითი კრილენკოს ექსპედიციაში მონაწილეობდა პამირში. ქართველ მთამსვლელებს შორის ბ-ნ დავითს პირველს მიენიჭა სსრკ სპორტის ოსტატის წოდება.

გეოგრაფიის ინსტიტუტში მუშაობდა სსრკ სპორტის ოსტატი, ქვეყნის ორგზის ჩემპიონი რეზო ხაზარაძე. იგი ყოველწლიურად საქალაქო ალპინიზმში მონაწილეობდა, რომელიც ხდეს ხეობაში მარწყვიჭალაში ეწყობოდა. მისი მეშვეობით მრავალი ცნობილი მთამსვლეელი გავიცანი.

ბატონმა დავითმა იცოდა, რომ მთებით ვიყავი გატაცებული, ამიტომ ლევან გოთუას წიგნი „ხდედალეულნი“ მაჩუქა. თავად წიგნი კარგად იყო შენახული, თუმცა ყდა დაძენილია.

ერთხელ საქართველოს ალპიურ კლუბში მივედი, რომელიც ყოფილი კიროვის პარკის ტერიტორიაზე მდებარეობდა. ჩემი ყურადღება მიიპყრო გოლიათური აღნაგობის მამაკაცმა, რომელსაც მონინებით ესალმებოდნენ, ებასებოდნენ. იგი მისალმებაზე მორიდებით პასუხობდა. ლომის ფაფარივით აშლილი, შევერცხლილი ხუჭუჭი თმა ამშვენებდა. დარბაზში შესვლამდე გავბედე და მეც გამოველაპარაკე. ვუთხარი, მთამსვლელობაზე წიგნი რომ მქონდა.

– „ხდედალეულნი“, ხელნაწერებთან ერთად, ჩემს შფოთიან ცხოვრებაში სადღაც გამეზნა, – ბრძანა მან.

სიხარულით ცას ვენიე. დავპირდი, რომ წიგნს მივართმევდი. ბატონმა ლევანმა მისამართი და ტელეფონი ჩამანერინა. იმხანად ვახუშტის სახელობის გეოგრაფიის ინსტიტუტის კარტოგრაფიის განყოფილებაში ვმუშაობდი, ამიტომ გარეკანი, შრიფტი, ფერები ზუსტად აღვადგინე. წიგნი ახალ ყდაში ჩავსვი. მაშინდელი პლესანოვის 115-ში, მეორე სართულზე ავედი. კარი ბატონმა ლევანმა გამიღო. სასტუმრო ოთახში შემიძღვა და ჩემი თავი მეუღლეს წარუდგინა.

– შეხედე, ამდენი წლის შემდეგ „ხდედალეულნი“ დამიბრუნდა, – ღიმილით უთხრა მეუღლეს. ეს შემთხვევა უნდა აღვნიშნოთო.

უფალს მადლობას ვწირავ. იმ დღიდან ბატონი ლევანის სიახლოვეს გატარებული ტკბილ-მწარე დღეები უძვირფასეს მოსაგონრად მექცა.

P.S. „თავს სინანული სჯობია, ბოლოჟამ დანანებასა“, – ბრძანებდა დავით გურამიშვილი. წლების მანძილზე ბ-ნ ლევან გოთუას შესახებ უამრავი მასალა დამიგროვდა, თუმცა უსისტემოდ. მხედველობის პრობლემა რომ დამიდგა, მათი მონესრიგება გამიჭირდა.

სხვა გზა არ იყო, თავად უნდა მეზრუნა. ჩემი მეგობრის, ივანე ჯაფარიძის ნათქვამი გამახსენდა. დისერტაციის წერა რომ დაამთავრა, ხელმძღვანელს, გამოჩენილ მეცნიერს, მედია უზნაძეს გადასცა. ქ-ნმა მედემ ორთოგრაფიულად შეუსწორა, ვანოს უთხოვია, იქნებ, სტილისტურადაც შემისწოროთო. – ჩემო კარგო, ეს უკვე შენი კი არა, ჩემი ნაწერი იქნებაო.

ამიტომ მეგობრების შემოთავაზებაზე ჩემი ხელნაწერი „გაეჩაღხათ“, უარი ვთქვი.

მე და ჩემმა რედაქტორმა გადავწყვიტეთ, არავინ შეგვეწუხებინა.

მკითხველმა დიდსულოვნად მოგვიტევეს, თუ წიგნში სტილი, მასალების განლაგება, ან სხვა რამ ყოველთვის არ არის დაცული.

ლევან გოთუას სიტყვა მკითხველს

„...შემოქმედი კაცი – მოუსვენარი კაცია... ერთი ფიქრი მეორეს ამოკეხილად მისდევს... ერთი წიგნი თავდება, მეორე იწყება! არ არის არც შუალედი, არც საშველი! ან რა მომასვენებს, როდესაც ირგვლივ ამდენი ამბებია, თემებია, მოვლენებია!..“

ჩუმად გეტყვით – ყოველ მწერალს თავის ირგვლივ ქაოსი ელანდება და იგიც შემოქმედის უფლებამოსილებით თხზავს და არკვევს!

ამ გარკვევასაც აქვს თავისი ჭირნიშანი და მიდრეკილება... მე ჩვენი ერის ცეცხლმოდებული ისტორია მიყვარს და მსიბლავს... მას, როგორც ცოცხალს, დღევანდელ დღეს, ისე განვიცდი.

მარადიულ ბორიალში ანმყო, წარსული თუ მომავალი – ერთ ღერძზე ბრუნავს! მეც „ქართლის ცხოვრებას“ დავიმოყვრებ, მზეს ავაფარებ და წიგნი თავად ჩაიფურცლება. ყოველი სტრიქონიდან მანდილოსნები, აბჯროსნები, მწიგნობრები, გუთნისდედები გადმოდინან, ალბათ ცალკე და ჩემთან ერთადაც ძველსა და ახალ საქართველოში მოგზაურობენ, მოქმედებენ, იბრძვიან,

შრომობენ და ილოცებიან... ისევ განიცდიან ქართულ მზესა და მინას!

ასე წარმოიშვნენ ჩემი ისტორიული მოთხრობების კრებულები – „კრწანისის სევდა“, „ნისლი ნახატარის ტყეში“, „მატიანური“, „მუმლი მუხასა“, „თრიალეთური ლანდები“, ოთხნიგნიანი რომანი – „გმირთა ვარამი“, „მითრიდატე“, რომლის მეორე ნიგნზე ახლა ვმუშაობ... თანამედროვე თემატ მატკვს დაწყებული და საზრუნავი...

რალა დასაფარავია – ყოველი ჩემი ახალი ნიგნის გამოშვებისას ვღელავ, ვით ტრფობის პატიმარი, რომელიც ყველას წინაშე, თავის კალმის „ძელზე“ გასმული, ელის განაჩენს!.. და რა დიდი ნუგეშია, რომ ჩვენ ასეთი გულისხმიერი და სიტყვათშორის გამგები მკითხველი გვყავს!.. მე მჯერა, რომ გულწრფელობის ხიდი მწერალსა და მკითხველს შორის სრულიადაც არ არის ჩატეხილი!..

და ვგონებ, ეს უფრო მკითხველის დამსახურება არის!.. ეს ჩვენ, მწერლებს – უნდა გვახსოვდეს!


ჩემი დასახელებული ნიგნები ავტორის ბუდიდან უკვე გაფრენილი წეროებია...

მე კი ახალ ხელნაწერებს ვებრძვი... ჩემს ზვარში გინვეთ, მკითხველო გულისხმიერო, არ დამნამო ჩრდილი უთქმელობისა... ხომ არაფერი არ არის ისეთი უბადრუკი, როგორც უგულო სიტყვა! ბუნებას წყალდიდობისა ისე არ ეშინია, როგორც ავი გვაღვისა. მწერლობაში კი ორივემ ერთად იცის დამკვიდრება, მისი გაჩანაგება!.. მაგრამ გულწრფელი შემოქმედება ხომ ბრძოლის ახლო ნათესავია! ყოველ ღირსეულ ნიგნს აქვს თავისი „ეტლი“ და ქვეყნად მოსვლის სვიანობაც“.

ჩემთვის მოგზაურობა და წერა – შემოქმედების ორი მხარეა... და აი, ჩემი ბოლო წლების მოგზაურობის დროს, ციხე-გოჯის ძველთაძველ ნანგრევთა შორის, ჩვენი ანტიკური სამყაროს გმირთა გმირის ჩრდილი გავლანდე... ვეება ტანისა, მეტყველ თვალ-სახისა და უთვალავი ჭრილობების ამარა!.. ამის შემდეგ იგი ყველგან განუშორებლად მელანდებოდა... მალე ძველი ნანგრევებიდან გადმომისახლდა და ჩემს ფიქრებს დაეფულა. ასე შევეყარე მითრიდატე პონტოელს მისი უკანასკნელი ჭრილობიდან ორი ათასზე მეტი წლის შემდეგ!

ეს შეყრა არსებითად ბუნებრივია – ჩვენ ხომ ჩვენი წინაპრების განმეორებული ნაირსხვაობანი ვართ, მსოფლშეგრძნობაში, ხილვებსა და ლტოლვებში კვლავ ვემსგავსებით მათ და მათივე დაუდგრომელი სული მოკვდამს!

მე ძველი მთამსვლელი ვარ და ვიცი, მაღალ მწვერ-



ვალებს უფრო ხშირად დიდი ბურუსი ახვევიათ ხოლმე... ასეა მითრიდატეს ირგვლივაც, რომელიც, ორმოცი წლის განმავლობაში გაერთიანებულ ქართულ და ქართველურ ტომებთან ებრძოდა ძლიერების ზენიტში მყოფ რომის მსოფლიო იმპერიას. ეს იყო ალბათ პირველი და უდიდესი გამოსვლა ქართული სამყაროსი მსოფლიო ასპარეზზე... და მისმა საბოლოო დამარცხებამ ჩვენ კარგა ხნით გამოგვაგდო დიდი ისტორიიდან. მსოფლიოს კი რამოდენიმე საუკუნით რომის მონობის შავი ფარდა ჩამოეფარა.

მე კი, ოცი საუკუნის შემდეგ, დავდივარ კალმითა და ხელნაწერებით სპერის ზღვიანეთში, სარფიდან დოსკურიამდე... უფრო შორსაც – ყირიმში – მითრიდატეს მთამდე ვაკითხავ ჩვენს ანტიკურ ძეგლებს, მითრიდატეს მონუმენტსა და თანამედროვეებს...

ჰოი, რა დიდი ანტიკური სამყარო გვქონდა, ჩვენ კი საშუალო საუკუნეთა ძეგლთა მიღმა ვეღარ ვხედავთ უფრო ძველსა და უფრო მინაში ჩათხრილ საფუძვლებს!..

ჰოი, ჯერ კიდევ რამდენი საქართველო გვქონია „აღმოსაჩენი“!.. და მითრიდატეს საქართველო უპირველეს ყოვლისა“!..

სსოვრება ლევან ბოთუასი

„...ეს ვერ გამიგია, სამშობლო იმიტომ მიყვარს, რომ ასე შორსა ვარ, თუ იმიტომ ვარ ასე შორს, რომ ასე ძლიერ მიყვარს სამშობლო...“

ფრაგმენტი ვორკუტის საკონცენტრაციო ბანაკიდან შინ გამოგზავნილი წერილიდან.

გამოჩენილი ქართველი მწერალი ლევან გოთუა სრულიად გამორჩეული ხელწერისა და აზროვნების შემოქმედი გახლდათ.

...იშვიათად რგებია მწერალს ერის ისეთი სიყვარული, როგორც მას ხვდა წილად. იგი მრავალმხრივი მოღვაწე იყო, მაგრამ თავისი შინაგანი ენერგია უპირველესად მწერლობაში გაამყვანა და საყოველთაო აღიარებაც დაიმსახურა. მისმა ნაწერებმა საპატიო ადგილი დაიმკვიდრეს მრავალსაუკუნოვანი ქართული მწერლობის ისტორიაში.

„...ლევან გოთუამ ხელოვანთა გაღერებაში შემოაბიჯა შემოქმედებითი ძალების მოზღვავეებითა და უჩვეულო სიმდიდრით. ამ შესანიშნავ ხელოვანს აღმოაჩნდა რეფორმატორის ნიჭი, მწერლის უძლიერესი კულტურა.

საქართველოს წარსული, რომელსაც მისი კალამი შეეხო, საოცრად პოეტური გახდა, ხოლო ამ პოეტურ სამყაროში მისი ამაყი გმირები უკვდავების კვარცხლბეკებს იდგამენ“, – წერდა იპოლიტე ვართაგავა.

„...ბავშვობიდანვე მიყვარდა კლდეებთან ბრძოლა, საფეხურების ჭრა, თავქვემ ბალიშის მაგიერ ქვის ამოღება და ფიქრი“, – წერდა იგი, და ასეთად დარჩა მთელი ცხოვრების მანძილზე. მისი საფიქრალი კი ყველგან და ყოველთვის სამშობლო იყო. ამ ფიქრითა და დიდი გარჯით შეიქმნა უკვდავი „გმირთა ვარამი“, ბრწყინვალე ნოველები – „უგზო ქარავანი“, „კრწანისის სევდა“, „ყინწვისის ანგელოზი“, ჰეროიკული დრამები – „მეფე ერეკლე“, „დავით აღმაშენებელი“; საქართველოს ტყეებს – ქვეყნის „მწვანე აბჯარს“ – უძღვნა რომანი „ლეკვი ლომისა“, ასევე ვრცელი მოთხრობა „ნისლი ნახატარის ტყეში“... მწერალს განუხორციელებელი დარჩა აღმოსავლეთის ძღვევამოსილი მონარქის მითრიდატე პონტოელისადმი მიძღვნილი, სამ წიგნად ჩაფიქრებული ვრცელი ტილო, რომლის მხოლოდ პირველი ტომი იხილა მკითხველმა, მისი მგზნებარე პუბლიცისტური წერილების უმრავლესობას დღემდე არ დაუქარგავს აქტუალობა და აზრის სიცინცხალე, ზოგი მათგანი კი წინასწარმეტყველურიც გამოდგა, რომელიც ცხოვლად ეხმიანება დღეს ჩვენს ქვეყანაში მიმდინარე უმწვავეს მოვლენებს.

* * *

ლევან გოთუამ ცხოვრების საუკეთესო წლები, თითქმის მეოთხედი საუკუნე, შორეულ ჩრდილოეთში, „მავთულსიქითა“ სამყაროში გაატარა. ამიტომ, გასაგები მიზეზების გამო, მწერლის ტრაგიკული ბიოგრაფია თითქმის უცნობი იყო ფართო საზოგადოებისათვის.

საშური საქმე გააკეთა ჟურნალ „მნათობის“ რედაქციამ: მკითხველებს შესთავაზა მწერლის და-ძმის – თამარ და სანდრო გოთუების „თავგადასავალი ლევან გოთუასი“, რომელიც 1990 წელს დაისტამბა. სისხლითა და ცრემლით დაწერილ ამ თხზულებაში, როგორც სარკეში, ისე აირეკლა ჩვენი ერის ტრაგიკული ახლო წარსული, ქვეყნის ცხოვრება ოცდაათიან-ორმოცდაათიან წლებში. ეს დღიურები თითქმის მეოთხედი საუკუნის მანძილზე ინერებოდა. მასში დოკუმენტური სიზუსტითაა მოთხრობილი გოთუების მრავალრიცხოვანი და

ბედნიერი ოჯახის თავს დატეხილი მრავალი ტრაგედია, აღწერილია ლევანის, ცხრამეტი წლის ჭაბუკის პირველი დაპატიმრება 1924 წელს, და მთელი მისი ფათერაკიანი ცხოვრება 1955 წლის ზაფხულამდე, როცა მრავალჭირგამოვლილი ადამიანი საბოლოოდ სამშობლოში დაბრუნდებოდა.

* * *

ლევან პართენის ძე გოთუა დაიბადა 1905 წლის 10 მარტს ცნობილი პუბლიცისტისა და საზოგადო მოღვაწის პართენ ალექსანდრეს ძე გოთუასა და სოფიო გრიგოლის ასულ კემულარიას ოჯახში.

სკოლის დამთავრების შემდეგ ბატონი ლევანი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკურ ფაკულტეტზე ჩაირიცხა, მაგრამ ვერ დაასრულა, რადგან მის თავზე ჭაბუკობიდანვე დაიგრავნა შავი ღრუბლები...

მას არ დაჰკლებია თბილისის, ლუბიანკის, ბუტირკის, ტაშკენტის, ბისკის, ნარიმის, ვორკუტის ციხეებისა და ბანაკების საშინელებანი.

პირველად ცხრამეტი წლის ჭაბუკი მოხვდა სოლოვეკების სულისშემხუთველ ჯურღმულებში.

სოლოვეკის კუნძულები შორეულ ჩრდილოეთში თეთრ ზღვაში მდებარეობს, დვინისა და ონეგის უბეებს შორის. მეთხუთმეტე საუკუნის ოციან-ოცდაათიან წლებში, სოლოვეკის კუნძულებზე მსოფლიოში უდიდესი, მამაკაცთა მონასტერი დაარსდა.

საბჭოთა ხელისუფლების დროს სოლოვეკის მონასტერი პოლიტპატიმრების საპყრობილედ იქცა.

სოლოვეკებზე გამეფებული სისასტიკე რომ წარმოვიდგინოთ, გავეცნოთ ნაწყვეტს ლევან გოთუას მიერ ოჯახში გამოგზავნილი ბარათებიდან:

„– ყოფილი უძველესი მონასტერი, ძირფესვიანად გაუღენთილია რუსული ავი სულით. ახლანდელი საკონცენტრაციო ბანაკები ისეთი აღარაა, რაც სხვა მთავრობის დროს იყო. ეს განსაკუთრებული მნიშვნელობისაა, სადაც სისასტიკისა და უღმობლობის საშინელი კანონები მოქმედებს. აქ ადამიანთა სიკვდილი მძვინვარებს, როგორც სრულიად ჩვეულებრივი ამბავი“.

სოლოვეკის მონასტერი“, 2.III.1927 წ.

(გაგრძელება მომდევნო ნომერში)



გურიის ვაზის ჯიშები

გურიის ტერიტორიის უმთავრესი ნაწილი მთაგორია-ნია. გურიის ქედი გურიას იმერეთიდან ჰყოფს. ხასიათდება დამრეცი ფერდობებით, დასერილი ხევებითა და პატარა მდინარეებით.

გურიის სუბტროპიკულ ზონაში გამოიყოფა ვაზის ზრდა-განვითარებისათვის ხელსაყრელი ქვეზონები, საჭამიასერის, დაბლაციხის, ასკანა-შემოქმედის, შრომა-მერიის, გურიის ქედის ჩრდილოეთის და სამხრეთის მხარეები.

ერმილე ნაკაშიძის გადმოცემით მე-19 საუკუნის მეორე ნახევრის დაწყებამდე ჩხავერის ვაზი მთელ გურიაში ყოფილა გავრცელებული საჯავახოს გარდა, ხოლო შემდგომ ჩხავერის ვაზი შემორჩა ძირითადად გურიის სამხრეთ ნაწილში, აჭარა გურიის ქედის კალთებზე შეფენილ მთიან სოფლებში: ლიხაურში, მაკვანეთში, შემოქმედში, ბაღდადში, ასკანაში და სხვ.

გურიაში ცნობილია ვაზის 59 ადგილობრივი წარმოშობის ჯიში, რომელთაგან 48 წითელყურძნიანია. მათ შორის ჩხავერი, სხილათუბანი, ჯანი, მტევანდიდი, კამური თეთრი, კამური შავი, ათინაური, საკმიელა, კაპისტონი, კლარჯული, მტრედისფეხა, მცვივანი გურული, სამჩხავერა, ჩეპეში, ალადასტური, ჭუმუტა და სხვ.

ვახუშტი ბაგრატიონმა შესანიშნავად დაახასიათა ამ ჯიშებისაგან დაყენებული ღვინოები: „ღვინო კეთილი და შემრგო, გემოიან-სუნიანი მრავლად“.

XIX საუკუნის 40-იან წლების ბოლოს ძლიერმა ყინვებმა და დასავლეთიდან შემოჭრილმა სოკოვანმა დაავადებამ (ნაცარმა), ხოლო შემდგომ ჭრაქმა და მავნებელმა ფილოქსერამ ძლიერ დააზიანა და შეამცირა გურიის ვენახის ფართობები. გურიის ხვედრითი წილი საქართველოს მევენახეობა-მეღვინეობაში 1879 წლის აღწერით 6,97%-ს შეადგენდა, უნდა ვივარაუდოთ, რომ საუკუნის I ნახევარში ხვედრითი წილის მაჩვენებელი უფრო მაღალი იყო.

ცნობილ სპეციალისტს და მკვლევარს – ერმილე ნაკაშიძეს მოძიებული ჰქონდა გურიის ვაზის 40 ჯიში. იგი გვანჯდის ცნობებს ამ ჯიშების გავრცელების შესახებაც ცალკეული სოფლების მიხედვით. ერმილე ნაკაშიძის მონაცემები ეყრდნობა გურიის მევენახეობის თანამედროვე მდგომარეობის ამსახველ მონაცემებს და უხუცესთა გადმოცემებს. ამ თვალსაზრისით ერმილე ნაკაშიძის ნარკვევი გურია-სამეგრელოს მევენახეობის და მეღვინეობის შესახებ ფასდაუდებელია.

ვფიქრობთ, ჩვენი მკითხველისთვის საინტერესო იქნება გურიის ვაზის ჯიშების ყურძნის და ღვინის ზოგიერთი მახასიათებლის გაცნობა. მართალია, ჩვენ



თეიმურაზ ლლონიძე

ჯერ-ჯერობით არ მოგვეპოვება მასალები ყველა ჯიშის აგრობიოლოგიური და სამეურნეო ტექნოლოგიური მაჩვენებლების გამოკვლევის შედეგებზე, თუმცა მკითხველს ვთავაზობთ ცნობებს იმ ჯიშების შესახებ, რომლებიც დღემდე გამოკვლეული და გამოქვეყნებულია.

ჩხავერი ძველთაგანვე ცნობილია როგორც გურიის მაღალხარისხოვანი პროდუქციის მომცემი ვაზის საღვინე ჯიში. ჩხავერის ვაზი ჩამოყალიბებულია შავი ზღვის სანაპირო ზონის ეკოლოგიურ პირობებში.

როგორც ძველად, ისე XX საუკუნის შუახანებისათვის ჩხავერის გავრცელების არეალი იყო დასავლეთ საქართველოს შავი ზღვის სანაპირო ზონა — კოლხეთის ტერიტორია, კერძოდ, გურიისა და აჭარის მუნიციპალიტეტები. აგრეთვე, აფხაზეთი და ქვემო იმერეთი.


ჩხავერი მაღლარი ვაზის ფორმით დიდი რაოდენობით შემორჩა შუა აჭარაში, ქედის რაიონის სოფლებში.

ნამყენის სახით დაბლარი ჩხავერის ძველი ნარგავები ასაკით 45 წლამდე XX საუკუნის შუახანებისათვის შემორჩენილი იყო ჩოხატაურის რაიონის დაბლაციხესა და საჭამიასერში. ჩხავერის ახალშენი ვაზი ამ პერიოდისათვის გაშენებული იყო მცირე ფართობებზე და ერთეული ძირების სახით ჩოხატაურისა და ოზურგეთის რაიონის სოფლებში.

1959 წლის აღწერით ჩხავერის დაბლარი ვაზის საერთო ფართობი შეადგენდა (გურია-აჭარა-აფხაზეთი) 222 ჰა-ს, ხოლო მაღლარის ჩათვლით 279 ჰა-ს.

ჩხავერის ზრდასრული ფოთოლი ღია მწვანეა, ფორმით მომრგვალებული და მცირედ დანაკვეთული, ის საშუალო სიდიდისაა, ფოთოლი სამნაკვეთანია. ფოთლის ქვედა მხარის შებუსვა ქეჩისებრია, ხოლო ზედა მხარე გლუვია ან ბადისებრ დანაოჭებული.

ჩხავერის ყვავილი ორსქესიანია. მტევანი საშუალო ან საშუალოზე მცირე ზომისაა. მისი სიგრძე 10-15 სმ, ხოლო სიგანე 7-12 სმ-ია. დიდი მტევნის სიგრძე 17 სმ, ხოლო სიგანე 12 სმ-ს აღწევს. მტევნის ფორმა ცილინდრულ-კონუსისებრია, ზოგ შემთხვევაში მტევანი ცალფრთიანია. აგებულებით მეჩხერია. ჩხავერის მარცვალი მუქი წითელ-ვარდისფერია, ის სიდიდით საშუალო ან საშუალოზე მცირეა, მარცვლის კანი არ არის რბილი, რბილობი ხორციანი და წვნიანი, ტკბილი და სასიამოვნო გემო აქვს.



ყურძენი შეთვალვას იწყებს აგვისტოს ბოლოს და სექტემბრის I დეკადაში, მასობრივად მწიფდება I ნახევარში.

ჩხავერის მტევნის საშუალო წონა მერყეობს 95,0-123,0 გ-მდე. წვენი გამოსავალი შეადგენს 73,9-80,06 %-ს, საშუალოდ კი 77,4 %-ს უდრის. ყურძნის მაგარი ნაწილების წონა კი 22,6 %-ს შეადგენს. ჩხავერის დიდი მტევნის წონა აღწევს 251,9 გ-ს, ხოლო მცირე - 79,8 გ-ს.

დაბლარად ფორმირებული ჩხავერის ვაზი უფრო სუსტია, ოლიხნარზე და მალლარზე კი უფრო ძლიერი. მალლარად ფორმირებისას ახასიათებს უხვი მოსავლიანობა, ვიდრე დაბლარად ფორმირებისას.

ჩხავერის ყურძნისაგან დგება მაღალხარისხიანი სუფრის, ბუნებრივად ნახევრადტკბილი და შუშხუნა ღვინო.

ჩხავერის ღვინო ხასიათდება ღია ვარდისფერი, ნაზი, ჰარმონიული არომატითა და გემოთი, სასიამოვნო და ხალისიანი მჟავიანობით, ზომიერი ექსტრაქტულობით, ოდნავ მომეტებული ტანინით, რაც გამოწვეულია ტკბილის ჭაჭაზე დაღუღებით.


კამური თეთრი გურიის თეთრყურძნიანი ვაზის აბორიგენული ჯიშია. მიეკუთვნება მაღალხარისხოვან სუფრის ყურძნის ჯიშთა ჯგუფს. ლიტერატურულ წყაროებში, აგრეთვე, გურიისა და იმერეთის მოსახლეობაში კამური თეთრი ცნობილია „თეთრი კამურას“, „კამურას“ და „კამურის“ ყურძნის სახელწოდებით.

ერმილე ნაკაშიძეს კამური თეთრი მითითებული აქვს გურიის თეთრყურძნიანი ვაზის ჯიშად.

კამური თეთრის ხნიერი ეგზემპლარები მხოლოდ ზემო გურიაში გვხვდება და წარსულშიც ამ მხარეში იყო მასობრივად მალლარად გავრცელებული. როგორც ძლიერად მოზარდ ჯიშს, მას ხშირად რგავენ ჭურ-მარნების თავზე დასაჩრდილებლად, აგრეთვე, შენობების ან აივნების გასალამაზებლად. გადმოცემით თეთრი კამურის პროდუქციას იყენებდნენ ყურძნად. ამ მიზნით ყურძენს ხშირად ვაზებზე ტოვებდნენ და მხოლოდ ზამთარში კრეფდნენ ან აკიდოს სახით ინახავდნენ ზამთრის განმავლობაში. გურიის ზოგიერთ სოფელში (საჯავახო, ბურნათი, ფარცხმა), აგრეთვე, ქვემო იმერეთშიაც კამურისაგან ღვინოს აყენებდნენ. კამური თეთრის ღვინო ზომიერი სპირტემცველობით, მცირე მჟავიანობით და საკმაო სხეულით ხასიათდება.

1953 წლის აღწერით კამური თეთრი მალლარად საკუთარ ძირზე აღირიცხებოდა 5,45 ჰა-ზე.

კამური თეთრის ზრდადამთავრებული ფოთოლი საშუალო ან საშუალოზე დიდია. აქვს მომრგვალებული ფორმა და მომწვანო. მისი სიგრძე 17,8 — 22,3 სმ, ხოლო სიგანე — 17,7 — 21,5 სმ აღწევს. ფოთლის ქვედა მხარე ქეჩისებრად არის დაფარული ბენვისებური ბუსუსით. ზედა მხარე უფრო ხშირად ბადისებრდაა და ნაოჭებული, გვხვდება გლუვ ზედაპირიანი ფოთლებიც.



კამური თეთრის ყვავილი ორსქესიანია, ნორმალურად განვითარებული ყურძნის მტევნის სიგრძე 13,0-21,0, ხოლო სიგანე — 9,0-12,0 სმ-ია. მტევნის საერთო ფორმა ცილინდრულ-კონუსისებურია, ახასიათებს განტოტვა.

ყურძნის მარცვალი მომწვანოა, ხოლო მზის მხრიდან მოყვითალო ქარვისფერი. სქელკანიანი და მკვრივხორციანია, აქვს სასიამოვნო ტკბილი გემო.

კამური თეთრის ვაზმა ღონიერი ზრდა იცის და ახობების დიდი უნარით გამოირჩევა.

კამური თეთრის მოსავლიანობა მალლარზე ხელშემწყობი ამინდის დროს 1 ძირზე 40 კგ-მდეა. წარსულში გადმოცემის მიხედვით, მალლარზე მოზარდი ვაზი 70-80 კგ-ზე მეტ ყურძენს იხსამდა.

კამური თეთრი დაბრკოლების გარეშე ვითარდება როგორც დაბლობი, ისე მთისპირა ადგილებში და სხვადასხვა ტიპის ნიადაგზე. იგი საუკეთესო პროდუქციას იძლევა სამხრეთ ან სამხრეთ-აღმოსავლეთით დაქანებული და მზით უხვად განათებულ სუსტ ენეროვან ნიადაგებზეც. ამავე დროს, მიიღება უხვი მოსავალი.

კამური თეთრის მტევნის საშუალო წონა 165,0-166,5 გ-ია, კლერტის — 6,7-7,0 გ, ნიბნების — 7,7 დან 8,0 გ, ხოლო ჩენჩოსი — 19,2 — 20,1 გ-ს უდრის. ამგვარად, ყურძნის მაგარი ნაწილების წონა სულ 34,5 — 34,8 გ-ია, ე.ი. საშუალოდ 20,9 %-ს შეადგენს. დანარჩენს — 79,1 %-ს შეადგენს წვენი. დიდი მტევნის წონა 230 გ, მცირესი კი 125 გ. სრული სიმწიფის ყურძნის შაქრიანობა 19,0-20,0 %-ია, მჟავიანობა — 8,0 გ/ლ-ია.


სამეურნეო დანიშნულებით, კამური თეთრი მიეკუთვნება მაღალხარისხოვან ყურძნის მომცემ ჯიშთა ჯგუფს. კამური თეთრის ყურძენი წარმატებით შეიძლება გამოყენებულ იქნას სუფრის ღვინოების დასამზადებლად.

თეიმურაზ ღლონტი

ტყეწიკის მეცნიერებათა დოქტორი, მევენახეობისა და მეღვინეობის საერთაშორისო აკადემიის ნამდვილი წევრი, ალავერდის მონასტრის მარნის ენოლოგ-კონსულტანტი



ზამთრის კურორტები სათხილამურო რეკონსტრუქციას უმასპინძლებს



საქართველოს პრემიერ-მინისტრი გიორგი კვირიკაშვილი სენტ მორიციში სათხილამურო სპორტის საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტს, ჯან ფრანკო კასპერს შეხვდა. საუბრის ერთ-ერთი მთავარი თემა იყო საქართველოს მთავრობის მიერ, სამთო კურორტების განვითარებისა და სპორტის ზამთრის სახეობების პოპულარიზაციის მიზნით გადადგმული ნაბიჯები. გიორგი კვირიკაშვილმა სათხილამურო სპორტის საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტს მიაწოდა ინფორმაცია, ბოლო დროს, საქართველოში, სამთო კურორტების განვითარების მიმართულებით, 150 მილიონი ევროს ოდენობის ინვესტიცია განხორციელდა, რაც, სამთო კურორტებისა და სპორტის ზამთრის სახეობების კუთხით, ქვეყნის მნიშვნელოვან რეგიონულ მოთამაშედ გარდაქმნას იხაზავს მიზნად.

პრემიერმა ასევე ყურადღება დაუთმო მთის კურორტების განვითარების მიმართულებით საქართველოს მთა-

ვრობის გეგმას, რომელიც ბავშვების თოვლთან ნვდომის გაზრდასაც ითვალისწინებს და აღნიშნა, რომ ამ მიზნით, სკოლებში საგაზაფხულო არდადეგების აღდგენა იგეგმება.

გიორგი კვირიკაშვილის განცხადებით, საქართველოს მიზანია, უახლოეს მომავალში, ზამთრის კურორტებზე, მსოფლიო სათხილამურო ორგანიზაციის ჩემპიონატებს უმასპინძლოს.

პრემიერ-მინისტრმა სათხილამურო სპორტის საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტი საქართველოში, ევრაზიული ზამთრის სპორტის ტურიზმთან დაკავშირებულ კონფერენციაზე მიიწვია, რომელიც საქართველოში აპრილში გაიმართება. შეხვედრას ასევე ესწრებოდნენ საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრი ტარიელ ხეჩიკაშვილი, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის მოადგილე ქეთევან ბოჭორიშვილი, მთის კურორტების განვითარების კომპანიისა და საქართველოს სათხილამურო ფედერაციის ხელმძღვანელები.

პრემიერ-მინისტრი გიორგი კვირიკაშვილი ასევე შეხვდა, საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტს ტომას ბახს. შეხვედრის დროს პრემიერმა ისაუბრა საქართველოს მთის სწრაფად განვითარებად კურორტებზე.

საქართველოს მთავრობის მეთაური, სენტ მორიციში, სამთო მოთხილამურეთა 2017 წლის მსოფლიო ჩემპიონატის ფინალურ ეტაპსაც დაესწრო, ასევე, შეხვდა და საქართველოში მთის კურორტების განვითარების შესახებ ესაუბრა ქართველ მოთხილამურეებს, რომლებიც ჩემპიონატში მონაწილეობდნენ. ჩემპიონატზე წელს ხუთმა ქართველმა სპორტსმენმა იასპარეზა.

ბახმარო ზამთრის სპორტებით სსოვრობს...

თაობების აუხდენელი ოცნება, ბახმაროს 4-სეზონიანი კურორტის ფუნქცია ჰქონოდა, დღეს უკვე რეალობაა. გურიის სამხარეო ადმინისტრაციის, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის და კურორტის ადმინისტრაციის ძალისხმევით, ქმედითი ნაბიჯები გადაიდგა!.. თითქმის ყველა ხელისუფლება ბახმაროს თემით მანიპულირებდა, წინასაარჩევნო კამპანიის დროს აქტუალური იყო, შემდეგ კი, ეს პერსპექტივები დავიწყებას მიეცემოდა, მათ არ ჰქონდათ კურორტის განვითარების გეგმა. დღეს, საქართველოს მთავრობა სკულპტუროზულად მუშაობს. უცხოელმა და ქართველმა სპეციალისტებმა თოვლის ხარისხს მაღალი შეფასება მისცეს. ზამთრის სპორტის სახეობების განვითარებისთვის ბახმარო საუკეთესო ადგილია. მომავალი თაობა ამ სიკეთეს უთუოდ დაინახავს. ასე რომ, 4-სეზონიან, მოდერნიზებულ კურორტს დამსვენებლები, პროფესიონალი, თუ მოყვარული მოთხილამურეები არა მარტო ზაფხულში, ზამთარშიც ეწვევიან. ბახმარო ღირსეულ ადგილს დაიკავებს, მისი შესაძლებლობები ამოუნწურავია. წელს, დაიწყება ყოვლისმომცველი გეგმის განხორციელება, ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლება უცხოელ ინვესტორს კურორტის განვითარებაში დაეხმარება. სოციალურ-

ეკონომიკური თვალსაზრისით, მიმზიდველი პროექტია, დასაქმდებიან ადგილობრივები, გაიზრდება ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი. ყველას ვულოცავ ამ წარმატებას. ბახმარო აღარ არის მითი, რეალობაა...

დავით საჯავია
კურორტ ბახმაროს დირექტორი



დავით საჯავია და სულხან მინდაძე

ფრანგი მენარე ქართული სორბლით დაინტერესდა

52 წლის ჟან ჟაკ ჟაკობი დასავლეთ საფრანგეთში, ბრეტანიუს რეგიონში ცხოვრობდა. ის ქართული ხორბლის კულტურით დაინტერესდა და საქართველოში საქმიანობა გადანწყვიტა. დღეს, ჟან ჟაკ თბილისში ყველა იცნობს, ფალიაშვილის ქ. № 33ა კვირაში ორჯერ ოთხშაბათს და შაბათს მინიბაზარი იმართება. ეზოს შესასვლელთან აბრამ – ქართული მინის ბარაქა ჟურნალ გურიაREGION ყურადღება მიიქცია და მენარემს გაესაუბრა.

– საფრანგეთის უნივერსიტეტში ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტზე ვსწავლობდი. ვარ ხის დურგალი. მშობლებს ფერმა ჰქონდათ, ბავშვობიდან ასეთ გარემოში გავიზარდე.

რესპონდენტის საუბარში მსახიობი ჯაბა ნულაძე (აკიმი) ჩაერთო.

– ჟან ჟაკი კულტურის ცენტრში გავიცანი, იქ კაფე მქონდა, მოვიდა და მთხოვა, შენს ეზოში მინიბაზარი მოვანყოთო. მეზობლებს თანხმობა ვთხოვე. აქ ყოველთვის ხალხმრავლობაა, მოდიან ქართველები, დეპუტატები, მინისტრები, უცხოელი ელჩები. ერთხელ დილის 8 საათზე გამაღვიძეს, ვანო მერაბიშვილი მოვიდა და იკითხა, – სად არის ის ფრანგი? პროდუქტები შეიძინა. დედა პარიზიდან ჩამოვდა, 94 წლის ქალი დილით ეზოს თავისი ფანჯრებიდან ათვალიერებს. ასე რომ, ფალიაშვილის ქუჩაზე მცირე ვაკური ბაზარი გვაქვს, კარგი კაცია, ახლა უნდა დავეხმაროთ, ქართველი ცოლი შეერთოს – იცინის.

ჟან ჟაკი – იყიდება ნატურალური პროდუქტები, დავინტერესდი ხორბლის ჯიშით – ახალციხის ნითელი დოლი.

– სად გაქვთ მეურნეობა?

– ალავერდთან ახლოს სოფელ არგოხში 40 ჰა ფართობზე მოგვყავს ხორბალი, ბოსტნეული. სახლში პურის საცხობი მაქვს, მეზობელი ქალბატონები მუშაობენ. ცხვება ფუნთუშა, ნიგეზიანი ნამცხვარი, ქადა. 2010 წელს ჩემს მეგობრებთან ერთად დავაფუძნე ორგანიზაცია „მომავლის მინა“, განვიხილავთ სოფლის მეურნეობის საკითხებს.

– რატომ უნდა მოვიდნენ მინიბაზარში მომხმარებლები?



ჟან ჟაკ ჟაკობი

– ჩვენთან იყიდება ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტები – სალათა, კარტოფილი, ყაბახი, კიტრი, ყველი, ნიორი, კვერცხი, მანონი, სუნელები, ჩვენი საკონდიტრო ნაწარმი, პურის და მჭადის ფქვილი, კოოპერატივი „სობისის“ ნატურალური წვენები, მეფუტკრე ლევან ჯანგავაძე ამზადებს ნატურალურ თაფლს. წარმოდგენილია ბევრი სახეობა — მაისის, წაბლის, მინდვრის ყვავილების, აკაციის, კუნელის თაფლი. საქართველოში დავფუძნდი, მსურს, სულ აქ ვიცხოვრო. მომწონს ქართული სიმღერა და ცეკვა. ევროპაში ნოყიერი ნიადაგი თანდათან მცირდება, თქვენ საუკეთესო მიწები გაქვთ, სოფლის მეურნეობაში დასაქმებულთა რაოდენობა უნდა გაიზარდოს. რაც მთავარია, მომხმარებლებს მაღალი ხარისხის პროდუქტი შესთავაზონ.





ქართული ფუტკარი მსოფლიოში აქვია

ქართველი ხალხი უხსოვარი დროიდან მისდევდა მეფუტკრეობას, როგორც მატერიალური დოვლათის წარმოების დარგს. მეფუტკრეობიდან მიღებული პროდუქტები აკმაყოფილებდა როგორც ქვეყნის შიდა, ისე სხვა ქვეყნების მოთხოვნებს და გაჰქონდათ გასაყიდად საზღვარგარეთ.

ველური მდგომარეობიდან შინაურ და კულტურულ მეფუტკრეობამდე დარგის განვითარებას ხანგრძლივი და საინტერესო ისტორია გააჩნია. XIX საუკუნის დიდმა აღმოჩენებმა მსოფლიო მასშტაბით ფუტკრის მეცნიერულმა შესწავლამ გააძლიერა და გამოავლინა ყველაზე პროდუქტიული და სასარგებლო ნიშანთვისებების მქონე ქართული ფუტკარი და მოახდინა მისი პოპულარიზაცია. ქართული ფუტკრის სინმინდის შესანარჩუნებლად საქართველოს ტერიტორია 1958 წლიდან გამოცხადდა ნაკრძალად. ფუტკრის ხალასად მოშენების საკითხს ეწეოდა ქვეყანაში არსებული საჯიმე მეურნეობები, რომელთა მიერ გამოყვანილი დედები და ამანათნამატები ვრცელდებოდა მსოფლიოს 40 ქვეყანაში. მსოფლიომ აღიარა ქართული ფუტკარი, როგორც მსოფლიოში ყველაზე პროდუქტიული, გრძელხორთუმიანი, თვინიერი, შრომისმოყვარე და სხვა სასარგებლო ნიშანთვისებების მქონე, რის გამოც მეფუტკრეობის საერთაშორისო მსოფლიო კონგრესებმა 1961, 1965 და 1971 წლებში ქართული ფუტკარი დამსახურებულად დააჯილდოვა ოქროს მედლებით.

მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი ქვეყანა თავისი განვითარების ახალ ეტაპში შევიდა, თითქმის დასძლია გასაგები მიზეზებით გამოწვეული ეკონომიკური კრიზისი, მოსახლეობამ ოჯახის ბიუჯეტის შევსების წყაროდ მეფუტკრეობა აირჩია, დარგი გახდა ინტელექტუალური, რადგანაც სხვადასხვა კვალიფიკაციის მქონე მოსახლეობამ, ცხოვრების წესად მეფუტკრეობაში დასაქმება განიზრახა. ყოველწლიურად გაიზარდა ქვეყანაში ფუტკრის ოჯახთა რაოდენობა, შესაბამისად პროდუქტიულობაც, მაგრამ წარმატებებთან ერთად რატქმაც უნდა ხელშემშლელი მიზეზებიც არსებობს, რაც მოგვარებადია.

ქვეყანაში არსებული ინდივიდუალური საფუტკრეები და ფერმერული მეურნეობები, რომლებიც ფლობენ 100-დან 1000 ოჯახამდე ფუტკრის ოჯახებს, აწარმოებენ ფუტკრის პროდუქტებს – თაფლს, ცვილს, დინდგელს, ყვავილის მტვერს, ჭეოს, ფუტკრის სადედე რძეს, შხამს და გარდა ამისა ფუტკრების საშუალებით მცენარეთა დამტვერვის გზით იზრდება სასოფლო-სამეურნეო კულტურების პროდუქტიულობა.

ქვეყნის მეფუტკრეობის დარგის განვითარების საქმეში, კერძოდ ქართული ფუტკრის გამოყვანის და მათი რეალიზაციაში დიდი წვლილი მიუძღვით ინდივიდუალურ მეფუტკრეებს და ფერმერებს, რომლებიც

აკმაყოფილებენ არა მარტო ქვეყნის შიდა, არამედ მეზობელი ქვეყნების მოთხოვნებს. ყველაზე პოპულარულია სამტრედიის რაიონის სოფელ ბაშში მცხოვრები ფუტკრის სელექციონერი შალვა იოსელიანი, რომლის საფუტკრე შედგება მაღალპროდუქტიული ფუტკრის 900 ოჯახისაგან და ყოველწლიურად მეფუტკრეობის სხვა პროდუქტებთან ერთად გამოჰყავს 3-4 ათასი განაყოფიერებული – რეკორდული დედა ფუტკრები, აკმაყოფილებს არა მარტო ქვეყნის შიდა, არამედ საზღვარგარეთის ქვეყნების, მათ შორის თურქეთის რესპუბლიკის მოთხოვნას.



გენია სტეტანიშვილი

ამჟამად მიმდინარეობს სოფლის მეურნეობის სამეცნიერო კვლევითი ცენტრის მიერ ჩხოროწყუს რაიონის სოფელ მუხურში სამეცნიერო მუშაობა ქართული ფუტკრის გენეტიკური სინმინდისათვის.

თანამედროვე პირობებში დიდი ყურადღება ექცევა ფუტკრის ნატურალური პროდუქტების გამოყენებას აპითერაპიაში მოსახლეობის სხვადასხვა დაავადებების პროფილაქტიკისა და სამკურნალო მიზნით. ამ მიმართულებით მოქმედებს რამდენიმე კათედრა, მაგალითად საპატრიარქოს სასულიერო აკადემიაში, ქვეყანაში მეფუტკრეობის შემსწავლელი კურსები ტარდება აპითერაპიასთან ერთად სხვადასხვა კერძო კომპანიაში.

ქვეყანაში ჩამოყალიბებულია შ.პ.ს „ახალი ტექნიკა ლაბორატორია“ (ხელმძღვანელი შალვა ნადირაშვილი), რომელიც აწარმოებს ფუტკრის პროდუქტების შემცველობით სხვადასხვა სამკურნალო საშუალებებს – მალამოების, წვეთების და სითხის სახით, მაგალითად ამ ბოლო წლებში ძალზე პოპულარულია ბუნებრივი ვიტამინების კომპლექსით გამდიდრებული შაქრის სიროფი „აპის რეზისტენტი“, რომელიც დამზადებულია ფუტკრის მაღალხარისხიანი ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტებისაგან (აკაციის თაფლი, სადედე რძე, დინდგელი), იგი ორგანიზმის რეზისტენტობის ამაღლების საშუალებაა, ასევე გამოყენება ინფექციური დაავადებების დაქვეითებული იმუნიტეტის და სხვა დროს. საყურადღებოა ის, რომ შ.პ.ს „ახალი ტექნიკა ლაბორატორია“ აკრედიტირებულია და ამიერკავკასიაში ერთადერთია, რომელიც აწარმოებს ფუტკრის შხამის ხარისხის ლაბორატორიულ შემოწმებას და სერთიფიცირებას. ლაბორატორია უფლებამოსილია, სტანდარტებს დაქვემდებარებული სერთიფიცირებული შხამი შეიძინოს როგორც ჩვენი ისე მეზობელი ქვეყნების მოქალაქეებისაგან ნაღდი ანგარიშსწორებით (დოლარებით) და გაიტანოს სარეალიზაციოდ საზღვარგარეთის ქვეყნებში სხვადასხვა დანიშნულებისთვის.

სააქციო საზოგადოება „აპი-ფიტო“ ფუტკრის ნატურალური პროდუქტებს გამოყენებით (ხელმძღვანელი მზია დევსურაშვილი, ხოლო სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე როლანდ ზირაქიშვილი) რეალიზაციას



უნევს ჩვენი ქვეყნის ადგლობრივი ფუტკრის მიერ დამზადებულ ასზე მეტი დასახელების საშუალებას აპითერაპიაში დაავადებათა პრეფილაქტიკისა და სამკურნალო მიზნისთვის. წლების მანძილზე ატარებს მეფუტკრეობის შემსწავლელ კურსებს აპითერაპიასთან ერთად, რაც მთავარია, სერთიფიცირებულ მსმენელებს უზრუნველყოფს (სურვილის შემთხვევაში) მათზე დაქვემდებარებულ საფუტკრეობში მაღალანაზღაურებადი სამუშაოთი.

საქართველოში გავრცელებულ ფუტკრის დაავადებათა შორის ინვაზიური დაავადება აკარაპიდოზი, რომელიც შემოიჭრა ქვეყანაში 1971 წელს 3-4 წელიწადში ლიკვიდირებული და თავიდან აცილებული იქნა დაავადების გავრცელების და მოსალოდნელი საშიშროებიდან გამონვეული ეკონომიკური ზარალი. 1973 წლის შემდეგ მეფუტკრეობის ინსტიტუტის ფუტკრის დაავადებათა შემსწავლელ განყოფილებაში აღნიშნულ დაავადებაზე საეჭვო ფუტკრის ნიმუშების მიკროსკოპული შემოწმებით აკარაპიდოზი აღარ დადგენილა.

მას შემდეგ 45 წელზე მეტი გავიდა, შარშან ერთეული შემთხვევები დაფიქსირდა და მიმდინარე წელს სადიაგნოსტიკოდ შემოსული ფუტკრის ნიმუშების მიკროსკოპული შემოწმებით აკარაპიდოზი დადგინდა, მცხეთის, დუშეთის, ახმეტის, ქუთაისის, ზესტაფონის და წყალტუბოს რაიონებში. დღეისათვის ქვეყანაში არ არსებობს მეფუტკრეობის ინსტიტუტი და შესაბამისად საკონსულტაციო და დაავადებათა სადიაგნოსტიკო კაბინეტები, ვერ ხერხდება დაავადების დროულ გამოვლინებას, რის გამოც აკარაპიდოზი ქმნის ფართოდ გავრცელების საშიშროებას, რამაც შეიძლება შემდგომ წლებში აფეთქებადი ხასიათი მიიღოს და საშიშროების წინაშე დააყენოს მეფუტკრეობის დარგის მომავალი, მაგრამ თუ ერთობლივად და დროულად იქნება გატარებული დაავადების საწინააღმდეგო სამკურნალო-პროფილაქტიკური ღონისძიებები, სოფლის მეურნეობის სამინისტროს და ვეტერინარიის დეპარტამენტის თანადგომით დაავადებას აუცილებლად დავამარცხებთ.

საყოველთაოდ გავრცელებული ტკიპა ვაროათი გამონვეული ფუტკრის ინვაზიური დაავადება ვაროატოზი, რომელიც ჩვენს ქვეყანაში რეგისტრირებულია 1977 წლიდან, მასთან საბრძოლველად შემუშავებულია და რეგისტრირებულია პრეპარატი ვაროკომი, ხოლო განსაკუთრებით სამრეწველო მეხილეობის და პირობითად ჯანსაღ, სხვა რაიონებში გამოსაყენებლად ერთდროულად ტკიპით გამონვეული (ვაროატოზის) და სოკოვან დაავადებასთან (ასკოსფეროზის) ერთობლივი ბრძოლის პრეპარატი ასკოვარი, რომელიც წარმატებით გამოიყენება ქვეყანაში.

მხოლოდ ადრე გაზაფხულზე ფუტკრის ბარტყის ინფექციური დაავადებების ამერიკული და ევროპული სიდამპლის პროფილაქტიკის მიზნით სეროფთან ერთად მისაცემად შემუშავებულია ანტიბიოტიკების კრებული ბაქტოციდი V რომელიც წარმატებით გამოიყენება მეფუტკრეობაში 3 ათეულ წელზე მეტი ხნის განმავლობაში.

ზაფხულში – ამერიკული სიდამპლის გამოვლინების შემთხვევაში სამკურნალოდ შემუშავებულია 100%-მდე

ეფექტურობის მქონე ფხვნილისებურ ფორმაში გამოსაყენებლად პრეპარატი ვესტა.

ყველა ჩამოთვლილი პრეპარატი (ვაროკომი, ასკოვარი, ბაქტოციდი, ვესტა) დამზადებულია საქართველოში და დაინერგა ქვეყნის ყველა რეგიონში.

საქართველოში მეფუტკრეობის განვითარების ხელშემწყობი ბევრი მიზეზია, გაუქმებულია მეფუტკრეობის ინსტიტუტი, რომელმაც თავისი არსებობის 50 წელზე მეტხანს მრავალი სასიკეთო საქმე გააკეთა ქართული ფუტკრის პოპულაციების შესწავლაში საქმეში, ინსტიტუტის დამსახურებად ითვლება ქართული ფუტკრის სამჯერადად ოქროს მედლით დაჯილდოება, დიდი დამსახურება მიუძღვის ინსტიტუტს საქართველოს საკვები ბაზის, ფუტკრის მოვლა-პატრონობის შესწავლის, დაავადებების საწინააღმდეგო ღონისძიებათა შემუშავებისა და მისი დანერგვაში. დღეს ქვეყანაში შექმნილია კადრების მწვავე დეფიციტი, ასევე არ მოქმედებს ქართული დედა ფუტკრების მოშენების საჯიშე მეურნეობები, არ გვაქვს ინვენტარის დასამზადებელი საწარმოები, ყველაზე პრობლემატურია ჩვენს ქვეყანაში წარმოებული ნატურალური პროდუქტების მსოფლიო ბაზარზე გატანის საკითხი, ქვეყანაში შემოდის სარეალიზაციოდ აუარებელი ფალსიფიცირებული თაფლი, ხოლო ჩვენი ნატურალური მაღალკვებითი და ეკოლოგიურად სუფთა სამკურნალო თვისებების მქონე თაფლის გატანა შეფერხებულია.

თაფლის ანალიზის საერთაშორისო სტანდარტების შესამუშავებლად გადადგმულია სასიკეთო ნაბიჯი შ.პ.ს „ბრეტი“-ს (ხელმძღვანელი გიორგი კეპაშვილი) დაფუძნებით. გაჩნდა ჩვენი მენარმეების მიერ შექმნილი პროდუქციის რეალიზაციის კანონიერი საშუალება, გაიზარდა გაიზრდება არა მარტო მეფუტკრის ოჯახის ბიუჯეტი, არამედ ქვეყნის ბიუჯეტის შევსებაში შეიტანს სოლიდურ წვლილს. მეფუტკრეობის პროდუქტების ხარისხის უზრუნველყოფისთვის შეიქმნა საერთაშორისო აკრედიტირებული ლაბორატორია.

თაფლის რეალიზაციის საკითხი მოითხოვს სახელმწიფოს თანადგომას და ინდივიდუალური მეფუტკრეობის მიერ წარმოებული ნატურალური პროდუქციის მისაღებად დიდ პასუხისმგებლობას.

შეიქმნა საქართველოს მეფუტკრეთა გაერთიანება გილდია, შემუშავებულია 2014-2020 წლების მეფუტკრეობის განვითარების სტრატეგიის და რეალიზაციის უზრუნველყოფის გეგმა, რომლის მიზანია ყველა დაინტერესებულ სახელმწიფო, საზოგადოებრივმა, კომერციულმა სტრუქტურებმა და ცალკეულმა პიროვნებებმა დანერგონ ახალი ტექნოლოგიები, მოამზადონ პროფესიონალი კადრები, განავითარონ ფუტკრის პროდუქტების გადაამუშავების და რეალიზაციის ინფრასტრუქტურები, და შექმნან მრავალი სხვა მიზნობრივი ფონდი. გილდია ხელმძღვანელობს საქართველოს კონსტიტუციის მოქმედი კანონმდებლობით.

ვენერა სტეფანიშვილი

ეკოლოგიურ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი სოფლის მეურნეობის სამინისტროს სამეცნიერო კვლევითი ცენტრის და შ.პ.ს „იმპერვეტის“ (ფუტკარა ჯგუფი) კონსულტანტი

უპროფიტო დაპირებით თენიეშვილის ბიო-ჩაი

ჩაი არომატული, სასიამოვნო და ჯანმრთელობისთვის სასარგებლო სასმელია. მასზე მოთხოვნა მთელ მსოფლიოში დღითიდღე იზრდება. ჩვენს ქვეყანაში ჩაის კულტურა ისეთივე უძველესია, როგორც ვაზის. ქართველმა მენარმეებმა საქმიანობას სერიოზულად მოჰკიდეს ხელი და ქართულ ჩაის ძველი ღირსება დაუბრუნეს. მათი მიზანია, მაღალხარისხიანი პროდუქციის შექმნა. უურნალი გურია REGION დავით თენიეშვილის საქმიანობით დაინტერესდა...

– 12 წელი ვანარმოებ ქართულ, ელიტარულ მწვანე და შავი ბაიხის ჩაის. ჩემი მუშაობის მთავარი სეგმენტი – ბიო-ჩაის წარმოება და სხვადასხვა გამოგონებაა, უნდა აღინიშნოს გამოგონება – ბიო-გაზი, რომელიც არანაკლებ საყურადღებო და მნიშვნელოვანია. გურიაში გავრცელებული პლანტაციების 85%-ი ჩაის თესლითაა დათესილი. მცენარის გენეტიკური კოდი თესლშია მოთავსებული, არავინ იცის, თესლიდან აღმოცენებული ჩაი რა სახეობისაა, იმ დროს პლანტაციები ხანარმოო ხასიათს ატარებდა. როდესაც ელიტარულ ჩაის ამზადებ, ჩაის ორი ფოთოლი უნდა მოიკრიფოს. დავინყე ფიქრი, თუ რომელი ჯიშის ჩაი შეიძლება იყოს მომავლის ქართული ბრენდი. შევისწავლეთ რამდენიმე ბუჩქი, ავიღეთ კალმები, რომლებიც მომავალში ნერგებად გადაიქცევიან. მოენყობა სადედე პლანტაცია, დაირგვება ნერგები, შევარჩევთ ჩაის ჯიშის სახელწოდებას, რაც მთავარია, ეს იქნება ახალი ბრენდი.



დავით თენიეშვილი

– ჩაი სოფლის მეურნეობის ერთ-ერთი წამყვანი დარგი უნდა გახდეს. ამ სფეროში ბევრი პრობლემაა.

– ჩაი ჩვენი ტრადიციული კულტურის ნაწილია. საქართველოში წლების განმავლობაში მიმდინარეობდა ჩაის ფაბრიკების მასიური ნგრევა; სამი ათეული წლის მანძილზე პლანტაციების უყურადღებოდ მიტოვებამ ჩაის კულტურა დაზარადა. დღეს, ფერმერები აქტიურად ვანარმოებთ ქართულ ჩაის. დაავადებების მიმართ უაღრესად გამძლე მცენარეა, მისი წარმოება ნაკლებ რისკფაქტორებთან არის დაკავშირებული. ჩემი ჩაის პლანტაცია 4 ჰა-ს მოიცავს. ჩაი ფერმერისთვის ყველაზე სტაბილური კულტურაა, რომელიც არასოდეს დატოვებს მოსავლისა და მოგების გარეშე. ვანარმოებ უმაღლესი ხარისხის ბიო-ჩაის. საკუთარი ხელით მოვანყვე ხის მასალისგან დამზადებული საგრეხი და საშრობი დანადგარები, ჩაი არ ეხება ლითონს, ტექნოლოგიური პროცესის დასაწყისიდან დასასრულამდე, – ეს არის ძველი ინდური მეთოდი. ვსწავლობ სიახლეებს, გავდივარ კონსულტაციებს გამოცდილ ტექნოლოგებთან და მეცნიერებთან. ბუნებაში ჩაის ბევრი უნიკალური ჯიშია და საუკეთესო მოსავალს გვაძლევს. ჩაის სამკურნალო თვისებების შესახებ ბევრი ითქვა და დაინერა, მთავარი ღირსებაა, რომ არ ინვესს მიჩვევას. ჩემი პროდუქციით უცხოელი პარტნიორები დაინტერესდნენ. ვგეგმავ, წარ-

მოების გაფართოებას...

– გაქვთ ახალი ინიციატივები, შეიქმნა ჯგუფი, რომელიც ამ საკითხებზე აქტიურად მუშაობს.

– გურიის ყველა სოფელს უნდა ჰყავდეს ერთი აგრონომკონსულტანტი, ჩვენ არ გვყავს ახალგაზრდა კადრი, ასაკოვანს გადმოცემის უნარი აღარ აქვს, მაგრამ მათი რესურსი არ არის ამონურული, შეუძლია სასურველი ინფორმაცია მიანოდოს. რაიონულ ცენტრებში მოქმედებს სოფლის მეურნეობის სამსახურები, სადაც დაინტერესებული პირი იღებს ინფორმაცია, რჩევებს, ეხმარებიან ბიზნესგეგმის შედგენაში, თუმცა დაკვეთა უნდა მოდიოდეს მეურნიდან, რა საკითხებში ესაჭიროება დახმარება, ადგილობრივების 95%-ი არ ფლობს ინფორმაცია. ტელევიზიით მიღებული სიახლეები არ არის საკმარისი. უფრო დეტალური ახსნა სჭირდებათ. ასევე ადამიანებს სახელმწიფოს მიმართ დაკარგული აქვთ ნდობა, ფიქრობენ, ყველა წამოწყება არჩევნებთან არის დაკავშირებული.

– როგორ გაჩნდა ჯგუფის შექმნის იდეა?

– ახალგაზრდა კაცი ნიკა სიორიძე თბილისიდან ჩამოვიდა, სურს, ჩაის რეაბილიტაციის პროგრამაში მიიღოს მონაწილეობა. სოფელ ნაგომარში აქვს 24 ჰა-მდე პლანტაცია, რომელიც სრულ რეაბილიტაციას საჭიროებს, ჰყავს სამეგობრო ჯგუფი. შევხვდით და ვისაუბრეთ სხვადასხვა საკითხზე. ჩვენი რეგიონის მთავარი პრობლემაა მიგრაცია, ჩემი სოფლის მაგალითზე გეტყვით, 11 სახლიდან 5 დაკეტილია, 5-დან 2-ში მეპატრონე ოცი წელი არ მოსულა და ჭიშკარი არ გაუღია. საზღვარგარეთ ოჯახის გადასარჩენად მიდიან, შემდეგ სხვა ნევრებიც მიჰყავთ. ინფრასტრუქტურული და კულტურული ღონისძიებების დაფინანსების წინააღმდეგი არ ვარ, კარგია განათებული სოფლის ცენტრი, მაგრამ თუ ირგვლივ სიბნელეა და ხალხი არ ცხოვრობს, სოფლის განათება აზრს კარგავს. სახელმწიფო ქმნის სხვადასხვა პროგრამებს, ალბათ ჩვენ ვერ ვხედავთ, რას გთავაზობენ. გვსურს, შევქმნათ ახალი კონცეფცია, რეგიონის პოტენციალი, თავისი გათვლებით და გაანგარიშებებით გავაცნოთ გუბერნატორს, გამგებელს და საკრებულოს თავმჯდომარეს. ეს ეხება სოფლის მეურნეობის ყველა კულტურას. ჩვენ არ ვიქნებით მმართველი რგოლი, სოფლის მეურნეობის სამსახურს უნდა ჰქონდეს მეტი დაფინანსება, დაემატოს თანამშრომლები, გამოცდილმა ჯგუფმა შეისწავლოს ყველა სოფლის პოტენციალი, ნიადაგობრივი თვისებებით დაწყებული, მიკროზონებით დამთავრებული. არსებული კულტურების გადარჩენისა და აღდგენის თვალსაზრისით გავგინევენ რეკომენდაციებს, აისახება ბუკლეტებში, აგროკონსულტანტებს ინფორმაცია ამ ცენტრიდან მიენოდებათ. ჩვენი გამოცდილების გაზიარებას ვთავაზობთ სრულიად უანგაროდ. გვაქვს ინიციატივა აგრარულ უნივერსიტეტში, ან კოლეჯში სწავლის მსურველი აბიტურიენ-

ტები ადგილობრივმა ხელისუფლებამ დააფინანსოს.

- აგროკონსულტანტი პროფესიით აგრონომი უნდა იყოს?

- გუბერნატორს შევთავაზებთ, სოფლის ცენტრს ჰყავს გამგებელი და დამხმარე სპეციალისტი, ამ ეტაპზე დამხმარე სპეციალისტი ცენტრმა გადაამზადოს, არ არის აუცილებელი აგრონომის კვალიფიკაცია ჰქონდეს. ხალხს მან მიანოდოს ინფორმაცია, სახელმწიფო რა სიკეთეებს სთავაზობს. როდესაც მეურნეს გაუჩნდება კითხვა, თავისუფალ მინაზე რომელი კულტურა დარგოს, ან სხვა კულტურით ჩაანაცვლოს. აგროკონსულტანტი, ცენტრში მომუშავე სამეცნიერო ჯგუფთან ერთად მიანვდის სრულყოფილ ინფორმაციას. ჩვენ არ დაგვეზარალება ფული, აგროკონსულტანტი ხელფასს იღებს, მისთვის ეს არ იქნება დატვირთვა, ხოლო ცენტრის გაძლიერებისთვის რეგიონალურ ბიუჯეტში მოიძებნება თანხა.

- ვინ არის ჯგუფის მესამე წევრი?

- მეცნიერ-მუშაკი და საუკეთესო პრაქტიკოსი მეურნე აკაკი ღლონტი, აქვს პავლონიის და კივის პლანტაციები, გამოჰყავს ბოსტნეულის ნერგები, ნაბლის საადრეო ჯიში. საინტერესო პიროვნებაა როგორც განათლების, ასევე პრაქტიკული საქმიანობის კუთხით. ჩვენს ირგვლივ ბევრი ასეთი ადამიანია, ეს წამოწყება გადამდები იქნება სხვა რეგიონებისთვისაც. ჯგუფის შექმნის მიზანია, დავეხმაროთ მეურნეებს, ღირსეულად იგრძნონ თავი იქ, სადაც მათი წინაპრები ცხოვრობდნენ. ასევე სახელმწიფო არ იყოს მუდმივად ლანძღვის ობიექტი. ბევრი ადამიანი, მათ შორის ჩემი მეუღლე ოჯახის გადანაცვლებით საზღვარგარეთ მუშაობს, ეს მტკივნეული ნაბიჯი გადადგით, რადგან სხვა რესურსი ვერ მოვიპოვეთ. კარგი პროგრამებია დანერგილი, თუმცა ნაკლებად არის მეურნეზე მორგებული. წინააღმდეგი ვარ საჩუქარის, ვაუჩერების სახით მთავარია, ადამიანებმა დამოუკიდებლად საქმიანობა ისწავლონ. გაიხსნას რეგიონალური სპეციალური ბანკი, ყველას არ უნდა ჰქონდეს იქ შესვლის სურვილი. მეურნეს ბანკში დახვდება გამოცდილი კონსულტანტი. თუ ერთნაირი კულტურისთვის სურს სესხის აღება, ფული სწორად გაანაწილოს, ხოლო მრავალნაირი, ან სანერგე მეურნეობის მონყოფის დროს, საქმეს განსხვავებულად მიუდგეს.

- გაქვთ კოოპერატივი, თუმცა წარმატებულ მენარმედ

არ თვლით თავს, რა დაბრკოლებაა?

- მონაწილეობა მივიღეთ ENPARD-ის პროექტში, გავიმარჯვეთ, კოოპერატივში 17 წევრია, აქვთ 1000კვ. 2000კვ. 1500კვ. ჩაის პლანტაციები, ზოგს მოუვლელი, ზოგს ჩემი ფიზიკური შრომით შევულობე, ალვადგინე პლანტაციები, ნედლეული რომ მიმეღო. როდესაც კოოპერატივის არსი განვუმარტე, უნდა შემოხვიდეთ თქვენი ფულადი რესურსით, ან ნედლეულით, ხდები მეპაიე, შემდეგ დაგიბრუნდებათ ნედლეულის ღირებულებას პლიუს მოგების პროცენტი. მითხრეს, - ჩვენ ჩაის იმიტომ ვკრეფთ, რომ მაისში პურის ფული არ გვაქვს, მოვკრეფთ, ნაწილს სხვას მივყიდით, ნაწილს კი შენ. დილემის წინაშე აღმოვჩნდი, ეს ხალხი ჩემი „კარგი ბიჭობით“ უნდა დამერწმუნებინა, რომ უფრო მეტი ფული გაუჩნდებათ, თანხის დაბრუნებაზე პასუხისმგებელი ვიქნებოდი ENPARD-თან, ამიტომ დაფინანსებაზე უარი ვთქვი. შემდეგ სახელმწიფო პროგრამაში - „ჩაის პლანტაციის სარეაბილიტაციო სამუშაოების თანადაფინანსება“. რეგისტრირებული გვაქვს 4,2 ჰა, გვითხრეს, ჩაის პლანტაციების ფართობი არ უნდა შეადგენდეს 5 ჰა-ზე ნაკლებს. ამ პროექტში ვერ მივიღეთ მონაწილეობა. 12 წელი ფერმერი ვარ, თუმცა სხვების თვალში ვერ გავხდები სამაგალითო!..

- გაქვთ ახალი გამოგონება ბიო-გაზი.

- ყოველთვის მაინტერესებდა ახალი ტექნოლოგიები. ბიო-გაზის დანადგარი შეიქმნა ლითონის რეზერვუარიდან, 18 წელი მემსახურა. მსოფლიო ბანკის თანადგომით და ფინანსური დახმარებით, მოვანყვეთ ახალი სამშენებლო რეზერვუარი, წარმატებით მუშაობს. მიღწევას არ დავკმაყოფილდი, ჩემს კოლეგა, მალხაზ სანიკიძესთან ერთად გამოვიგონეთ თანამედროვე ბიო-გაზის დანადგარი, მასალათა გამძლეობის კათედრამ ორმოცდაათწლიანი გარანტია მისცა. პოლიმერულ-ბოჭკოვანი მასალითაა დამზადებული, მობილურია, 6 მ.-იანი რეზერვუარის წონა 120კგ-ია. გურიაში 150 მენარმეა, - მეფუტკრე, მევენახე, მეჩაიე. ისინი ათასობით ადამიანს დაასაქმებენ. სახელმწიფომ ხელსაყრელი პირობები უნდა შექმნას, გამოიყენოს ყველა რესურსი, რომ გავხდეთ წარმატებული.

ლელა სურმავა





საქართველოს ნარგავი - 2016 წლის ღირსი ღირსი

ჟურნალ გურიაREGION აღმაშენებლის ხეივანზე, საქალაქო სასამართლოს მოპირდაპირე მხარეს „საქართველოს ნერგების“ ბაღს ესტუმრა. ორიგინალურმა მცენარეებმა, იქ დამკვიდრებულმა ფორმათა სიუხვემ, სილამაზემ და მრავალფეროვნებამ მოლოდინს გადააჭარბა... კომპანიამ არა მარტო საქართველოში, მის ფარგლებს გარეთ გაითქვა სახელი. „საქართველოს ნერგებმა“ ოქროს მედალი მოიპოვა. წარმატებისთვის ჯილდო და ნაციონალური სერტიფიკატი გადაეცა, – აღნიშნა საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის მენეჯერმა ვიქტორია ბელელაძემ. მარადმწვანე, დეკორატიული მცენარეების, ხეხილის ნერგებისა თუ ტყის ჯიშების დათვალიერების შემდეგ კომპანიის ხელმძღვანელი გიორგი აბრამიშვილი გამაცნო. წარმატებული ახალგაზრდა გარემოსდაცვით საკითხებზე მესაუბრება. დაცვა გარემო – გამწვანე მომავალი! – კომპანიის სლოგანი მათი საქმიანობის შინაარსს გადმოგვცემს.


– პროფესიით ვარ ბიზნესის მართვის და მენეჯმენტის სპეციალისტი. კომპანია „საქართველოს ნერგები“ 2011 წელს დაარსდა, ის ერთ-ერთი დიდი სანერგე მეურნეობაა საქართველოში და ჩვენი ქვეყნისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან საქმეს ემსახურება – აქტიურად არის ჩართული გამწვანებისა და ბიომრავალფეროვნების სფეროს პროექტებში. დღესდღეობით არის სერიოზული მწარმოებელი და იმპორტიორი კომპანია.

– ვინ არის კომპანიის დამფუძნებელი?

– ღვინის მწარმოებელი კომანია „მელვინეობა ხარება“, რომლის ერთ-ერთი დამფუძნებელია ალექსანდრე ხარებავა. სანერგე მეურნეობის შექმნის სურვილი გამოთქვეს. ბევრი ენდემური ჯიშის გადავარჩინეთ, მათ შორის ტყის და ხეხილის სახეობები, ასევე წითელ წიგნში შესული კულტურები.

– რას სთავაზობთ მომხმარებლებს?

– ვთავაზობთ, როგორც მარადმწვანე, დეკორატიულ



მცენარეებს, ხეხილის მრავალფეროვან ნერგებს; ტყის ჯიშებს – კვიპაროსს, ელდარის ფიჭვს, ცაცხვს, იფანს, ნეკერჩხალს, მუხას, საუკეთესო და ხელმისაწვდომი ფასებით. კომპანიას აქვს დიდი სანერგეები ყვარელსა და სუფსაში, სადაც ხდება ქართული და უცხოური ჯიშების გამოყვანა და უნიკალური ჯიშების აღდგენა; ყოველ სეზონზე ვახორციელებთ თესვას, მცნობას და დაკალმებას, რათა მუდმივად გვქონდეს პროდუქცია. ვთანამშრომლობთ ევროპის ქვეყნების სანერგე მეურნეობებთან, ვართ თბილისის მერიის საიმედო და მყარი პარტნიორი, აქტიურად ვმონაწილეობთ დედაქალაქის გამწვანების აქციებში. კომპანიაში 2015 წელს მოვედი, დავეგმეთ ახალი სტრატეგია, თანამშრომლებთან ერთად მივიღეთ გონივრული და რაციონალური გადაწყვეტილებები. ჩვენი გუნდის წევრებია – ვიქტორია ბელელაძე, დენდროლოგი პაატა ტოგონიძე, მეტყევე, ყვარლის სანერგე მეურნეობის წარმომადგენელი ვაჟა ბაიდოშვილი, სუფსის სანერგე მეურნეობის სპეციალისტი ონერი ძაძუა. გვაქვს ინდივიდუალური და საბითუმო შეკვეთები როგორც იმპორტირებულ, ასევე ადგილობრივ პროდუქციაზე. ჩვენი მთავარი მიზანია, იმპორტი ადგილობრივმა წარმოებამ ჩაანაცვლოს. ქვეყნის ეკონომიკურ-პოლიტიკური მდგომარეობიდან გამომდინარე, ადგილობრივი წარმოების ფასები მომხმარებლებისთვის უფრო ხელმისაწვდომია.

– ბაღში მცენარეების სიუხვეა...

– ძირითადი პროდუქცია აქედან გადის. რაც შეეხება სამომავლო გეგმებს, მიზნად დავისახეთ სუფსის და ყვარლის სანერგე მეურნეობების გაძლიერება-განვითარება და საბაღე ცენტრების გახსნა ქუთაისსა და ბათუმში.

– კომპანიამ არაერთი დიდი პროექტი განახორციელა და საკმაო გამოცდილება მიიღო.



- ბუნების დაცვის მსოფლიო ფონდის (WWF) წარმომადგენლობის მიერ დაფინანსებულ რეგიონულ პროექტში „კლიმატის ცვლილების პირობებში ტყის ეკოსისტემების მდგრადობის ამაღლება სამხრეთ კავკასიის ქვეყნებში“, „საქართველოს ნერგებმა“ 150 ჰა სხვადასხვა სახეობის მერქნიანი მცენარეები გაანაშენიანა. ასევე, გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოებასა (GIZ) ავსტრიის განვითარების სააგენტოსთან (ADA) ერთად დედოფლისწყაროში ქარსაფარი ზოლების ალდგენის პროექტი განახორციელა. ევროპის წამყვანი სანერგე მეურნეობებიდან მიმდინარეობს იმპორტი, სეზონურად ჩამოგვაქვს მცენარეები, განვაახლეთ კოლექციას. ჩვენი ერთ-ერთი პარტნიორია იტალიური კომპანია (Giorgio Tesi Group), რომელიც საკმაოდ მსხვილი ექსპორტიორია მსოფლიო ბაზარზე. წელს შემოდგომაზე ჩამოვიტანეთ ამერიკული ჯუჯა კაკალი „ჩენდლერი“. საქართველოში ნერგებზე დიდი მოთხოვნაა, წარმატებით მიდის რეალიზაცია.

- როგორ ეგუება უცხოური ნერგები საქართველოს კლიმატს?
- მნიშვნელობა არ აქვს, მცენარე სად არის გამოყვანილი, მთავარია, გენეტიკურად რამდენად ყინვაგამძლე და გვალვაგამძლეა. აუცილებელია იმ ზონაში მოხდეს მუდმივი ნარგაობის განთავსება. დიდი პროექტი შევასრულეთ ყაზბეგში, მოგეხსენებათ, იქ ცივი კლიმატია, - 30 გრადუსი ტემპერატურა. მცენარეები ჩამოვიტანეთ ევროპიდან, ზღვის დონიდან 30მ. სიმაღლეა, დავრგეთ 1730მ. სიმაღლეზე, 99%-მა გაიხარა. ეს იყო ჰიმალაის ფიჭვი, კავკასიური სოჭი, ფოთლოვანი მცენარეები ნეკერჩხალი, ბზები, ვარდები. კერძო დაკვეთა იყო, მე-



სე-მცენარე გინგო ბილობა

პატრონე კმაყოფილი დარჩა.

- რომელ სახეობებს გამოარჩევთ ბაღში?

- ყველა მცენარეს თავისი ისტორია აქვს. მაგალითად, გინგო ბილობა, ჩვენი პლანეტის ისტორიაში ყველაზე ძველი მცენარეა, დინოზავრების დროს არსებობდა, ასევე ზეთის ხილი 2000 წელი ცოცხლობს, უნიკალური და კეთილშობილი უთხოვრები, სმანტუსის სურნელოვანი ბუჩქი ახლა ყვავილობს, საოცარი სურნელი აქვს. ტყის კულტურები ტუია, ალვის ხე და სხვა.

- რა გეგმები გაქვთ?

- გერმანიაში გამოფენაზე მიგვიწვიეს, წინვოვან მცენარეებს ვათვალისწინებდი, უცხოელებმა გაკვირვება ვერ დაფარეს, - მცენარის თესლი საქართველოდან მოგვაქვს, თქვენ კი, ევროპაში ეძებთო! რაჭა უნიკალური ზონაა, სადაც კავკასიური სოჭი ხარობს, მსოფლიო დონის მცენარეა, ყველაზე დიდი მოთხოვნაა,

დანიიდან შემოდის და მთელ ევროპას ამარაგებს. საახალწლო ნაძვისხეებად იყიდება. მართლაც, ევროპიდან ჩამოდიან, აგროვებენ თესლს, მიაქვთ, იქ ამრავლებენ და ყიდიან. შესაძლოა, კიდევ ერთი სანერგე მეურნეობა რაჭაში მოეწყოს და დავინყოთ კავკასიური სოჭის წარმოება. ასეთივე უნაკალურია ნითელ წიგნში შესული კოლხური ბზა. წელს ბზას პრობლემები ჰქონდა, გავრცელებულ დაავადებას წამლებმა ვერ უშველა, სუფსაში და ყვარელში რამდენიმე ათასი ნერგი გახმა, ბუნებრივი კორომების დეფიციტია, სალი მცენარის კალმები ვერ მოვიძიეთ, 5000 ნერგი გამოვიყვანეთ. ამ კულტურას მეტი დაფასება, გამრავლება და გავრცელება ესაჭიროება. კომპანია „საქართველოს ნერგები“ მომხმარებლებს ბევრ სიახლეს შევთავაზებთ.

ლელა სურმავა



კავკასიური სოჭი



ჰიმალაის კედარი

ტინიტუსის, ანუ ყურის წუილის გამომწვევები, განსაზღვრება, მკურნალობა

ინდუსტრიალიზაციის პროცესებმა, ტექნიკის განვითარებამ, ცხოვრების დაძაბულმა რიტმმა ბევრი დავალება თუ პათოლოგიური სინდრომი გაახშირა, ბევრი გაართულა, ბევრს დასაბამიც მისცა. მკვეთრად იმატა, კერძოდ, ტინიტუსის მქონე პირთა რიცხვმა. ტინიტუსის შემთხვევათა რაოდენობის ზრდა უპირატესად ინდუსტრიულ, განვითარებულ ქვეყნებში აღინიშნება. განვითარებად რეგიონებში ტინიტუსი ნაკლები სიხშირით ფიქსირდება.

ლათინური სიტყვა *tinnitus* ქართულად ყურის წუილს ნიშნავს. ტინიტუსს აღიქვამენ როგორც სისინს, სტვენას, შიშინს, შუილს, წივილს, წუილს. ქართულში და რუსულში ტინიტუსს ხშირად მოიხსენიებენ, როგორც, შესაბამისად, ყურის შუილს და *шум в ушах*, თუმცა ფენომენის არსს უფრო წუილი, ვიდრე შუილი მიესადაგება. საქმე იმაშია, რომ წუილი უფრო მაღალი, შუილი დაბალი სიხშირის ხმებთან ასოცირდება, დაავადებულთა უმეტესობის მიერ კი ტინიტუსი სწორედ მაღალ- და არა დაბალსიხშირულ ბგერებად მოიხსენიება.

ყურის წუილი სმენის სისტემის ბევრ პათოლოგიას ახლავს თან. ყველაზე ხშირად ის სენსონევრალური ტიპის სმენის დაქვეითებასთან, ანუ კოხლეარულ ნევრიტთან ასოცირდება. ტინიტუსის სხვა გამომწვევებს განეკუთვნებიან ყურის ინფექციები, მენიერის დაავადება, გულ-სისხლძარღვთა სისტემის პათოლოგიები, თავის ტვინის სიმსივნეები, დისჰორმონოზები, ბგერითი ტრავმა და ა.შ. გარეთა ყურში გოგირდის საცობამაც კი შეიძლება მისცეს ტინიტუსს დასაბამი. სმენის დაქვეითებასთან კომპლექსში ტინიტუსი ხშირია ალკოჰოლის და, განსაკუთრებით, თამბაქოს მომხმარებლებში. საყურისული მუსიკის მოყვარულებშიც იჩენს ხოლმე ის თავს. ყურის წუილს ხშირად აძლევს ბიძგს ან ამწვავებს ასპირინი, ამინოგლიკოზიდების ჯგუფის ანტიბიოტიკები, დიურეტიკები, სხვა მედიკამენტებიც.

ყურის წუილის გენერაციის მექანიზმის შესახებ არსებული თეორიებიდან რაციონალურად საბუთდება ჰიპოთეზა, რომლის მიხედვით ტინიტუსი შიგნითა ყურის რეცეპტორული უჯრედების ეპილეპსიური ტიპის სპონტანურ განმუხტვებს გამოხატავს. ყურის წუილი, ამგვარად, ავტოგენური, ანუ შინაგანი წარმოშობისაა და, შესაბამისად, არანაირად არ არის უშუალო კავშირში აკუსტიკურ გარეპროცესებთან. გარეხმათა არარსებობისას ყურის წუილი, როგორც წესი, ძლიერდება კიდეც. მეტიც, ის ხშირად სიჩუმეში, მაგალითად, ძილისწინა

მშვიდ პერიოდში შეიგრძნობა შერჩევითად ან განსაკუთრებულად.

ყურის წუილის ინიციაციას ინდივიდის ფსიქოლოგიური დაძაბულობაც უწყობს ხელს. ფსიქოსტრესი უკვე არსებულ ტინიტუსსაც აძლიერებს. ყურის წუილის მქონე პაციენტებს დამატებით შფოთვაც და დეპრესიაც უვითარდებათ, რასაც, თავის მხრივ, არსებული ტინიტუსის ინტენსიფიკაცია სდევს ხოლმე ხშირად თან.

ყურის წუილი უმეტეს შემთხვევებში ორმხრივია, თუმცა ცალმხრივაც შეიძლება იყოს. ორმხრივ ტინიტუსს უფრო ხშირად ბილატერალურად სიმეტრიული, უფრო იშვიათად – ბილატერალურად ასიმეტრიული ხასიათი აქვს. ზოგჯერ ტინიტუსი ხანმოკლეა, ზოგჯერ – ხანგრძლივი, ზოგჯერ – მუდმივი. ყურის წუილის დონე დროდადრო შეიძლება ქვეითდებოდეს, მერე – მატულობდეს. როგორც ითქვას, წყნარ, მშვიდ გარემოში ტინიტუსი, როგორც წესი, ძლიერდება, ხმაურის ფონზე - სუსტდება, ცალკეულ შემთხვევებში – ქრება კიდეც.

ყურის წუილის მკურნალობა, ერთი მხრივ, ტინიტუსის დათრგუნვას თუ მოსპობას, მეორე მხრივ კი უშუალო გამომწვევის ბლოკირებას ითვალისწინებს. მკურნალობის გარეშე პროცესი, როგორც წესი, ტინიტუსის გაძლიერებით, ფსიქონევროზული დარღვევებით, სმენის შემდგომი დაქვეითებით სრულდება. მკურნალობის ეფექტურობა ყურის წუილის მიზეზზეა მნიშვნელოვანწილად დამოკიდებული. სამწუხაროდ, ტინიტუსის გენერატორი დაავადებების მეტი წილი სამართავად რთულია. მათ განეკუთვნება, კერძოდ, სმენის სისტემის ასაკობრივი ცვლილებები (პრესბიაკუზისი), ათეროსკლეროზი, ოსტეოქონდროზი, სისხლის მიმოქცევის დარღვევები. კვალიფიციური და ინდივიდუალური მიდგომებით ყურის წუილის შესუსტება პაციენტთა დაახლოებით ნახევარში მიიღწევა, თუმცა სრულ ბლოკირებას იშვიათად აქვს ადგილი. ტინიტუსის შესამსუბუქებლად სისხლძარღვთა გამაფართოებლებს, ლიდოკაინს, საძილე საშუალებებს, ანტიეპილეპტიკებს, ანუ უჯრედთა სპონტანურ განმუხტვათა ბლოკატორებს, გინკგო ბილობისეულ ტეპოკანს, იგივე ტეპონინს მოიხმობენ. თერაპიის მიზანი, ზოგადად, რეგიონალური ჰემოცირკულაციის და, შესაბამისად, ბგერის აღქმის პროცესში ჩართული რეცეპტორულ-ნევრალური უჯრედების ოქსიგენაციის გაუმჯობესება, მათ სპონტანურ, ანუ ავტომატურ განმუხტვათა ბლოკირება, სისხლის პლაზმის სიბლანტის დაქვეითება, პერფუზორულ-



ზურაბ ქვეციანიშვილი და ევატერინე თრაგველიძე

კვებითი პროცესების ოპტიმიზაციაა.

ყურის წუილის მკურნალობის ეფექტურობისათვის პაციენტის ფსიქოლოგიურ სტატუსს აქვს დიდი მნიშვნელობა. ტინიტუსის მქონე ბევრი ინდივიდი ადვილად აღზნებადია. ბევრისათვის ყურის წუილი ფსიქიკურად შემანუხებელ პრობლემას წარმოადგენს. ტინიტუსიანებში მნიშვნელოვნად ქვეითდება გუნებ-განწყობა, ცხოვრების ხარისხი, კლებულობს შრომის უნარი, მატულობს გაღიზიანებულობა, ხშირია უძილობები. სიტუაციის გაუმჯობესებაში ირგვლივმყოფთა თანადგომა თამაშობს მნიშვნელოვან როლს. ყურის წუილის არასასიამოვნო შეგრძნებათა შესუსტებას ტინიტუსიდან პაციენტის ყურადღების სხვა, პოზიტიურ პრობლემებზე გადატანაც უწყობს ხელს. ინდივიდი უნდა გაერკვეს, რა პირობები და ღონისძიებები აქვეითებს, რა ხდის მისეულ ყურის წუილს ნაკლებშემანუხებლად.

ტინიტუსის გამომწვევების და საპრევენციო და შემასუსტებელი საშუალებების ჩამონათვალი ქვემოთ არის წარმოდგენილი:

- ძლიერმა ბგერებმა, მათ შორის, იარაღის სროლასთან ასოცირებულებმა, სმენის დაქვეითება და ყურის წუილი შეიძლება გამოიწვიოს, ან უკვე არსებულები გააძლიერონ;

- არტერიული ჰიპერტენზიისას სისხლძარღვთა სპაზმის გამო სმენის ორგანოს სისხლმომარაგება შეიძლება შესუსტდეს, რამაც სმენის დაქვეითება და, შედეგად, ტინიტუსი შეიძლება გამოიწვიოს, ან უკვე არსებულები გააძლიეროს;

- ალკოჰოლი, მით უფრო და განსაკუთრებით კი თამბაქო სმენას აქვეითებს, შედეგად კი ყურის წუილი შეიძლება აღმოცენდეს, ან უკვე არსებულები გაძლიერდნენ;

- ცხარე, მწარე, მლამე კვებითი რაციონის მიზეზით ორგანიზმში სითხის შეკავებამ უარყოფითად შეიძლება იმოქმედოს სმენის ორგანოზე, შედეგად კი შეიძლება სმენა დაქვეითდეს და ყურის წუილი აღმოცენდეს, ან უკვე არსებულები გაძლიერდნენ;

- ყავის, შოკოლადის, კოფეინის შემცველი სხვა პროდუქტების ჭარბმა მოხმარებამ შიგნითა ყურში სისხლის მიმოქცევა შეიძლება შეაფერხოს, რამაც სმენის დაქვეითება და, შედეგად, ტინიტუსი შეიძლება გამოიწვიოს, ან უკვე არსებულები გააძლიეროს;

- არყის, სპირტის, ლუდის საპირიპიროდ, ღვინის, განსაკუთრებით ევროპული წესით დაყენებულის არათრობითი, ანუ შეზღუდული რაოდენობა ანტიოქსიდანტური მოქმედების მექანიზმით სენსონევრალურ

სმენაჩლუნგობას და, შესაბამისად, ტინიტუსს უკეთებს ბლოკირებას, ან ანელებს, ან აჩერებს კიდეც უკვე არსებულების უარყოფით დინამიკას;

- სმენის დაქვეითებას და ყურის წუილს ასპირინის, ამინოგლიკოზიდების, დიურეტიკების, ზოგიერთი სხვა მედიკამენტის მოხმარებლებში აქვს ხშირად ადგილი;

- მაღალი ინტენსივობის საყურისულმა მუსიკამ რეგულარულ მოხმარებლებში სენსონევრალური ტიპის სმენის დაქვეითება და/ან ტინიტუსი შეიძლება გამოიწვიოს;

- ტინიტუსზე ყურადღების კონცენტრაცია, ნერვიულობა, ფსიქოლოგიური სტრესი ყურის წუილით განპირობებულ ფსიქიკურ დისკომფორტს ზრდის;

- ყურის წუილის ლიმიტირებისათვის სრულფასოვანი დასვენება, ფიზიკურ და ფსიქოლოგიურ გადაღლათა პრევენცია არის არსებითი;

- რეგულარული, დოზირებული ფიზიკური დატვირთვები, ზომიერი სპორტული ვარჯიშები ყურის წუილთან ასოცირებულ უარყოფით ფსიქიკურ სტატუსს აუმჯობესებს;

- ტინიტუსი სიჩუმეში ძლიერდება, რიტმული გარეხმა კი, მაგალითად, თავისუფალი აკუსტიკური ველით მიწოდებული მსუბუქი, წყნარი მუსიკა, პირიქით, მასკირების მექანიზმით ასუსტებს, ან ბლოკირებას უკეთებს ყურის წუილს, ზოგჯერ კურნავს კიდეც მას;

- პროფესიული საქმიანობით თუ ჰობით დაკავებულობისას ტინიტუსზე ყურადღების კონცენტრაცია სუსტდება, რის გამოც

ნაკლებშემანუხებელი ხდება ის ინდივიდისათვის;


- ალერგიულ პროცესებს, გაციებას, სურდოს, გრიპს, ინფექციებს საერთოდ, ყურის წუილს შეუძლიათ გაუკეთონ ინიციაცია, ან უკვე არსებული გააძლიერონ.

თამბაქოს, ალკოჰოლის მოხმარებელთა, კოფეინის შემცველი პროდუქტების, ცხარე, მწარე, მლამე კვებითი რაციონის მოყვარულთა, საყურისული მუსიკის მიმდევართა რიცხვით საქართველო ანტირეკორდთა ერთ-ერთი მატარებელია. მწველთა პროცენტული მაჩვენებლით, მაგალითად, საქართველოს მეორე ადგილი უკავია ევროგაერთიანების ქვეყანებს შორის. შესაბამისად, ნერილში განხილული სმენაჩლუნგობის და ტინიტუსის პრობლემები სწორედ ქართველი მოსახლეობისათვის უნდა იყოს გამორჩეულად მნიშვნელოვანი.

ზურაბ ქევანიშვილი, ეკატერინე ორაგველიძე



გელა მუხაშავერია უნილბო ცხოვრებისკენ ბვინვეს...



შეხედე, რაცაა, ესაა, რაცაა! – გელა მუხაშავერიას პიროვნებას ეს ფრაზა ზუსტად შეეფერება. ჯანო ბაგრატიონი წერს, – გელა ნიჭიერი კაცია თავის პროფესიაში, ოხუნჯობაში, ლხინში, თანადგომაში. მოკლედ, კარგი ვინმეა, ყველაფერზე „სპასობნი“, თხემით ტერფამდე თბილისელი, ღირსებით სავსე მოქალაქე. მისი ცხოვრება, ეს დედაქალაქის ცხოვრებაა, გელა ხომ XX საუკუნის ქალაქის მემკვიდრეა და როდესაც უსმენ, შენს თვალწინ ის ადამიანები ცოცხლდებიან, რომელთა შესახებ ერთხელ მაინც უნდა გქონდეს გაგონილი. ასეთ რეალურ ისტორიებზე იზრდებოდნენ თაობები. ქართველ ერში კაცობას ხომ სიცოცხლეზე მეტი ფასი აქვს. როდესაც ჟურნალ REGION დაბეჭდილი პუბლიკაცია წაიკითხა, სადაც მისი ცხოვრებაა ასახული, დამირეკა და ქალაქურად მითხრა, – დაგლიჯა. გელა მუხაშავერიას თბილისის საპატიო მოქალაქის ნოდება გადაეცა.

ბატონო გელა გილოცავთ!

... და კიდევ დიდხანს ივლის ჩვენს გვერდით ეს დროული კაცი...

გელა მუხაშავერია უნილბო ცხოვრებისკენ გვიწვევს. გვარწმუნებს, – ნილაბი მისი პროფესიის ატრიბუტია და მხოლოდ საოპერაციო ბლოკში იკეთებს. მან დაიპყრო ექიმისთვის საოცნებო ყველა სიმაღლე, აღზარდა ექიმები, შექმნა და დღემდე ხელმძღვანელობს საქართველოს პროქტოლოგიის ცენტრს. აქვს ორი საავტორო ოპერაციული მეთოდი, რომლის შესახებ ვრცელი სტატია გამოქვეყნდა ამერიკულ ჟურნალში.

ჰემოროის ქირურგიული მკურნალობის საკუთარ მეთოდზე მედიცინის მეცნიერებათა დოქტორების გელა მუხაშავერიას და მათა ქარაბაკის სამი სამეცნიერო ნაშრომი გამოქვეყნებულია ევროპასა და აშშ-ში: **Techniques in Coloproctology, 2009 (italy); Disease of the colon and Rectum, 2011 (USA); Journal of trointestinal Suargery, 2013 (USA)**. აღნიშნული მეთოდით ოპერაციის გაკეთების შემდეგ დაავადების განმეორების ალბათობა არ არსებობს. ამერიკულ ჟურნალში გამოქვეყნებული ვრცელი სტატიით მკურნალობის მუხაშავერიასეული ეს მეთოდი მედიცინაში ნოვაციად შეაფასეს. პროქტოლო-

გიაში მასწავლებლად რუსული სამედიცინო სკოლის ისეთ კორიფეებს მოიხსენიებს, როგორებიც იყვნენ ალექსანდრე რიჟიხი, ვლადიმერ ალექსანდროვი, ვლადიმერ ფიოდოროვი. საქართველოში პროქტოლოგიის ცენტრის შექმნის დღიდან 32 წელი მისი უცვლელი ხელმძღვანელია. პროფესიული საქმიანობა არასდროს მიუტოვებია, დღემდე მისი ყველაზე დიდი თანამდებობა საოპერაციო მაგიდასთან დგომაა. თუ ექიმი პაციენტის ეკონომიკურ მდგომარეობასაც გამოიკითხავს, არავინ იფიქროს, რომ მის ჯიბეში იხედება, უსახსრობის გამო გელას კლინიკიდან არავინ გაუბრუნებია. არ ნანობს, რომ მრავალ პროფესიათა შორის, ექიმობა ყველაფერს არჩია! ხოლო ვინც ჰიპოკრატეს ფიცის დადებას გადაწყვეტს, ურჩევს, – ექიმს საქმე აქვს ბუნებაში ყველაზე რთულ მექანიზმთან ადამიანის ორგანიზმთან. მედიცინის სფეროში დაოსტატება პრაქტიკულად უწყვეტი პროცესია. გელა მუხაშავერიას 34 სამეცნიერო ნაშრომი აქვს გამოქვეყნებული. მამის კვალზე ღირსეულად დგას მისი უფროსი ვაჟი გია.

გელა მუხაშავერიას მადლიერია ასობით გადარჩენილი და ტკივილებდამცხრალი პაციენტი. საქართველოს პროქტოლოგიის ცენტრი დღეს ნამდვილი ფლაგმანია და მუდმივად დარგის განვითარების სტრატეგიას განსაზღვრავს. ექიმის სამუშაო კაბინეტში პატარა პროექტომუზეუმი ვიხილე, სადაც ყველაფერი ექსპონატებივით არის გამოფენილი, რაც პირდაპირ, თუ ირიბად მის საქმიანობას უკავშირდება. ადამიანებთან დამოკიდებულების ემოციური პათოსი გელა მუხაშავერიას თანდაყოლილი თვისებაა, გურული კაცი ხომ სხვაგვარი ვერ იქნება. მისთვის ყველაზე დიდი ბედნიერება სხვების გახარებაა, არასოდეს უფიქრია ფუფუნებაზე, ეს არის მისი ხიბლი. ურთიერთობის დროს ყოველთვის გულწრფელია, შინაგან ხმას ენდობა, უმეგობროდ ერთი დღეც ვერ წარმოუდგენია. ჟურნალ გურიაREGION მკითხველებს გელა მუხაშავერიას ადამიანური, შეუნილბავი ურთიერთობა დაანახა. გურიაზე საუბრის დროს თვალეზზე ცრემლები მოადგა...

ბადუნია ამბობს, – გელა ჩვენი გვარის სიამაყეა, ქალაქში იმედად გვეგულება, ოღონდ ხშირად ჩამოვიდეს და ხეებს ჩვენ დავრგავთ, მისი იდეა იყო, – შევიკრიბოთ ჩვენებურები, მუხები დავრგოთ და ჩვენს ფუძეს მუხას მუხაშავერიებმა დღესასწაული მოვუწყეთო. მამ ასე, ყველანი გაზაფხულზე მუხის დარგვაზე მუხაშავერიებში!

ყველა სოფელს ჰყავს თითო-თითო აინსილიკო, ილარიონი და ოლლა ბაბია...

პირველად ჟურნალ „ცისკარში“ ნოდარ დუმბაძის „მე, ბებია, ილიკო და ილარიონი“ რომ წავიკითხე, ასე მეგონა, ჩემს სოფელზე წერდა, თურმე ასე ფიქრობს



2011 წელი. ელგუჯა და ბადრი მუხაშავერებთან ერთად, ძიმითში, ლავრენტი ბაბუას, თებრონე წენას და ქეთო მამიდას საფლავზე



ყველა გურული, რადგან ეს წიგნი მთელ გურიაზეა – ამბობს გელა და თავის ძიმიტში გვეპატიჟება. გელას ძიმიტში ყველა სოფელზე მეტად უყვარს, რადგან არ შეიძლება იყოს სხვა სოფელი, სადაც ცხოვრობდა ის, ბებია თებრონე, ბაბუა ლავრენტი, ჯაინოზი, ქეთო მამიდა და მთელი მუხაშავრიები. ბავშვობაში რამდენჯერ აურბენია ეს მთა, ზემოთ, სულ წვერზე, ზღვის დონიდან 600 მეტრ სიმაღლეზე, ციხე-გალაენის ნანგრევებია, იქედან ხელისგულივით მოჩანს შავი ზღვა და აჭარა-გურიის სოფლები. წარსულში აქ ანთებული ცეცხლი განსაცდელის მოახლოების მანიშნებელი ყოფილა დაბლობში დარჩენილთათვის და ისინი მთებში იხიზნებოდნენ.

– რატომ ჰქვია ჩვენს სოფელს ძიმიტში? – უკითხავს ერთხელ გელას ბაბუასთვის.

– ჯარი გადმოსულა, ბაბუა, ნასაკირალზე, დაღლილებს აქანე კარგად გამოუძინიათ და იმიზა, მარა იმასაც ჩივიენ, „ჯიმა“ ძმებს ნიშნავს მეგრულად და ვითამ ძმების სამყოფელი ადგილი იყოო.

ლავრენტი ბაბუას დიდი თეთრი უღვაშები ჰქონდა, საგულდაგულოდ მოვლილი. ერთხელ სამართებლით პირს იპარსავდა, გელას უთქვამს, – მოდი, ბაბუა, ნუ წვალობ, მე გაგპარსავ, რა იყო შენს კისერს არ მანდობო?! – შენ, ბაბუა, კისერს კი არა, მთელ სოცოცხლეს განდობო, – უთქვამს ლავრენტის.

ლავრენტი მშრომელი კაცი იყო და მისი საკმარისი ღვინოც სულ ჰქონდა და დასაყოლებელიც. მონუნუნე კაცს რომ ნახავდა, იტყოდა, – აგენს ჭკუა მისი მოსწონარიენ, ქონება სხვისიო. ბებია და ბაბუა ბავშვის არდადეგების მოლოდინში ყველაფერს მისთვის „ჭუჭკავდნენ“. „ჯანჯუხას“, ჩირს. გემრიელ და ლამაზს „ბალანას“ უნახავდნენ.

ახლა სახლის გვერდით ლავრენტი ბაბუას, თებრონე ნენას და ქეთო მამიდას საფლავებია, მოვლილი ბზის მწვანე ბუჩქებით და შემოფარგლული. ეს გელას დაჟინებული სურვილი ყოფილა, საკუთარ ეზოში დაესაფლავებინა საყვარელი ადამიანები – თუ ვერ ჩამოვლენ, ჩემი შვილები და შვილშვილები, ამ ეზო-კარს თუ არ მიხედავენ, გაყიდვით მაინც ხომ არ გაყდიან

აქაურობას. იქნებ, ამ ყველაფერს ბაბუას ბუხრის პირას დაბარებული „ცეცხლი შეინახე“ ჰქვია.

გაზაფხული ამ ეზოში ჯერ კიდევ წინაპართა დარგულ ხეებს მოჰყავს. გელა, გია და კახა თავის დასარგავს ჯერჯერობით დედაქალაქში რგავენ. მომდევნო თაობიდან ნიკა და პატარა გელაც მოდიან მუხაშავრიების ფუძეზე, რამდენიმე წელია გელას მეუღლე, ნელი სხირტლაძე ვეღარ მიდის ძიმიტში – „ყველაფერი ეგ ყოფილა, ეგ იყო დედა და დედაბოძი, ყველაფრის მომვლელი და პატრონი, მეუღლედ დაბადებული. მის სიმაღლეს, სულის სიმაღლეს ჩემთვის ვერცერთი ქალი ვერ შეწვდება, აბა, მე ვინ ვარ უმაგისოდ, აქაურობა მისით სუნთქავდა... ისე ნავიდა, როგორც ნატრობდა, არავინ შეაწუხა, ერთხელაც დაღამდა და ნელისთვის აღარ გათენდა, ყოველ დილით ვფიქრობ, ნეტავი მისი ხმა გამაგონა“ – გელას თვალეები ცრემლებით ევსება.

ყველა სადღეგრძელოს მირჩენია გელა მუხაშავრიას სიცოცხლისა და მომავალი ცხოვრების, უდარდლობისა და სიხარულის – ამჯერად და მუდამ, რადგან გელა მთელი თაობის განსახიერებაა! – ეს აღდგომა დღეს ჩემს დაფაზე დაგინერე (ვერ ვლაპარაკობ და ეს დაფა ჩემი ხსნაა). ქართველებს ერთი კარგი სიტყვა გვაქვს „ვაჟკაცი“, „ვაჟი“ ყველამ ვიცით რაც არის, აი, „კაცი“ ის არის, რაც ჩვენს ენაში სიტყვა კაცობრიობას უდევს საფუძვლად. აქედან ერმა შექმნა ცნება „ვაჟკაცი“. ბედნიერია ის, ვისაც ამ სიტყვით მოიხსენიებენ.

ჭაბუა ამირეჯიბი – ბერი დავითი

ყურნალი გურიაREGION მუხაშავრიების გვარს კიდევ ერთხელ მიუბრუნდა და გელას მამას, აკაკი მუხაშავრიას პორტრეტს გაუსწორა თვალი...

...ოთხწლიანი სიყვარულის შემდეგ, ინსტიტუტის დამთავრებისთანავე დაქორწინდნენ. თამარ კახიძე თერჯოლის რაიონიდან იყო, აკაკი მუხაშავრია – ოზურგეთიდან. 1937 წლის 10 დეკემბერს ბიჭი შეეძინათ და გელა დაარქვეს. მძიმე წლები იყო. დედაქალაქში დამკვიდრება ჭირდა, ორივე მუშაობდა და შვიდი თვის ჩვილი ძიმიტში ბებია-ბაბუას ჩაუყვანეს გასაზრდელად. გელა ოთხი წლის იყო, მეორე მსოფლიო ომი რომ დაიწყო. აკაკი მუხაშავრიას, როგორც პერსპექტიულ და განსაკუთრებული სპეციალობის ახალგაზრდას, ჯავშანი ჰქონდა და არავინ გაიწვევდა ფრონტზე, მაგრამ ომის დაწყებიდან მეორე დღესვე საკუთარი სურვილით კომისარიატში გამოცხადდა, – დაჯავშნული და შეშინებული მტერს რაფერ დავხვდეთ და წავიდა...

წლები გადიოდა, აკაკი მუხაშავრიას არცერთი წერილი არ მოსულა ფრონტიდან, არც ამბის მომტანი ყოფილა. 1945 წლის აპრილის ერთ დღეს, დედამ სკოლაში გელას მიაკითხა და მიახარა, უწყება მოვიდა, მამა ცოცხალია და დაბრუნდებაო. მერე იქვე უახლოეს ფოტოატელიეში შევიდნენ და ამ დღის აღსანიშნავად სურათი გადაიღეს.





მამა



დედა

აკაკი შავრიასა და დოქტორ დიურის ყოველდღიური იდეოლოგიური დაპირისპირება

1970 წელს მ. ნემიროვასა და ე. კალანდაძის ავტორობით დაიბეჭდა წიგნი „ვერმახტის საიდუმლო საქმე“, რომელიც 1941-1945 წლებში ქართველ მეომართა ჯგუფის ფაშისტურ საკონცენტრაციო ბანაკებში გატარებულ დღეებზე მოგვითხრობს. ამ ჯგუფის ერთ-ერთი წევრი აკაკი მუხაშავრია იყო და იგი წიგნში აკაკი შავრიადაა მოხსენიებული.

ბერგმანელთა „იდეოლოგიური აღმზრდელი“ – დოქტორი დიური ყოველთვის ასეთ ეჭვს აღვივებდა, – ჩვენ ვალდებული ვართ, ყველაფერი გავაკეთოთ იმისათვის, – ხშირად უმეორებდა ობერლენდერს, – რომ აზიელებს არ აღეძრათ გაქცევის ფიქრი. ათასეულში ისეთებიც იყვნენ, რომლებიც მის ფანტაზიებს არ იჯერებდნენ. დიურთან ყოველდღიურ იდეოლოგიურ ბრძოლაში ბევრ სასარგებლო საქმეს აკეთებდა აკაკი შავრია. იგი ყველაზე ახალგაზრდა იყო იატაკქვეშელთა შორის. მან ომის წინ დაამთავრა სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი, მისი ერუდიცია ზოგიერთ პროფესორსაც შემურდებოდა. ამასთან ენამოსწრებული, ოხუნჯი და მოხერხებულიც იყო. დიურს ეჯავრებოდა იგი! კაკოს რამდენჯერ ჩაუგდია დიურისთვის კოვზი ნაცარში.

ბატონო დოქტორო, კარგად ვერ გავიგე, – თავაზიანად ეკითხებოდა შავრია დიურს. თქვენ თქვით, რომ ებრაელები მთელ მსოფლიოში უნდა განადგურდნენ, რადგან მათ ძარღვებში არაადამიანური სისხლი ჩქეფოსო. მე ვხედავ, რომ გერმანელ ჯარისკაცებს მკერდზე ჯვარი ჰკიდიათ, ეკლესიაში დადიან, იესო ქრისტეზე ლოცულობენ, ხატებს კოცნიან. როგორ გავიგოთ ეს?! იესო ქრისტე ებრაელი იყო, მაშასადამე მის ძარღვებშიც არაადამიანური სისხლი ჩქეფდა. გამოდის რომ ქრისტიანები ეშმაკს ეთაყვანებიან?!

დიური განრისხდა და გაბრაზებით უპასუხა, – ჩვენ, გერმანელებს, არ გვიყვარს ორაზროვნება და არავის ნებას არ მივცემთ, ეჭვი შეეპაროს ჩვენს რწმენაში. თავზე ქუდი ჩამოიფხატა და აჩქარებით გავიდა დარბაზიდან.

1958 წელს აკაკი შავრია მოსკოვში გამოიძახეს, უშიშროების კომიტეტმა დაკითხა და ფაშისტური საკონცენტრაციო ბანაკების ხელმძღვანელის ობერლენდერის წინააღმდეგ ჩვენების მისაცემად ბერლინში გადააფრინეს. ბერლინში გერმანულ ენაზე მისცა საბოლოო ჩვენება აკაკი მუხაშავრიამ. რვანლიანი პატიმრობისთვის მოუბოდიშეს და რეაბილიტაციის საბუთი მიართვეს.

საშუალო ტანის, სახასიათო თეთრი უღვაშები, ყოველთვის მონესრივებული და ესთეტიური – ასეთი ახსოვთ აკაკი მუხაშავრია. მცენარეთა დაცვის ინსტიტუტში აგრონომ-ენტომოლოგად მუშაობდა, აფხაზეთში ბიჭვინთის შემოგარენის ჯანმრთელი საფარი აკაკის ნამამგარიც არის. 50-იანი წლებიდან ინტენსიურად მუშაობდა ბიჭვინთის ფიჭვნარის მავნე ენტომოფაუნის შესწავლაზე და გამოვლენაზე. გამოიკვლია მავნე სახეობათა ბიოლოგია და ეკოლოგია, რაც საფუძვლად დაედო მის საკანდიდატო დისერტაციას.

მეცნიერმა და მკვლევარმა აკაკი მუხაშავრიამ სამოცზე მეტი ნაშრომი გამოაქვეყნა სხვადასხვა ენაზე და ორი საავტორო უფლებაც ჰქონდა მინიჭებული. ახალგაზრდებს განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა, სადიპლომო ნაშრომისა თუ პროექტის დაცვის დროს გვერდში ედგა. კეთილშობილმა ადამიანმა სიცოცხლის ბოლო წლებში სრულიად უსასყიდლოდ მეტყვევების ინსტიტუტს გადასცა 50 წლის მანძილზე შეგროვებული უნიკალური წიგნების ფონდი, რომელიც ახლა მეცნიერის სახელს ატარებს და ბიბლიოთეკასთან ერთად თაობიდან თაობას გადაეცემა. ბუნების ქომაგის დანატოვარი ყოველი წიგნიც ხომ ისევ სამეგობროდ გამოწვდილი ხელია...

ლელა სურმაჯა

სწორუპოვარი შემოქმედის სასწაულებრივი კალა


იმ თაობათა ადამიანთა წრეს განვეყუთვნები, რომელთაც ჰქონდათ ბედნიერება, საკუთარი ყურითა და თვალით მოესმინათ და ეცქირათ ბატონ ანზორ ერქომაიშვილის სამუშაო პროცესს 6-10 წლის ბიჭუნათა ან-სამბლ „მართვე“-ს მოსამზადებელ ჯგუფთან. ეს მოხდა 37 წლის წინ, 1980 წლის ადრე გაზაფხულზე. რეპეტიციების დროს მეცადინეობა მიმდინარეობდა ქართული ფოლკლორის მოსწავლეთა სასახლის (ყოფილი „არტოს ბალის“) საკონცერტო დარბაზში. ბატონი ანზორის თანხმობით, რეპეტიციებს რამდენიმე მშობელი ვესწრებოდი. დარბაზის სიღრმეში ვსხდებოდი და ვტკბებოდი იმ მაღალი ხელოვნებით, რასაც ბატონი ანზორი ბავშვებთან ურთიერთობაში ამჟღავნებდა. ყოველი რეპეტიციიდან ამალღებული განწყობილებით ვბრუნდებოდი.

ქართული გალობა-სიმღერა დიდ შინაგან წესრიგს მოითხოვს, ბავშვის ბუნება თამაშისა და ანცობისაკენ არის მიდრეკილი, უჭირთ ყურადღების კონცენტრირება დროის გარკვეულ მონაკვეთში, რისი დაძლევაც პედაგოგისგან ძალისხმევას მოითხოვს.

ბატონი ანზორი, რამდენადაც შინაგანი ინტელექტის, რაფინირებული და დახვეწილი კულტურის, თბილი და ყურადღებიანი ადამიანია, იმდენად მკაცრი და მომთხოვნია, როგორც უმაღლესი ხარისხის პროფესიონალი.

იმ დაუვინყარი რეპეტიციიდან მეხსიერებას განსაკუთრებით ერთი ფაქტი შემორჩა, როცა ბატონმა ანზორმა საოცრება მოახდინა. ბავშვები „ლაშქრულს“ სწავლობდნენ. სცენაზე სკამებზე იყვნენ ჩამომსხდარნი. ტარდებოდა ერთი შეხედვით ჩვეულებრივი გაკვეთილი. ბატონმა ანზორმა ცალ-ცალკე ამღერა ბიჭუნები პირველი, მეორე და მესამე ხმები, ბოლოს კი ერთობლიობაში. სიმღერა რამდენჯერმე გაიმეორეს. ბიჭებს დაეტყოთ მოქანცულობა და სიმღერას ვეღარ ასრულებდნენ საკმარისი ტონუსით და შემართებით. სწორედ, აქ მოხდა სასწაუ-

ლი. ბატონი ანზორი უცებ შეიცვალა, სახე გაუმკაცრდა და ბავშვებს უბრძანა: აბა ფეხზე დადექითო. წამოიშალნენ ბავშვები და შესცქეროდნენ პატარა თვალებით მაცეტროს. ბავშვებში აღარ ჩანდა მოქანცულობა. „აბა პირველები...“ მიმართა ბატონმა ანზორმა, შემდეგ მე-



ანზორ ერქომაიშვილი

ორე და მესამე ხმებს გაამეორებინა თავიანთი პარტიები, ერთხანს შეჩერდა, მიაჩერდა ბიჭებს და წარმოთქვა სიტყვები „აბა ყურადღებით გუნდი...“ საოცარი ძალით, შემართებითა და ომახიანად შეასრულეს ბავშვებმა „ლაშქრული“. თვალებს არ ვუჯერებდი და მოსმენილით გაოგნებული დავრჩი. რა იყო ის ძალა, რამაც ბიჭები ამგვარ ზეამაღლებულ განწყობაში გადაიყვანა, ისინი ხომ პატარები იყვნენ, ზოგიერთი მათ შორის 6-7 წლის ასაკისა იყო.

ეს ამბავი 70-იანი წლების მიწურულს მოხდა. დიდმა დრომ განვლო, მაგრამ ჩემში ერთი წამითაც კი არ განელეზულა იმ სასწაულებრივი რეპეტიციისგან მიღებული შთაბეჭდილება.

ერთხელ მოგვიანებით, ბატონ ანზორს შევახსენე ეს ამბავი, მაგრამ არ მახსოვსო, მიპასუხა. არც გამკვირვებია, ეს დღე ხომ მისი დიდი შემოქმედებითი ცხოვრების ერთი ჩვეულებრივი დღე იყო. ჩემთვის კი დიდ და ლამაზ დღედ დარჩა.

ხშირად მიფიქრია: რა არის ის ძალა, რითაც ბატონ ანზორს მხრებით მიაქვს თაობათა საზიდი ტვირთი?

XIX საუკუნეში, როცა ქართველი ერის არსებობა-არარსებობის მწვავე კრიტიკული მდგომარეობა შეიქმნა, ღმერთმა ქართველ ერს მოუვლინა წმინდა ილია მართალი (ჭავჭავაძე), XX საუკუნეში შეჭირვების ყამს კი საქართველოს ჩვენი დიდი სულიერი მეუფე, სრულიად საქართველოს კათოლიკოს პატრიარქი ილია II დაუდგინა წინამძღვრად. ხოლო როცა ქართულ ტრადიციულ გალობა-სიმღერის სკოლას დაეინყების ბურუსში გახვევა დაემუქრა, ღმერთმა ერქომაიშვილთა დიდი ოჯახიდან ალორძინებისა და განახლების მაცოცხლებელი ყლორტი ამოზარდა ანზორ ერქომაიშვილის სახით, რომელმაც მშობლიურ ქვეყანას მართვეები უმრავლა და დაუფრთიანა.

იმ დაუვინყარი პატარა ბიჭუნების გუნდიდან დღეს არაერთი ცნობილი მომღერალი და ლოტბარია. როგორც ჩანს, ბატონი ანზორის დიდი შინაგანი, ღმრთისაგან ბოძებული ძალა და მაღლი ბიჭებშიც გადავიდა და დამკვიდრდა, ეს ძალა ისევე მარადიულია, როგორც ქართული გალობა-სიმღერა.

თეიმურაზ ლლონტი

ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, მევნახეობისა და მეღვინეობის საერთაშორისო აკადემიის წამდვილი წევრი, ალავერდის მონასტრის მარნის ენოლოგ-კონსულტანტი



ბიჭუნათა გუნდი „არტოს ბალის“ რეპეტიციის დასრულების შემდეგ 1980 წ. სურათის ავტორი თეიმურაზ ლლონტი

დალის ხეობაში მზაკვრობაა მოსალოდნელი...

მამისონს ბალაა დვალთია...

ყველა დედის სახელით

ნუგზარ და გულიკო ჯაფარიძეებს სამი შვილი ჰყავთ. ორი სტომატოლოგია, მესამე – ექთანი.

ნიკა სამედიცინო ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ გაუნვევიათ ჯარში. მამისონის ულელტეხილზე იხდის სავალდებულო სამსახურს.

– ქალბატონო გულიკო! ხომ არ გეშინიათ, თქვენი შვილი ჯარში რომ მსახურობს? – ვეკითხები.

– არა, პირიქით! მეამაყება, ჩემი შვილი ჯარში რომ არის და სამშობლოს საზღვარს იცავს. თვითონაც სიხარულით წავიდა. სავალდებულო სამსახური ყველა მოქალაქის მოვალეობაა.

– ხშირად ნახულობთ?

– არც ისე.

– ძალიან კარგი. ზედმეტი მეურვეობით ჯარისკაცი არ უნდა შევანუხოთ. ხვალ ულელტეხილზე მივდივართ. მესაზღვრეების ჯანმრთელობა უნდა შევამოწმოთ.

– დიდი მადლობა. მოკითხვა გადაეცით ჯარისკაცებს ყველა დედის სახელით. მშვიდობიან სამსახურს ვუსურვებ. ჯანმრთელები და უფრო დაგაჟკაცებულები დაგვიბრუნდნენ. სხვათა შორის, ჩემი სიძე, უფროსი ლეიტენანტი ოლეგ ჩიკვილაძეც სასაზღვრო ჯარში იწყებს სამსახურს.

....დღეს, როცა ჩვენს ქვეყანაში ჯარისადმი დამოკიდებულება არაერთგვაროვანია, წვევამდელები იმალებიან, თავს არიდებენ სავალდებულო სამხედრო სამსახურს, – კეთილშობილი ონელი ქალბატონის გულიკო ჯაფარიძის სიტყვები საამოდ მომეფინა. მისი საუბარი მაგნიტოფონზე ჩავინერე. შვილიშვილთან სამახსოვრო სურათიც გადავუღე.

ქურორტის შუქ-ჩრდილები

შოვი შესანიშნავი კლიმატურ-ბალნეოლოგიური კურორტია, ნოტიო ჰავით, ცივი ზამთრითა და გრილი ზაფხულით.

სამკურნალო ფაქტორია მთის ჰავა და ნახშირმჟავა-ჰიდროკარბონატული ნატრიუმ-კალციუმიანი მინერალური წყაროების წყალი. აქ იკურნება სუნთქვის ორგანო, კუჭ-ნაწლავი, სანაღვლე და საშარდე გზების დაავადებანი, ლიმფოდენიტი, მეორეული სისხლნაკლებობა.

შოვში ფუნქციონირებდა დასასვენებელი სახლები, პანსიონატები, ტურბაზა, კურორტზე ყოველწლიურად ათასობით ადამიანი ისვენებდა.

სამწუხაროდ, ცნობილი მოვლენების შემდეგ აქ ბევრი რამ გაპარტახებულია, თუმცა პანსიონატი, სადაც სტუმართმოყვრულად მიგვიღეს, ხელუხლებლად შეუნარჩუნებიათ.

პანსიონატის დარაჯმა **შოთა ბაკურაძემ** მითხრა:

– 41 წელია აქ ვმუშაობ, ყველაფერი ჩვენი ხელითაა შექმნილი. ამიტომ მენანება, არ მინდა რაიმე დაიკარგოს. იქ, სადაც შენობები უპატრონოდ იყო მიტოვებული, ყველაფერი გატივალდა, კარ-ფანჯრებიც ჩამოღებულია; და-



დალის ხეობა

ნადგარები განადგურებულია; ფერადი ლითონის გამო ყველაფერი გამოშიგნეს და დალენეს. ჩვენ ზამთარ-ზაფხულ აქ ვიყავით, ამიტომ ფრჩხილი არაფერს მიკარებია ცუდად. მაგრამ, რად გინდა, ვინ დაგიფასა? წელიწადია, ხელფასი თვალთ არ გვინახავს. სახლში მეუბნებიან, – რა გინდა, ამ თოვლსა და წვიმაში რომ დადიხარ, წელიწადია სახლში ერთი თეთრი არ მოგიტანია, მადლობასაც არავინ გეუბნებაო... მაინც ვერ ვტოვებთ აქაურობას, ველოდებით, რალაც უკეთესობის იმედი გვაქვს.

ხელფასი ოცი ლარი მაქვს. ამით ერთი ტომარა ფქვილს ვერ იყიდი, თუმცა ვერც იმას ვიღებ. ამასწინათ საგადასახადოს ხალხი იყო ამოსული ონიდან. ისე იკვიტინეს, ყველაფერი წაიღეს.

– რა ხელფასები! ჯერ ბიუჯეტი დაფარეთო! გაყიდეთ ქონება და ისე გაისტუმრეთ ბიუჯეტის ვალები! თუ რამე დაგრჩათ, მერე იფიქრეთ ხელფასზე. არადა თავი გიმტვრევიათო... ესაა საქმე? ამ ხალხს უნდა ქვეყნის წინსვლა? ესაა კანონი? რა გულით უნდა იმუშაო? ამდენი წელი ვუვლიდით აქაურობას, მძიმე დროს დავიცავით და ახლა ქარს გავატანოთ ყველაფერი? ასე მივათრევთ წუთისოფელს, მაგრამ როდემდე? ვის მივაკითხვით? გაგვეცით პასუხი პატივცემულო, როდემდე ვიყოთ ასე?

...სამწუხაროდ, ბატონი შოთას სრულიად სამართლიან კითხვაზე ვერაფერი ვუპასუხე...

მესაზღვრეებთან

მამისონის ულელტეხილი კავკასიონის მთავარ ქედზე მდებარეობს, მდინარეების – არდონისა და ჭანჭახის წყალგამყოფზე, ზღვის დონიდან 2819 მეტრის სიმაღლეზე.

სწორედ აქაა განთავსებული მამისონის სასაზღვრო საგუშაგო. დიდებული პანორამა იშლება ჩვენს თვალწინ. ხელმარცხნივ – ციცაბოკალთებიანი მწვერვალი ჭანჭახი აღმართულა, რომლის სიმაღლე 4462 მეტრია ზღვის დონიდან. მწვერვალის სამხრეთ კალთაზე ნაპრალებით დასერილი, ორი კილომეტრის სიგრძის მყინვარი ეშვება აქ, სამი ათასი მეტრის სიმაღლეზე იბადება რიონის მარცხენა შენაკადი – მდინარე ჭანჭახი. წინ – არდონის აუზია, ისტორიული დვალეთი! ხელმარჯვნივ – სამაჩაბლოა, სამხრეთ-დასავლეთით კი რაჭის დიდებული ლანდშაფტი გადაიშალა.

- თუ სახელმწიფოს საზღვარი დაუცველია, ის ქვეყნად არ ჩაითვლება, - მიაშობს მამისონის სასაზღვრო საგუშაგოს უფროსი; სასაზღვრო ჯარში სამსახური ყოველთვის პრესტიჟულად ითვლებოდა. მით უმეტეს ახლა, როცა იცი, რომ შენი სამშობლოს საზღვრებს იცავ.

მიმდინარე წლის მაისიდან მამისონის სასაზღვრო საგუშაგოზე ადგილობრივი ბიჭები მსახურობდნენ. თუ წერილმანებს არ ჩავთვლით, ამ პრინციპით დაკომპლექტებამ გაამართლა. აქაური ბიჭები უფრო არიან შეჩვეული ადგილობრივ გეოგრაფიულ და კლიმატურ პირობებს. მატერიალურ-ტექნიკური ბაზა ბრწყინვალე როდია, მაგრამ ჯარისკაცებსაც ესმით, რა მდგომარეობაშია ქვეყანა. იციან, ბევრი რამ უნდა მოითმინონ. ყველამ თავისი წილი გაჭირვება უნდა გადაიტანოს.

ჩვენი საგუშაგო ახლა ყალიბდება. ამიტომ ბევრი პრეტენზია არც უნდა გექონდეს. მთავარია, ყველაფრით უზრუნველყოფილები ვართ, რაც საზღვრის დაცვისთვისაა საჭირო. მამისონის საგუშაგოზე სამსახური კი საპატიოდ ითვლება. ყველას სურვილი აქვს, აქ იმსახუროს.

თქვენი ჩამოსვლით ძალიან კმაყოფილები ვართ. ასეთი პროფილაქტიკური შემონმებები სასარგებლოა. ყურნალისტის სტუმრობაც კარგია. თქვენი თვალთ იხილავთ ავსაც და კარგსაც. გაზეთებისთვის კი დიდი მადლობა!

ადგილობრივი ხელმძღვანელობა შესაძლებლობის ფარგლებში გვეხმარება, თუმცა ბევრი რამ მათზე როდია დამოკიდებული. მათაც უჭირთ.

ისე იშვიათად მივმართავთ ვინმეს დახმარებისთვის. ჩვენ ჯარი ვართ. დაე, ჩვენ მოგემართონ. ჩვენ უნდა დავეხმაროთ სხვებს, ქვეყანას.

ექიმებმა აპარატურა გამართეს და მესაზღვრეების ჯანმრთელობის შემონმებას შეუდგნენ.

- ჯიხვები არიან! - უხარია ლადო აფხაიძეს. სანიტარული ექიმი საგუშაგოს გულდაგულ ათვალიერებს. ინტერესდება ჯარისკაცების კვებით, პირადი ჰიგიენით, სანიტარული მდგომარეობით. ოფიცრებს თითო-ოროლა შენიშვნებს აძლევს, რომ მომავალში გაითვალისწინონ.

გარეთ მზე ჩახჩახებს, მაგრამ მაინც ცივა, რადგან უღელტეხილზე განუწყვეტლად სისინებს ქარი. ბატონი დუროვი მესაზღვრის ტყაპუჭში ეხვევა.

საგუშაგოს სახურავზე ავდივართ და დიდებული ჭანჭახის ფონზე სამახსოვრო სურათებს ვიღებთ.

მესაზღვრეებს ვემშვიდობებით და ქვემოთ ვეშვებით.

- ჩვენებური ჩაი უნდა გაგატანოთ, - ამბობს პოლიციის ზემდეგი და მანქანას აჩერებს. ალპურ ზოლში, ფეხქვეშ მწვანე ხალიჩა გაშლილი... ტიმოთელა, ნივანა, ძირმაგარა, მარმუჭი, ბაბუანვერა, ღვია, კენერა, მაჯალვერი...

ფერდობზე ვეშვებით, როგორც ჭემმარიტი ჯენტლმენი, შემთხვევას არ უშვებს ხელიდან და ბანაკში დარჩენილი გოგონებისთვის მუქ-ლურჯად მოღალანე ნალველას თაიგულს კრავს. ნალველას თაიგული გარეგნულად ძალიან ჩამოჰგავს კამპანულას (ქარცხვს), თუმცა კოკორი უფრო მოკლე აქვს და ხორციანი...

- პან გენერალ! საეჭვო ადგილზე ხართ დალაქავებული! - „ახარა“ დუროვს უროლოგმა, როცა შოვში, პანსიონატის წინ მანქანიდან გადმოვედით.

თურმე, მკვეთრ მოსახვევებში, თავს რომ ძლივს ვიკავებდით და ერთმანეთს ვეხეთქებოდით, ბატონ დუროვს მოცვის ტოტები სავარძელზე დაუდგია და ზედ დამჯდა-

რა. ერთიანად ამოეთხვარა თავისი სპორტული შარვალი. სანიტარულ ექიმს გულს შემოეყარა.

- მოშორდება? - კითხულობს სასონარკვეთილი...

ჯუმბერ ჯიშკარიანი

სპეციალური კორესპონდენტი

P.S. როგორც ჩვენი გაზეთის მკითხველებმა იციან, გაზეთის რედაქტორის დავალებით საქართველოს სასაზღვრო ჯარების სპეციალურ სამედიცინო ბრიგადას ვახლდი რაჭაში და დალის ხეობაში.

ორ სექტემბერს დაიწყო ამ მოგზაურობის ამსახველი მასალების ბეჭდვა, რომელიც რამდენიმე ნომერში გაგრძელდება.

რედაქციაში დღესვე გაისმა ტელეფონის ზარი. პარლამენტარი, საქართველოს პრეზიდენტის რწმუნებული კოდორის ხეობაში, ბატონი ივერი ჭელიძე სასტიკად აღუშფოთებია წერილს. მისი აზრით, „წერილი საზიანოა“, ამიტომ ვიდრე მას არ შევხვდებოდი, უფლება არ მქონდა დალის ხეობაზე რაიმე დამეწერა.

ბატონო ივერი! დალის ხეობაში ველოდი თქვენს ჩამოსვლას, რადგან მითხრეს - გუბერნატორს დღე-დღეზე ველითო. იმედია, ეჭვი არ გეპარებათ, როგორ გამიხარდებოდა თქვენთან შეხვედრა, რომელთანაც თითქმის 30-წლიანი ნაცნობობა მაკავშირებს.

ხეობიდან ჭუბერში დაბრუნებისას, უღელტეხილზე პირველი ავტოკოლონა შეგვხვდა, რომელსაც თქვენი ძალისხმევით პურის ფქვილის პირველი პარტია მიჰქონდა ხეობაში. რა თქმა უნდა, მონაცემები ავიღე, რომელიც ერთ-ერთ წერილში აისახება.

ასე რომ, თქვენი განცხადება ნაადრევი იყო, ხოლო ტონი - თქვენი სტატუსისთვის სრულიად შეუფერებელი.

ბედნიერი ვარ, რომ ხეობაში ბევრ ღირსეულ ადამიანს შევხვდი. ბატონ ემზარ კვიციანს, შტაბის უფროსს, ბატონ კორძაიას, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის კომისარს, პოლკოვნიკ ვახტანგ ვეკუას, ხეობის სასაზღვრო რაზმის ხელმძღვანელებს გია და მეველუდ ჯაჭვლიანებს, ავთანდილ ცალანს, პედაგოგებს, ადგილობრივ მოსახლეობას, ყველასგან ინტერვიუ ავიღე. დარწმუნებული ვარ, ბატონი ემზარ კვიციანი დაადასტურებს, რა პატივისცემით გახსენეთ მასთან საუბრისას. ასე რომ, თქვენი საქმიანობის „წყალში ჩაყრა“ (როგორც თქვენ ბრძანეთ) აზრადაც არ მომსვლია. მაგრამ თქვენი საყვედური „თითქოს შემთხვევითი ადამიანებისგან ყურმოკრული მასალა ავიღე“, - სრული უსამართლობაა!

ხეობის მკვიდრი, პირველი ჯგუფის ინვალიდი, სულით გაუტეხელი ვაჟკაცი, სისონა გასვიანი შემთხვევითი პიროვნება არ გახლავთ. მასთან ინტერვიუს რომ ვინერდი, გარს უამრავი მესაზღვრე და თანასოფლელი გვეხვია.

კაცს, რომელსაც ომში ძმა და ბიძა დაეღუპა, მეორე ძმას მრავალი ჭრილობა აქვს, თვითონ „უსარგებლო კუნძად“ იქცა, (მისი სიტყვებია!); ხეიბარი ვაჟკაცი, ავადმყოფი დედისა და 12 ლარი პენსიის ამარა დარჩა, რომელსაც ხუთი წლის მანძილზე ერთი თეთრი დახმარება არ მიუღია, მგონი აქვს სიმართლის თქმის უფლება, რავინდ მწარე მოსასმენი იყოს.

ასე რომ, გვადროვეთ ბატონო ივერი, ყველა ჩანანერის გამოქვეყნება და თავად დარწმუნდებით, თქვენზე ნაკლებად როდი გვტკივა საქართველო.

გურული ცხენოსნების თავბადასავალი

გურული მოჯირითეების ისტორია 1892 წელს დაიწყო, როდესაც ისინი ინგლისში შეუერთდნენ ცნობილი ამერიკელი შოუმენის ბაფალო ბილ ქოუდის Wild West show – ველური დასავლეთის შოუს., ხოლო 1893 წელს კი ისინი აშშ-ში ჩავიდნენ. გურულები „რუსი კაზაკების“ სახელით 30 წელზე მეტ ხანს გამოდიოდნენ ბაფალო ბილისა და სხვა ცირკებისა და შოუების არენებზე, მათ საყოველთაო აღიარება მოიპოვეს და დიდი გავლენა იქონიეს ქაუბოებზე. ქართველი ცხენოსნების გამოსვლა „უაილდ უესთ“ შოუს მთავარ წარმოდგენად ითვლებოდა. ასეთივე ინტერესს მხოლოდ ინდიელები და ქაუბოები იმსახურებდნენ, მიუხედავად იმისა რომ იქ მათ გარდა მსოფლიოს მრავალი ქვეყნის წარმომადგენელი მონაწილეობდა. ცირკისა და შოუს მეპატრონეებმა გურული მხედრების სახით მიაგნეს ნამდვილ ოქროს საბადოს – არტისტებს, რომელთა სანახავად უამრავი ხალხი დადიოდა. საყურადღებო ფაქტია, რომ ყოველი რესპექტაბელური შოუს მფლობელი თუ მენეჯერი თავს მოვალედ თვლიდა, აუცილებლად ჰყოლოდა ე.წ. კაზაკების ჯგუფი. გურულებს სხვადასხვა მიზეზით ეძახდნენ კაზაკებს, უმთავრესი ის გახლდათ, რომ ჩვენი ქვეყანა მაშინ რუსეთის იმპერიაში შედიოდა და აქედან გამომდინარე ყოველი მისი მოქალაქე რუსად მოიაზრებოდა. „ველური“ დასავლეთის განთქმული მკვლევარი და ისტორიკოსი დი ბრაუნი წერდა: „ცხენზე ჯირითი როდეოში შემოიტანეს თავზეხელაღებულმა კაზაკებმა. კაზაკების თავბრუდამხვევი ტრიუკებით დაინტერესებულმა ქაუბოებმა ეს გაითავისეს და შემდგომ თავისებური ვარიანტი წარმოადგინეს ამერიკულ როდეოში.“ ის ასევე ყურადღებას ამახვილებს კაზაკების გავლენაზე როდესაც მონაწილეთა ჩაცმულობაზეც: „ნაირფეროვანი კოსტუმები შოუს განუყოფელი ნაწილი იყო, შესაძლებელია როდესაცთვის დამახასიათებელი უცნაური ჩაცმულობა კაზაკი მოჯირითეების გავლენის შედეგი იყოს.“ ცხენოსნობის ექსპერტი ბობ უეიდი ადასტურებს, რომ როდესაც მონაწილეებმა განავითარეს



გურულები ნიუ ორკში

რუსი მხედრებისაგან გადმოღებული ტრიუკები და ამით ალაგზნებდნენ მაყურებელს. ცხენოსანი ფრენქ დინი კი აღნიშნავს: „როდესაც კაზაკები შეერთებულ შტატებში ჩიკაგოს მსოფლიო გამოფენაზე ჩამოვიდნენ, ამერიკელებმა მათგან სხვადასხვა ილეთები და ნათელი იდეები გადმოიღეს.“ როგორც ირკვევა, ქაუბოები გურულების ჩამოსვლამდეც დაინტერესებულნი იყვნენ ტრიუკების კეთებით, მაგრამ მხოლოდ ქართველი ცხენოსნების ტექნიკამ და მანამდე არნახულმა ტრიუკებმა მისცა ბიძგი იმ საყოველთაო ბუმს, რაც დაიწყო მთელს ამერიკაში. **„ცხენზე თამაშით მთლა ვაშტერებლით მაყურებელს, – წერდა ერთი უცნობი მოჯირითე საკუთარ დღიურში, – მე მიწიდან ვიღებდი ნივთებს, ვაკეთებდი თავყირას. აბდარშიც კი ცარიელ არდგილს ვერ იშონიდი. შოვში იყვენ კაი ცხენოსნები მექსიკელები, კავბოები, მარა ჩვენ ვერ გვჯობნიდენ“ (სტილი დაცულია).**

1892 წლის 25 ივნისს გურულები პრინც ივანე მახარაძის თავკაცობით მისი აღმატებულების წინაშე წარსდგნენ და დედოფლის, მისი შვილებისა და წარჩინებულ პირთა წინაშე იჯირითეს (prince/ინგლ./-თავადი. ასე მოიხსენიებდნენ სხვა გუნდების მეთაურებსაც, მიუხედავად იმისა, თუ რა წარმომავლობა ჰქონდათ, მოჯირითეები



ჯირითი



ირაკლი მახარაძე დამბაჩით

კი უმთავრესად გლეხები იყვნენ. ეს, რაღა თქმა უნდა, კეთილებოდა მაყურებელთა ინტერესის გასაღვივებლად). ჯირითი სულ 12 წუთს გაგრძელდა. წარმოდგენის დროს პრინცი ჰენრი დედას, დედოფალ ვიქტორიას, გერმანულად შეეკითხა: „დედა, თქვენ ფიქრობთ რომ ისინი ნამდვილი კაზაკები არიან?“ იქვე მდგომმა შოუს მენეჯერმა ნებით სოლსბერიმ პრინცს უპასუხა: „მომიტევით, სერ, მაგრამ რასაც და ვისაც აქ ხედავთ, ყველაფერი ნაღია.“ რა იცოდა მისმა აღმატებულებამ, რომ რუსი კაზაკების მაგივრად მის წინაშე უბრალო ბახველი და ლანჩხუთელი გლეხები ჯირითობდნენ.

ამერიკის შეერთებულ შტატებში კი ქართველი მოჯირითეები პირველად აღნუსხულნი არიან 1893 წელს ადამ ფორუბას და იმავე ბაფალო ბილის შოუსში. გურულები ჩავიდნენ 29 მარტს გემით „ჩესთერ“; გრაფაში „პროფესია“ გურულების გვარების გასწვრივ წერია Rider /ინგლ./- მხედარი, შემდგომ დეკლარაციებში კი Artist /ინგლ./- ხელოვანი, მსახიობი. მეორე ჯგუფი მხედრებისა ამერიკაში, ნიუ იორკში, ჩავიდა დაახლოებით ორი კვირის შემდეგ (1893 წლის 10 აპრილი).

ვინ მოთვლის რამდენჯერ მოუტეხიათ ხელ-ფეხი, ბევრი მათგანი კი დაიღუპა: 1901 წლის 3 ივლისს ქალაქ აირონ რივერში ჯირითის დროს ფოუნი ბილის შოუს მონაწილე უცნობი გურული მხედარი დაიღუპა. 1907 წლის 28 ოქტომბერს ამარილოში (ტეხასის შტატი) ისევ ფოუნი ბილის შოუს ასევე უცნობი ქართველი მონაწილე დაიღუპა. 1914 წელს კენტუკის შტატში მოკლეს ხალამპრი პატარაია... ნაწყვეტი მოჯირითე ნიკოლოზ ჭყონიას წერილიდან: („...სხვა კაცო ერთი სამწუხარო საქმე დაგვემართა. მელიტონა ცინცაძე ავით გაგვიხთა ადესაში და

დიდი საშვალობა იხმარა ჩვენმა ხაზინმა, დოსტური და ფერშლები დაასიეს და უსთხუეთ მოცთა და რომ მორჩებოდა ქე გამოგზავნიდნენ ჩვენთან, მარა არ ქნა საწყალმა. ქვთხოვა, რომ არ დეგვეტოვებია ზღვაში. პარახოთში ჩაგვაჟინეს იქაც დოსტური და ფერშალი მიუჩინეს, მაგრამ არაფერი გვეიდა და დიდ ზღვაში ოკეანეში გარდაიცვალა ცხონებული ოთხ მარტს და პარახოთი ნიორგში გვეიტანეთ და გვინდოდა გადმოსვენება სამშობლოში, მარა ორი ათასი მანათი ითხოვეს და ვერ შავიძელით და აქ დავასაფლავეთ სამაგალითოთ. სულ შავ დაბურული კარეტებით ჩვენც და ჩვენი მიცვალებული მივდოდით და სამაგალითოთ დავმარხეთ და თქვენ ნადით ზურაბიდან, დათიდან წავლიან და სამძიმარი გარდაიხადეთ და ლუკაია ებრაელიც შეატყობიეთ და ლანჩხუთიდან წამოვლიან და ერთათ მიიღით.“)

შოუს უკლებლივ ყველა მონაწილე – ქაუბოი, ინდიელი, არაბი თუ მექსიკელი ჟურნალ-გაზეთებს უყვებოდა გამოგონილ, უმეტესწილად სისხლიან ისტორიებს საკუთარი თავის შესახებ, არც გურულები ჩამორჩებოდნენ მათ. სხვადასხვა გაზეთებისათვის მიცემულ ინტერვიუში ცნობილი მოჯირითე ლუკა ჩხარტიშვილი სიამაყით ჰყვებოდა, თუ როგორ მოკლა თავდაცვის მიზნით დონის კაზაკი. სხვადასხვა ვერსიაში მოკლულ მტერთა რიცხვიც იცვლებოდა ერთიდან ოცამდე.

გურულ მოჯირითეებზე, რომელთაგან ბევრი თბილისშიც კი არ იყო ნამყოფი, დასავლეთმა და ყველაზე მეტად კი ამერიკამ უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინა, მხედრები ალტაცებულები იხსენებდნენ შტატებს. მოჯირითე ნიკოლოზ ჭყონია სახლში გამოგზავნილ წერილში იტყობინე-



ბარბალე იმნაძე და ველიკო კვიციანიშვილი

ბოდა: „...პატივისცემა ნამეტანი გვაქვს. თელი ჩემგან არ ეინერება და უკანასკნელს გეტყვი მარმარილოს ქვის ჩერჩმები გვაქვს, იმოდენა სიმდიდრე ყოფილა“. კირილე ხოფერიას თქმით, ისინი ცხოვრობდნენ მაღალსართულიან სახლებში, ადიოდნენ მოძრავი ოთახებით, რამაც გურულები გააოგნა. იგი იგონებდა ქუჩების არაჩვეულებრივ სისუფთავეს და წესრიგს. ქუჩაში იმდენი სადენია გაჭიმული, ჩიტები რომ დაფრინავენ ეჯახებიან სადენებს და მკვდრები ცვივიან მიწაზეო, – წერდა მოჯირითე გიორგი ჩხაიძე.



ზოგიერთი მოჯირითე შემდგომში ამერიკის მოქალაქე გახდა და აცხადებდა, თუ სამშობლოში დაბრუნდებოდა, ამ დემოკრატიულ პრინციპებს და კანონებს თავის ქვეყანაშიც დაამკვიდრებდა.

ერთხელ ჩიკაგოში მყოფმა გურულებმა ვარჯიშის შემდეგ ვაშლის მშვენიერ ბალებს ჩაუარეს. ერთ-ერთი მათგანი გადახტა ბალებში, დაკრიფა ვაშლები და ამხანაგებს დაურიგა. მეორე დღეს ეს ამბავი გაზეთში დაუბეჭდავთ, კაზაკები ვაშლებს იპარავდნენო. გურიაში რამდენიმე ცალი ვაშლის მოკრეფისათვის ვინ რას გეტყოდა, ამერიკაში კი რაც კაზაკებთან იყო დაკავშირებული, ყველაფერში სენსაციას ეძებდნენ. სირცხვილით გარეთ როგორ გამოვსულიყავით, არ ვიცოდითო, – იხსენებდა გ. ჩხაიძე.

ერთი ამერიკული გაზეთი აღწერს შემთხვევას, როდესაც დილაუთენია ცხრის ნახევარზე ვინმე მიუღერის სალუნში იქ მყოფთ შიშის ზარი დასცა წითელი ღვინით გამომთვრალმა კაზაკმა. იგი ხანჯლით ემუქრებოდა მოქალაქეებს და სალუნიდან აგდებდა, მისი ამხანაგები ცდილობდნენ მის დამშვიდებას, მაგრამ ამაოდ, მოვიდა პოლიციელი და მთვრალი ხანჯლით მისკენაც გაიწია. იგი წაიყვანეს პოლიციაში და ელოდებოდნენ მის გამოფხიზლებას, რათა დაეკითხათ. რაც შეეხება მის სახელს ეს მეორე პრობლემა აღმოჩნდა, რადგან ერთადერთი რაც პოლიციელებმა გაიგეს ეს იყო მისი სახელი, რომელიც ამგვარად ჩაწერეს „Theford“. ის თეოფანე ქავთარაძე იყო.

გურულების მადის შესახებ წერდნენ, მათ ქვა რომ გადააყლაპო, იმასაც მოინელებნო. ბაფალო ბილის შოუს მთავარი მზარეული ერთ საგაზეთო ინტერვიუში ამბობდა: „...ჩვენ ყოველდღე ვამზადებთ 800-დან 1000-მდე ბიფშტექს... ო, ბიჭები ბიფშტექსის ნამდვილი მტრები არიან! კაზაკებს და ინდიელებს ხორცი უნდათ სამჯერ დღეში და ისინი მას ღებულობენ!“ ერთხელ მოჯირითეები სასადილოში შესულან და ერბო-კვერცხი მოუთხოვიათ, მაგრამ ინგლისურის არცოდნის გამო ოფიციალტს ვერაფერი გააგებინეს. მაშინ მოჯირითე სერაპიონ იმნაძე ოდნავ ჩაიცუცქა, ხელები ქათმის ფრთებივით აამუშავა და კაკანი მორთო: კო-კო-კო! ამან სასადილოში მხიარულება გამოიწვია, ოფიციალტი კი მიუხვდა, რა უნდოდათ ამ უცნაურ გადამთიელებს.

ცნობილია, რომ ამერიკაში მამაკაცებთან მხარდამხარ ოთხი გურული ქალბატონი ჯირითობდა: ფრიდა

მაგლობლიშვილი, ქრისტინე ცინცაძე, მარო და ბარბა-ლე ზაქარეიშვილები. მაყურებელს აოცებდა მარო კვიტაიშვილის მიერ სამი გვერდებჩაკრული ცხენის ჭენება, ცხენის ყელზე ამოვლება და სხვა სახიფათო ტრიუკები. ხშირად გამოსვლის შემდეგ მაყურებელი ფეხის გულელებს უსინჯავდა, ნებო ხომ არ გისვიაო, ვერ წარმოედგინათ, როგორ შეეძლო ქალს გაჭენებულ ცხენზე თავის დამაგრება. მას რამდენჯერმე დაეღუპა ცხენი, თვითონ სასწაულებრივად გადაურჩა სიკვდილს. გამოჩენილი ოსტატობისთვის ასპარეზობის ერთ-ერთმა ორგანიზატორმა მარო ძვირფასი ბეჭდით დააჯილდოვა. ქალბატონი მარო ხანდაზმულ ასაკშიც კი ჯირითობდა.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ გურულ მოჯირითეებს ბოლშევიკებმა გზა გადაუკეტეს დასავლეთისაკენ. ვინც საზღვრის იქითა მხარეს იმყოფებოდა, უკან აღარ ისურვა დაბრუნება და დროთა განმავლობაში ამერიკელებში აითქვიფა. კარგი დღე არ დაადგათ სამშობლოში დაბრუნებულ მოჯირითეებს. ბოლშევიკებმა ბევრი დააპატიმრეს, ზოგი გადაასახლეს – ამერიკის შპიონი ხარო. მოჯირითე პავლე მახარაძის ქალიშვილები იხსენებდნენ: „...ყველა მათგანის ოჯახიდან მიჰქონდათ ამერიკიდან ჩამოტანილი ნივთები, ჩვენი ოჯახიდან ბოლოს სავარცხელი და ტანსაცმლის საკიდი ჯოხიც წაიღეს, დედაჩემი განცდილი შიშისაგან ლოგინად ჩავარდა. ყოველთვის ელოდებოდა „შინსახკომელების“ მოსვლას...“ მხედრები თავისი და ახლობლების სიცოცხლის გადასარჩენად თავისივე ხელით ანადგურებდნენ და წვავენ ფსევდომამხილებელ მასალებს – ფოტოებს, წერილებს...

ბაფალო ბილისა და გურულების ურთიერთობის მაგალითი უძველესია ქართულ-ამერიკული ურთიერთობის ისტორიაში. ქართველებმა გასაოცარი ტექნიკის წყალობით საუკეთესო მხედრების სახელი მოიხვეჭეს და თავისდა უნებურად წარუშლელი კვალი დაამჩნიეს ამერიკული შოუ-ბიზნესის განვითარების საქმეს, რომლის პიონერად ბაფალო ბილი ითვლება.

ირაკლი მახარაძე

პირველი ქართული ჟურნალი ბურულაზე



REGION

ვერდი

სასარგებლო რეკვები

როგორ ვუპყრნალოთ უძილობას

ძილი ძალ-ღონის აღდგენას და დამლელი დღის შემდეგ დასვენებას ემსახურება. დღეს, უძილობა ერთ-ერთ მწვავე სამედიცინო პრობლემად მიიჩნევა და ექიმები აქტიურად მუშაობენ. საქმეს ის ართულებს, რომ არ არსებობს უნივერსალური წამალი, ასევე არ არსებობს უძილობის ერთი მიზეზი. ცხოვრების დაძაბული რიტმი, მუდმივი ნერვული სტრესი, არასრულფასოვანი დასვენება, – ადამიანის ფსიქოფიზიკური მდგომარეობის დარღვევამდე და ქრონიკულ დაღლილობამდე მიყვავართ.

ჯანმრთელი, მაგრამ ადვილად აღზნებადი ადამიანებისთვის უძილობის მკურნალობის საშუალებაა ძილის მართებული რეჟიმის დაცვა და მარტივი დამამშვიდებელი პროცედურები ძილის წინ. ხანგრძლივი უძილობისას ექიმის მიერ დანიშნულ პრეპარატებთან ერთად გარკვეული დროის განმავლობაში საჭიროა უბრალო, ხალხური, ნატურალური საშუალებების რეგულარული მიღება.

უძილობის თავიდან ასაცილებლად აუცილებელია ერთსა და იმავე დროს ადგომა და დაწოლა, ორგანიზმისთვის ბუნებრივი ბიოლოგიური რიტმის დაცვა. თუ ხანმოკლე უძილობა განუხებთ, მაგალითად, სტრესის დროს, ნორმალური ძილის აღდგენაში რაციონის ცვლილება და ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებების მიღება დაგეხმარებათ.

სწორად შედგენილი რაციონი თანდათან მოაწესრიგებს თქვენს წონას, ორგანიზმში ცხიმის რაოდენობას და ძილს.

◆ ნუ დაწვებით თუ არ გეძინებათ. ეცადეთ, არ დაიძინოთ დღისით. არ დაწვით დასაძინებლად მეტისმეტად ადრე. დაიცავით კვების რეჟიმი. ნუ შეჭამთ ძილის წინ, 18:00 საათის შემდეგ ნუ მიიღებთ მატონიზებელ სასმელებს (ცხელ შოკოლადს, ყავას, ჩაის). კვირაში 2-3-ჯერ გამონახეთ დრო სპორტისთვის ან ყოველდღე ივარჯიშეთ. თავი არიდეთ ძილის წინ ინტენსიურ დატვირთვას. ძილის წინ ფეხით ან ველოსიპედით გასეირნება ორგანიზმზე მომადუნებელ ეფექტს ახდენს.

◆ დასაძინებლად ნუ დაწვებით გაღიზიანებული. ეცადეთ, ღამით მოეშვათ. ამისთვის კარგია წყლის პროცედურები, მსუბუქი მასაჟი, საინტერესო (არააღმგზნებელი) წიგნი.

◆ გამოიმუშავეთ ძილისთვის მოსამზადებელი რიტუალი და დაიცავით. მიეჩვიეთ ყოველთვის ერთსა და იმავე დროს დაწოლას. თუ ვერ იძინებთ, მოუსმინეთ წყნარ მუსიკას, წაიკითხეთ წიგნი. ძილის წინ გაანიავეთ ოთახი, გამორთეთ ყველა ელექტროხელსაწყო (სხვათა შორის, საძინებელში რეკომენდებული არ არის ტელევიზორის დადგმა), თუ ოთახში ჰაერი მშრალია – დაამონტაჟეთ დამატენიანებელი მონწყობილობა.

◆ ნუ გამოიყენებთ ალკოჰოლს ძილის მომგვრელ საშუალებად, მიუხედავად იმისა, რომ ბევრი გირჩევთ. დიას, ზოგჯერ ალკოჰოლის მცირე დოზა მართლაც ჰგვრის ძილს, მაგრამ ეს მოჩვენებითი ეფექტია, – ძილი ხდება ზედაპირული, ფრაგმენტული, ხშირად ხანმოკლე. ასევე, ალკოჰოლი ძილის თავის ტკივილს და მოთენთილობის შეგრძნებას ინვესს, დღის მანძილზე აქვეითებს პრომისუნარიანობას, რაც უფრო აღრმავებს უძილობას.





სანდომი საქონელი და საკონდიტრო




www.sandomi.ge

ბახმარო იარსახან იცვლის

**სამთო კაროიშობჷ ბავშვობის
თოვლიან ველოთა ბიჭილეა**



ISSN 2346-7606



9 772346 760009